# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 30 მაისი 2001 №98 (1371) ფასი 50 თეთრი

# კახა კალაძემ საქართველოს ნაკრებთან ერთად ივარჯიშა

## ჯამარაულმა უნდა დაამტკიცოს, რომ ჯამარაულია

მოითხოვენ გატორპედოებული ნაკრების მწვრთნელები

## ზაზა ჯანაშია: საფრანგეთში იმიტომ მივდივარ, ნაკრებში რომ არ გამომიძახეს

იხილეთ მეორე გვერდი

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 2 ივნისი

## საქართველო — იტალია

თბილისი. „ეროვნული". 21.00

# „მე" ჯამარაულისგან მოითხოვენ გატორპედოებული ნაკრების მწვრთნელები

**მეოთხე** დღეა, შეკრებაზეა საქართველოს ეროვნული ნაკრები. გუშინ გუნდმა „ეროვნულზე" ორი საათი ივარჯიშა. ამჯერად ფეხბურთელებმა ორივე მწვრთნელის ზედამხედველობით მოიდინეს ოფლი.

ყიფიანმა და ძოძუაშვილმა კიდევ ორ ტორპედოელს უხმეს გუნდში — მცველ ირაკლი ვაშაკიძეს და ფორვარდ ბორის განჩაროვს, რომლებიც იშვიათად ხვდებოდნენ ორგზის ჩემპიონთა ძირითად შემადგენლობაში.

სამგზეროდ, კვლავ თავისაზე დგას და ნაკრებში თამაშს უარობს გოჩა ჯამარაული. როგორც ნაკრების მწვრთნელთაგანმა რევაზ ძოძუაშვილმა გვითხრა, ჯამარაულს დავით ყიფიანი შეხვდება და დაელაპარაკება. „ყველანირად ვცდილობთ, ჯამარაული ნაკრებში დაბრუნდეს, ითამაშოს იტალიის წინააღმდეგ, დაგვანახოს თავისი „მე", რას წარმოადგენს და თუ ამას შეძლებს, საქვეყნოდ მოვუხდით ბოდიშს" — ირწმუნება ძოძუაშვილი.

ბადრი ჯბილაძის ფოტო

არჩილ არველაძე და კახა კალაძე

გუშინ გუნდთან ერთად ივარჯიშა კახა კალაძემ, წარბშეუხრელად, როგორც ნაღდმა პროფესიონალმა.

გამოკეთდა ტრავმირებული ლევან კობიაშვილი. მან სრული დატვირთვით ივარჯიშა. კვლავ ვერ გავიდა მინდორზე გიორგი ქინქლაძე. მსუბუქად, ინდივიდუალურად და უბურთოდ წაივარჯიშა ალექსანდრე რეხვიაშვილმა. მას „სკონტოში" ბოლო დროს დაძაბული მატჩები გადახდა, ნაოპერაციევი მუხლი შეუსივდა და დასვენება სჭირდება.

ჰოლანდიის ჩემპიონი გიორგი გახოკიძე გუშინ ჩამოვიდა თბილისში და ვარჯიშზე გასვლა ვერ მოასწრო. შოთა არველაძეს კი დღეს-ხვალ ელიან.

მოგვიანებით შეუერთდნენ ვარჯიშს

ბადრი ჯბილაძის ფოტო

დანდელები: ზურაბ ხიზანიშვილი და გიორგი ნემსაძე

ბადრი ჯბილაძის ფოტო

ალექსანდრე რეხვიაშვილი

ბადრი ჯბილაძის ფოტო

დავით ხმელიძე

# ზაზა ჯანაშია შერემეტიევოდან

## საფრანგეთში იმიტომ მივდივარ, ნაკრებში რომ არ გამომიძახეს

**ისევ** ზაზა ჯანაშია, ისევ პრობლემა. ის საქართველოს ნაკრებში არც ამჯერად, 2 ივნისს ითამაშებს იტალიელების წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის „ლოკომოტივის" ფორვარდმა ამ ცოტა ხნის წინ თავად გვითხრა, იტალიელებთან სათამაშოდ თბილისში აუცილებლად ჩამოვალო, იგი გუშინ შუადღისას თავის კლუბთან ერთად საფრანგეთში გაემგზავრა შეკრებაზე.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს ზაზა ჯანაშია საიტალიო-საუნგრეთო განაცხადში შეგულებული კი ჰყავდათ, მაგრამ შემდეგ, ძოძუაშვილის თქმით, დავით ყიფიანი ესაუბრა „ლოკომოტივის" თავკაც იური სიომინს, რომელსაც უთქვამს — ჯანაშიას ზედმეტი წონა აქვს, დაახლოებით 5 კილო, თანაც ფსიქოლოგიურადაც ვერ არის მზად და გირჩევთ, იტალიასთან არ ათამაშოთო.

ყიფიანი და ძოძუაშვილი სიომინს ენდნენ, ჩვენ კი გუშინ საფრანგეთში გასამგზავრებლად გამზადებულ ზაზა ჯანაშიას „შერემეტიევოს" აეროპორტში დავუკავშირდით:

— ნაკრებში სათამაშოდ არ ჩამოვდივარ — გვითხრა ზაზა ჯანაშიამ — არ გამომიძახეს და კლუბიდან ისე როგორ წამოვალ?!

**— ნაკრებში გამოძახებული იყავი...**

— მეც ასე ვიცოდი, მაგრამ „ლოკომოტივის" ხელმძღვანელებმა მითხრეს, ნაკრებში აღარ გიწვევენ და საფრანგეთში ჩვენთან ერთად წამოხვალო. ნაკრებისა და „ლოკომოტივის" მწვრთნელებს ერთმანეთთან ულაპარაკიათ.

**— როგორ ფორმაში ხარ?**

— ვგრძნობ, ჩინებულ ფორმაში ვარ.

**— წონა არ გაწუხებს?**

— დღესდღეობით ჩემი სათამაშო წონა მაქვს.

**— ახლა ნაკრებში რომ გამოგიძახონ, დარწმუნებული ხარ, რომ ჩვეულად ითამაშებ, ისე, როგორც ქომაგები გყავს ნაჩვევი?**

— ნაკრებში კარგად თამაში შემიძლია, არაფერი მაწუხებს, ყველანაირად მზად ვარ. პარასკევს რუსეთის ჩემპიონატში გოლიც გავიტანე.

ამის საპასუხოდ ეროვნული გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა, **რევაზ ძოძუაშვილმა** გუშინ, ნაკრების ვარჯიშის შემდეგ, ეს გვითხრა:

— შესაძლოა, „ლოკომოტივის" ხელმძღვანელებმა ზაზა ჯანაშიას საერთოდ არ უთხრეს, რომ ნაკრებში ვიწვევდით. ჩვენ, მწვრთნელებმა, საქართველოს ფედერაციას იტალია-უნგრეთთან სათამაშოდ სასურველ ფეხბურთელთა სია წარვუდგინეთ და მათაც თითოეულის კლუბს აცნობეს მათი ფეხბურთელების ნაკრებში გამოძახების თაობაზე. ისე კი, ყიფიანი „ლოკომოტივის" მწვრთნელ სიომინს მანამდეც ესაუბრა და მან უთხრა, ჯანაშიას ნაკრებში გამოძახებას არ გირჩევთო. ადრე სხვაგვარად იყო, სიომინი თავად იყო დაინტერესებული, ჯანაშიას ნაკრებში ეთამაშა. ახლა კი ასეთი რამ თქვა და ეტყობა, ამის საბაბიც აქვს. ერთიცაა, ამხანაგურ მატჩებში ზაზას შესაძლებლობებში დარწმუნების საშუალება არ მოგვეცა, ის არ ჩამოდიოდა. მისგან თითის ქნევა კი ნამდვილად არ გვსურს.

ერთი სიტყვით, ისევ ძველი ამბავი — ზაზა ჯანაშია საქართველოს ნაკრებში არ ითამაშებს. საკითხავი ისაა, მიზეზი საიდან მოდის...

**კოტა ინასარიძე**

# დაზაფრული აპრილი, ბაღი და მარტის ფენ...

## ფეიდერაციას ფული დაუპატიმრეს

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის საბანკო ანგარიშს გუშინწინ საგადასახადო ინსპექციამ ყადაღა დაადო — გვითხრა გუშინ მინი-პრესკონფერენციაზე ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ.

ასე იყო ორი თვის წინაც, საქართველოს ნაკრები რუმინელებთან თბილისში სათამაშოდ მოსამზადებლად გერმანიაში რომ აპირებდა გამგზავრებას.

დღეს იგივე მეორდება. საგადასახადო ინსპექციამ 180 ათასი ლარის გადაუხდელობის გამო ფედერაციის ანგარიში იტალიასთან მატჩამდე ოთხი დღით და უნგრეთში ჩარტერული რეისით ნაკრების გამგზავრებამდე ხუთი დღით ადრე გაყინა.

— ფეხბურთის ფედერაციას სერიოზული ძალები ებრძვიან. არ შემიძლია, კონკრეტულად ვინმეს ხელი დავადო, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ფედერაციის ანგარიშს საგადასახადო ინსპექციამ ორ შესარჩევ მატჩამდე დაადო ყადაღა. მაშინ, როცა რუმინეთთან მატჩამდე ანგარიში გაგვიყინეს, საგადასახადო ინსპექციას ვალის დაფარვის სამთვიანი გრაფიკი წარვუდგინეთ და ამაზე ისინი დაგვთანხმდნენ. 30 ათასი მარტში უნდა გადაგვეხადა და გადავიხადეთ, 30 ათასი აპრილში და ესეც გადავიხადეთ, დანარჩენი 180 000 კი მაისში. რა თქმა უნდა, საგადასახადო ინსპექცია კანონთან მართალია, მაგრამ ის გვაკეკრავებს, ანგარიშს ბანკიდან ფულის გამოტანამდე ორისამი დღით ადრე რომ გვიყინავენ, ხომ შეიძლება, ეს ადრე გააკეთონ. დღეს-ხვალ უეფადან გრანტის სახით გარკვეული თანხა უნდა ჩაირიცხოს ჩვენს ანგარიშზე და ამ დროს საგადასახადო ამას აკეთებს — თქვა ვალერი ჩოლარიამ — ამჟამინდელი ფეხბურთის ფედერაცია ბიუჯეტთან პირნათელია, არც ერთი თეთრი არ გვაქვს ვალი. ჩვენ ჩვენი წინამორბედების ვალს ვიხდით. უფრო სწორად, იმ ვალზე დარიცხულ საურავს. ქვეყნის პრეზიდენტიც საქმის კურსშია. ამ ვალის გასასტუმრებელი თანხა კი გვქონდა, მაგრამ საქართველოს ტელე-რადიო კორპორაციას საქართველოს ნაკრების სტუმრად და შინ გასამართი ყველა შესარჩევი მატჩის ტელეტრანსლაციის უფლება მივეცით. ედუარდ შევარდნაძეს მერაბ ფორდანიამ ყოველივეს თაობაზე წერილიც მისწერა, ქვეყნის პრეზიდენტმა კი თავის მხრივ ფინანსთა მინისტრს — ვეცადოთ, ყველანაირად შევუწყოთ ხელი ფედერაციისა და ტელევიზიის ურთიერთდახმარებას. ეს საკითხი პრეზიდენტის კონტროლზეა.

ვალერი ჩოლარიამ ცოტაც უეფადან მიღებულ გრანტებზე ილაპარაკა და მერე იტალიასთან თამაშისთვის სამზადისზეც.

...2 ივნისს საქართველოს ნაკრები აუცილებლად ითამაშებს. არ ვიცი, ვინ სად და როგორ თქვა, რატომ ავორდა ასეთი ჭორი. ალბათ, შიშის ფაქტორია. კახა კალაძის ძმის გატაცების შემდეგ ფეხბურთელები, ეტყობა, შეშინებულნი არიან. ნაკრებმა შეიძლება იტალიასთან არ ითამაშოსო, ემოციური ნათქვამია. კახა კალაძე კი თავად გადაწყვეტს, ითამაშოს თუ არა 2 ივნისს. სხვათა შორის, ამ ფაქტის თაობაზე ჩვენ საქართველოს მთავრობასთან შეხვედრას დღეს თუ არა, ხვალ ვაპირებთ.

...ფიფამ, უეფამ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ და ფირმა „ტელესპორტმა", რომელიც ჩვენი ნაკრების თამაშების სატელევიზიო უფლებების მფლობელია, უსაფრთხოების გარანტია მართლაც მოითხოვეს. ფიფამ კი მოგვწერა, პირველ ყოვლისა, თქვენი აზრი გვაინტერესებსო. ფედერაციიდან კი, რა თქმა უნდა, რეალობიდან გამომდინარე ვაცნობეთ, საფრთხე რომ არავის ემუქრება და არანაირი პრობლემა არ არის. მატჩი ჩატარდება.

**კოტა ინასარიძე**


ჰოლანდია

პლეი ოფი

B ჯგუფი. I ტური

იტალია 3:2 კამბური

ამხანაგური მატჩი

გერმანია 2:0 სლოვაკეთი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 1 ივნისი. ახალგაზრდულები

## საქართველო — იტალია

თბილისი. „ეროვნული". 20.15

# ბიჭები იამანიძის ქუჩიდან ახალგაზრდები მომსახურების ზონიდან გავიდნენ

**ახალგაზრდული** გუნდისთვის გუშინდელი დღეც იამანიძის ქუჩიდან დაიწყო. თითქმის ორი საათი დაჰყვეს ძველ ფედერაციასთან მწვრთნელ-ფეხბურთელებმა. ბევრი საქმე იქვე მოილიეს, ბევრიც მოუგვარებელი დარჩა. მთავარი — სავარჯიშო მოედნი საშხრობამდე კვლავ უცნობი იყო.

ასე ეგებება იტალიას კოპალეიშვილის გუნდი. ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზეა, განწყობა ჩინებული და საქმიანი, მაგრამ ახალგაზრდულ ნაკრებს მაინც რაღაც აკლია. ის რაღაც შეიძლება არცთუ მნიშვნელოვანია, მაგრამ თამაშისას თავი რომ იჩინოს...

იამანიძის ქუჩას პირველები გიორგი იმედაძე და მალხაზ ასათიანი ესტუმრნენ. ეს ბიჭები გუშინწინ საღამოს ჩამოვიდნენ ქუთაისიდან, ღამე სასტუმროში გაათიეს, ეტყობა, იქ გული არ დაუდგთ და დათქმულ ადგილზე ნახევარი საათით ადრე ამიტომ გამოცხადდნენ.

ჩემპიონურად გამოიყურებიან, გაცილებით სერიოზულები ჩანან და სხვებზე ცოტას ლაპარაკობენ, აშკარად პროგრესის ნიშანია.

რამდენიმე წუთში ვახტანგ კოპალეიშვილიც გამოჩნდა. ახლო ურთიერთობა აქვთ მწვრთნელ-ფეხბურთელებს. ჯერ ბიჭები მოიკითხა, როგორ დაისვენეთო. მერე გაეხუმრა, ბოდიშით, ჩემპიონებს საკადრისი დახვედრა ვერ მოგიწყვეთო.

რამდენიმე წუთში გიორგი ლომაია გამოცხადდა, მერე სკონტოელი ლეგიონერი ლევან კორღალიძე.

„რა იყო, ლომა, მხოლოდ ვერცხლი ცოტა ხომ არ არის „ლოკომოტივისთვის"? — ეკითხება ლევანი მეგობარს.

„მეტს ვერ გავწვდით. „ლოკომოტივი" „სკონტო" კი არ არის, ყველაფერი მარტო თავისთვის უნდოდეს. აგერ, „ტორპედოა" თქვენნაირი..." — სიტყვა გადაუკრა რკინიგზელმა ქუთაისელებს.

ნელ-ნელა სილაღე ემატება იამანიძის ქუჩას. ირგვლივ სასიამოვნო ატმოსფეროა და ეს სასიკეთო დასაწყისია.

ლადო ბურდული და სანდრო ჩივაძეც მოგვიახლოვდნენ. გამარჯობის თქმა არ აცალეს დამხვდურებმა. „რა ფერია, ბიჭო, ბრინჯაო" — თითქმის ერთხმად ეკითხებიან. ვალში არც დინამოელები რჩებიან, „ჩვენი რომ არის, ვიცით, ძმაო. ფერისა და სიდიდისა კი რა გითხრათ, ჯერ არ მოუტანიათ".

მოვიდა ინტერტოტოს ხალხი, შეუძახეს მომდგარ ვეტერინარებს. „სახუმაროდ გაგიხდათ საქმე და ღმერთმაც შეგარგოთ, მაგრამ ატირებამდეც არაფერი გაკლდათ... აფსუს, ცოტა ბედი რომ გვქონოდა, მაშინ გაჩვენებდით ოქროს, ვერცხლსა და ბრინჯაოს რა ფასიც ექნებოდა".

„ლევა, ცხენით მოხვედი?" — დაიძახა ნაკრების ერთ-ერთმა წევრმა, როცა მომავალი იოსებ დევიძე შენიშნა. მერანელს შეძახილი არ გაუგია, ბიჭების სიცილს თავისი ღიმილი შეაგება.

„კვარაცხელია, რა უფერული ხარ, რიგაში მზე არ ანათებს?" — კიდევ ერთი სკონტოელის ჯერი დადგა. გივის წონა არ აწუხებს. მართალია, ცოტა ფერმკრთალია, მაგრამ დაკაცებულა და გამკვრივებულა.

„მოვიდნენ რუსული საფეხბურთო ელიტის ბიჭები; „ხიზან, რომანცევი ხომ არ ჩამოგიყვანია?" ხიზანეიშვილი და კაკაშვილიც დანარჩენებში გაერივნენ. „რა გაქვს, ბიჭო, მანქანაში ასეთი, გადმოსული არა ხარ და კარები ჩაგიკეტია" — გაკენწლა ჩივაძემ ოთარი.

„თამაშის დღეს მთელი ხობი აქ იქნება" — შენიშნა ერთ-ერთმა. „აბა, ბიჭო, გუნდში ნახე რამდენი მეგრელია, აქედან ოთხი კი ხობელი" — დააყოლა მეორემ. ლევან გვაზავას და ლადო ახალაიას ჰკიდეს ბიჭებმა თვალი. მათაც, ბუნებრივია, პირველები გივი კვარაცხელია და ედიკ საჯაია მიესალმნენ.

„საჯა, როგორი ქალაქია ედინბურგი?" — ჯერჯერობით ისევ ვეტერინარი საჯაია ჰკვება შოტლანდიურ „დანდიზე", ივანო ბონეტიზე, რა თქმა უნდა, ჩვენებურებზე. „გია ნემსაძე მეფეა გუნდში, ზურაბ ხიზანიშვილს უდიდეს პატივს სცემენ, დიდებული ქალაქია ედინბურგი".

კითხვები მრავალგვარია. ცოტა გული მწყდება იმიტომ, რომ ფეხბურთზე თითქმის არაფერს ეკითხებიან საჯაიას და უცბად ყურებს არ ვუჯერებ... „საფეხბურთო დონე როგორია, საჯა, ძლიერი ფეხბურთელები ბევრია?" აქამდე ჩუმად მყოფმა იმედაძემ ხმა ამოიღო.

ამასობაში ერთი საათიც მიილია და მწვრთნელებმა მოთამაშეთა გამომახება დაიწყეს. დადგა ახალი ფორმების დარიგების დროც. ვახტანგ კოპალეიშვილი ჩაფიქრებული დადის. ეტყობა, რაღაც გადაწყვეტილების მიღება უჭირს.

მოულოდნელად ვიტჯორჯიელ გიორგი ადამიას უხმობს კოპალეიშვილი. ცალკე გაჰყავს და რამდენიმე წუთი რაღაცას უხსნის. მერე ადამია ბრუნდება, ჩანთას ზურგზე იკიდებს, ბიჭებს წარმატებულ თამაშს უსურვებს და მიდის.

აშკარად გული დასწყდა გიორგის, თუმც არ შეუმჩნევია. კოპალეიშვილიც მხრებშია აწურული. მწვრთნელს ეროვნულში გაწვეული მელქაძის სანაცვლოდ ადამიას იმედი ჰქონდა, მაგრამ ბოლო წამს დავით ყიფიანმა და რევაზ ძოძუაშვილმა „ვიტ ჯორჯიას" ბომბარდირი ახალგაზრდულს დაუბრუნეს. ადამიასთვის ადგილი აღარ დარჩა, თუმც კოპალეიშვილის მტკიცებითვე, მომავალში გიორგის კიდევ მიეცემა შანსი.

სანამ დროა, ვცდილობ, ლეგიონერებს ორიოდ სიტყვა ვათქმევინო, თორემ სასტუმროში თუ შემასწრეს... კოპალეიშვილის თხოვნა იყო, ვისაც ფეხბურთელებთან გასაუბრება გსურთ, ახლა მოასწარით, თორემ ჟურნალისტებისადმი დიდი პაჩივისცემის მიუხედავად, „მონოპოლში" ვერავის შემოგიშვებთო.

ძალიან ცოტა დრო აქვთ ახალგაზრდულის თავკაცებს. ის კი არა, კოპალეიშვილმა მობილური ტელეფონები ჩამოართვა ყველას. მოსაცდენად არ გვცალია, მხოლოდ თამაშზე იფიქრეთო.

პირველად სკონტოელები მოვიხელთე.

***ლევან კორღალიძე:*** თასი მოვიგეთ, ალბათ, ჩემპიონებიც გავხდებით. რეხვიაშვილი და მე სისტემატურად ვთამაშობთ. ნელ-ნელა დათო ჩალაძეც იბრუნებს ფორმას. მძიმე ტრავმა გადაიტანა და... გივიც ეჩვევა გუნდს და მალე ძირითადშიც დამკვიდრდება.

***გივი კვარაცხელია:*** ახლა კარგად ვარ, თავიდან ტერფის ტრავმამ გამაწვალა. სტარკოვიც მაიმედებს, სანერვიულო არაფერია, გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელი ხარო.

მოლდოველი ქართველები ხომ დაუშორებლები არიან. პასუხებსაც ერთდროულად და ერთნაირს იძლევიან:

***ლევან გვაზავა და ლადო ახალაია:*** ჯერჯერობით „შერიფი" გვჯობნის. ტირასპოლელებმა თასიც წაიღეს და თამაშიც მოგვიგეს. ჩემპიონატის ბოლომდე ორი ტურია დარჩენილი და ქულით წინ არიან. იქნებ წაიფორხილონ სადმე, „ზიმბრუს" იმედიც ეს არის. მუჯირი „შერიფში" მეფეა, არც თარხნიშვილს სცემენ ნაკლებ პატივს. რაც შეგვეხება ჩვენ, ორივე ვთამაშობთ. ხან ძირითადში ვართ, არადა შეცვლებზე მაინც გვიწევს გამოსვლა. მოკლედ, უთამაშებლობას არ ვუჩივით.

მოსკოველებს, „სპარტაკის" ოთარ ხიზანეიშვილსა და „ლოკომოტივის" ლადო კაკაშვილს ძირითადში უთამაშებლობას ფარმ-კლუბებში ბურთაობაღა უნაზღაურებთ.

***ლადო კაკაშვილი:*** ბედი არ გინდა, ვერც ამჯერად წავყევი ძირითად გუნდს შეკრებაზე. სიონმა „ლოკომოტივი" საფრანგეთში წაიყვანა. რუსეთში ორკვირიანი პაუზაა და იქ უკეთ მოვემზადებითო. ამჯერად გული არ დამწყვეტია, მე ხომ ნაკრებში გამომიძახეს. თუ არ ვცდები, ზაზა ჯანაშიაც შეკრებაზე გაჰყვა გუნდს.

***ოთარ ხიზანეიშვილი:*** რომანცევს რომ ვუსმინო, „სპარტაკს" ნელ-ნელა მაჩვევს. რად მინდა ისეთი შეჩვევა, თუ ფეხბურთის თამაში დამავიწყდა. ნერვები გამიფუჭდა ამდენ გაურკვევლობაში. ტრავმებისგან კი განვიკურნე, ახლა აღარაფერი მაწუხებს და, ალბათ, კლუბსაც გამოვიცვლი.

ვახტანგ კოპალეიშვილმა ფეხბურთელები ავტობუსში ჩასხა და სასტუმროს გზას ისე გაუყენა, თავადაც არ იცოდა, გუნდს სად ავარჯიშებდა. წვიმამ „არმაზი" გამოუსადეგარი გახადა. არჩევანი ორი დარჩა, ორივე არასახარბიელო, მაგრამ ამას ვინღა დაეძებდა. ან სასოფლოს სტადიონი, ანაც „სინათლე". მწვრთნელებმა ავჭალა ირჩიეს. საღამოს შვიდის ნახევარზე კი, ახალგაზრდულმა საათნახევარი რუსთავში ივარჯიშა. „სინათლეო" და საბოლოოდ ახალგაზრდულ გუნდს „ფოლადზე" უკრეს თავი. 18 ფეხბურთელში ჯერჯერობით ყველა ჯანმრთელადაა. წინ კი ორი დღეა. მოასწრებს ბიჭების მოშზადებას კოპალეიშვილი?..

**გამუკა კვანტალიანი**

ბუბა ფილიპოვიჩის ფოტო

ახალგაზრდულ გუნდს ლევან მელქაძისა (შუაში) ჯერაც ეიმედება

# ვიტ ჯორჯიამ ფეხბურთელები დასაჯა

**ბრინჯაოს** ბედი მეთორმეტე ეროვნულის ბოლო ტურიც ცხუმეთში გალეწყდა. ათგზის ჩემპიონმა მასპინძელ „ვიტ ჯორჯიას" გოლი ვერ გაუტანა, არც თავად გაუშვა და... „დინამომ" ირგუნა მესამე ადგილი.

მერე ემოციებს აყოლილმა ვიტელებმა თავიანთ მეთოკეს, ჟიჟიანაძეს შეაგინა, მელქაძემ ბურთი მოისროლა, სათადარიგო დოლიძე და ერთ-ერთი მწვრთნელი ზურაბ ბერიძე მსაჯს გამოეინთნენ, თუმც კარგად მორბენალ კვარაცხელიას რას დაეწეოდნენ.

იმ თამაშზე ბევრი ითქვა და დაიწერა, გამეორებას არც ჩვენ ვაპირებთ, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, კვარაცხელიას ფიზიკურად არავინ შეხებია, იყო მხოლოდ მცდელობა.

24 მაისს, თამაშის მეორე დღესვე, „ვიტ ჯორჯიას" ოფისში კლუბის დირექტორატი, ფეხბურთელები და მწვრთნელები შეიკრიბნენ. კრებაზე ყველამ თავისი თქვა, ხელმძღვანელობა კი შეუვალი აღმოჩნდა.

გიორგი ყიფიანი და ლევან მელქაძე 150 ლარით დაჯარიმდნენ, დოლიძე კი 300 ლარს დაკარგავს. ცალკე დაისჯება მწვრთნელი ზურაბ ბერიძეც. სინიორ კარნევალის კი მიეთითა, გუნდში არსებული დისციპლინა მკაცრი განხილვის საგნად იქცესო. 7-10 ივნისს ვეტერინარებმა სამსაჯო კომიტეტის თავკაცი ანატოლი მილჩენკო სტუმრად მიიწვიეს. მილჩენკოც ვიტელებს ლექციებს წაიკითხავს ფეხბურთელთა მოედანზე ქცევისა და ახალი წესების შესახებ.

**დათო დანელია**

ბუბა ჟღენტაძის ფოტო

დავით დოლიძეს (მარჯვნივ) სერგო კვარაცხელიასთან (მარცხნივ) სირბილში გაჯიბრება 300 ლარი დაუჯდა

# ჯიშკარიანი ფიქრობს...

**ჩემპიონთა** ლიგაში ნათამაშევი პირველი ქართველი ფეხბურთელი, სოხუმის „ცხუმისა" და ეროვნული გუნდის ყოფილი მოთამაშე, საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი და თასის მფლობელი, უკრაინის ჩემპიონი მიხეილ ჯიშკარიანი საფეხბურთო კარიერის დასრულებას აპირებს.

— საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია, მაგრამ ბუცების შენახვაზე უკვე ვფიქრობ. ამის მიზეზი ტრავმებია — გვითხრა ჯიშკარიანმა სატელეფონო საუბრისას.

ვეტერანი ქართველი ფორვარდი ბოლოს შარშან, „ლოკომოტივ" — „ტორპედოს" სათასო ფინალისას ვნახეთ. ჯიშკარიანი მაშინ რევაზ ძოძუაშვილის გუნდს შეეშველა თასის მოპოვებაში და ფინალშიც ურიგოდ არ გამოიყურებოდა.

ამის შემდეგ ჩვენებური რუსულ „ტორპედო ზილში" დაბრუნდა, თუმც გუნდის ძირითადში რამდენიმე თვე არ გამოჩენილა.

— ჯვარედინი იოგები დამიზიანდა, მკურნალობით ვერას გავხდი და ოპერაცია გავიკეთე. ექვსი თვეა, არ მივარჯიშია და სარეაბილიტაციო პერიოდი, ალბათ, კიდევ ორიოდ თვეს გასტანს.

1991-92 წლების საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეს ეროვნულ ჩემპიონატში სამტრედიულ „სანავარდოსა" და სოხუმის „ცხუმში" უთამაშია. მანამდე თბილისისა და ბათუმის „დინამოებშიც" მოუსინჯავს ძალა.

**დათო დანელია**

ბუბა ჟღენტაძის ფოტო

მიხეილ ჯიშკარიანის (მარცხნივ) ტიტულებს შარშან მოგებული საქართველოს თასიც ამშვენებს

„ტორპედოს“ მეკარეები წყვილად: ირაკლი ზოიძე და ნიკოლოზ ტოგონიძე (შუაში) წყვილი ტიტულის მოგების მერე

გადრე ჯეიოლაძის ფოტო

# დუბლი №2

## ზოიკიდან ტოგონიძემდე

**წლევანდელი** თასის ფინალი რიმეიქად მოინათლა.

მონაწილენი: იგივენი.

მატჩის ანგარიში: იგივე — ისევ 120 უგოლო წუთი.

უბრალოდ, როლები გაიცვალა, თორემ არც სიუჟეტი შეცვლილა: ის რაც შარშან „ტორპედოსთვის“ დრამა იყო, წლეულს „ჰეფი ენდად“ იქცა. ცხადია, პირიქით მოხდა ყველაფერი „ლოკომოტივისთვის“.

ერთი სიტყვით, წლეულს უკვე გასამებულმა რეჟისორთა ჯგუფმა ისევ შარშანდელ სცენარს მისდია, მასში ცოტა რამ (მაგალითად, მოქმედების ადგილი) ჩაასწორა და არნახული შედეგი მიიღო: 33 ათასი მაყურებელი „ლოკომოტივის“ განახლებულ სტადიონზე.

მთელს საგაზაფხულო ეტაპზე გამართულ ზეექვსეულის 30 მატჩს ოდენ ორი ამდენზე ოდნავ მეტი დაესწრო. ახლა რომ ვთქვათ, საშაბათო პუბლიკის სიმრავლე მთლიანად უბილეთო შესვლამ განაპირობაო, მართალი არ ვიქნებით. ჯერ ერთი, შაბათს ვაკეში ბევრად მეტმაც შეიარა — დიდმა ნაწილმა სტადიონი გახსნისადმი მიძღვნილი კონცერტის მერე დატოვა და ტრიბუნები მხოლოდ ფეხბურთის საცქერლად მოსულებმა შეავსეს;

მეორეც, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გახსნილი „ლოკომოტივი“ თვით ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მოინახულა.

ორი დღის წინანდელი მუხროვანის მოვლენების და ამას დამატებული კახა კალაძის ძმის გატაცების ფონზე შევარდნაძესთან სიახლოვე ცოტას როდი დააფრთხობდა, მით უმეტეს, სხვაგან ვერ გეტყვით და, სერგო ორჯონიკიძის ნაძეგლართან ნახევარი საათით გადაკეტეს ვაკე-საბურთალოს გზა. (გავზომე და გეტყვით, აქედან სტადიონამდე ფეხით ამდენივე ხნის სავალია(?!);

და მესამეც, უბილეთობა სატყუარად ვერ გამოდგება, ბილეთის ფასი — საფრთხობელად. ხომ გახსოვთ, რუმინეთთან სანაკრებო მატჩზე ფედერაციას დამატებითი ბილეთების დაბეჭდვა რომ დასჭირდა. ჰოდა, იმ მარცხ-სირცხვილის შემდეგაც ხალხი სანთლით დაეძებს იტალიასთან მატჩზე დასასწრებ 15-20-ლარიან ბილეთებს. ერთი კვირის წინ რედაქციაში ერთი პატიოსანი მკითხველი გვესტუმრა — ეგებ, თქვენი ბიბლიოთეკა ერთი ბიბლიოგრაფიული იშვიათობით გაამდიდროთო — საიტალიო ბილეთის კაპიკს კაპიკზე აწებებდა...

ნაკრები ერთია და სხვაა, მაგრამ მთავარი მაინც ფეხბურთის დონეა. ზემოთ ნახსენები 78 ათასი ქომაგიდან 45 ათასმა ქუთაისის „ტორპედოს“ 5 საშინაო მატჩი იხილა. ეს ნიშნავს, რომ ორმა მესამედმა სწორედ იმ სტადიონს მიაკითხა, რომლის სტუმრებსაც უკვე მეხუთე წელია, ხელახლა ჩამოუყალიბდათ ბილეთისა თუ აბონემენტის შეძენის კულტურა.

ერთი სიტყვით, მთავარია, ფეხბურთის ხილვის იმედი ჰქონდეს კაცს და სხვას არას მოერიდება.

და კიდევ, აუცილებელია სიახლე. ამჯერად სიახლე ახალი, შესანიშნავი სტადიონი იყო, სტადიონი, რომელიც ხალხისთვის აიგო და ხალხსვე დარჩება. ეგაა, მწვრთნელთა ჯანმრთელობაზე უფიქრიათ ძალიან ცოტა დამპროექტებლებს — გვერდით სანაგვე (უფრო გიგანტური საფერფლე) და ანფასში მზე, რომელიც თამაშის ცქერას არ გაცლის.

და მაინც, ეს ყველაფერი იყო ის სასიამოვნო სიახლე, რამაც მილეთის ხალხი, როგორც ბუზი თაფლს, დაასია.

თუმცა სტადიონზე მისულს მხოლოდ გაზონ-ტრიბუნის სიახლით ვერ დააპურებ. სანახაობაა მთავარი — განახლებული პროგრამა.

გახსოვთ, რით მორჩა ჩემპიონატი? წინა ტურში გაჩემპიონებულმა ქუთაისის „ტორპედომ“ 0:1 წააგო აქვე, ვაკეში, თბილისის „ლოკომოტივთან“.

რიმეიქიო თავიდან ვთქვით და იყო რიმეიქის რეპეტიციაც.

მთავარი პარტია კი მთელს ამ რემიქსში ირაკლი ზოიძემ შეასრულა — 120-ე წუთზე, ზედ პენალტების სერიის წინ გამოცვლილმა ირაკლი ზოიძემ.

აი, სად გამრუდდა შარშანდელი სცენარი. აი, სად იუარეს რეჟისორებმა ძველი შტამპები და სიახლე შემოგვთავაზეს — ბოლოს და ბოლოს ჩვენ ვნახეთ ის, რასაც შარშანდელ ფინალშიც ყელგამოწვდილი იხვეწებოდა „ტორპედოს“ ძირითადი მეკარე, მაგრამ მაშინ ყური არავინ ათხოვა, მესამე შეცვლა სხვაგვარად დაიჭირვეს.

და თქვენ გგონიათ, ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველი არაა?

ვის, ვის და, ვაკეს ახსოვს მატჩის მიწურულს შეცვლილი მეკარე, მაგრამ შეცვლილზე მეტად ახსოვთ შემცვლელი ლევან დოლაბერიძე, რომელმაც ორი პენალტი უკუაგდო და პირველად გამოთიშა თბილისის „დინამო“ ასე ნაადრევად (მერვედფინალიდან) თასისთვის ბრძოლას. მეოთხედფინალში კი დოლაბერიძის „ლოკომოტივმა“ იგივე წესით, ოღონდ სტუმრად, „ბათუმი“ მოინელა.

ახსოვთ დოლაბერიძე, რომელიც 118-ე წუთზე თემურ მახარაძის გადაწყვეტილებით ცვლიდა დავით ჯანელიძეს.

აქ კი, თქვენს ყურადღებას სავანგებოდ მივაპყრობ, ზოიძე საკუთარი ნებასურვილით შეიცვალა. შარშანდელისგან განსხვავებთ, როგორც ჩანს, აბსურად ასეთი რამ გათვალისწინებული და მწვრთნელებთან შეთანხმებული იყო. თუმცა ვერც ამას დაიჩემებს კაცი, რადგან მისი შეცვლა გაჭიანურდა, მსაჯს დროულად არ ეცნობა და ლამის იყო, ჩაიშალა.

ასე, ისე, 120-ე წუთზე „ტორპედოს“ კარში უკვე ნიკოლოზ ტოგონიძე იდგა.

მომხდარი ირაკლი ზოიძეს ზოგმა ლაჩრობაში ჩამოართვა, ზოგმაც დიდსულოვნებაში. მეორე მხარე უფრო მართალია, რისი მიზეზიც არცთუ ცოტაა.

შეცვლის მსურველი მეკარე ისევე უნდა დაკმაყოფილდეს, როგორც უარი არ უნდა ეთქვას ხუთეულში არშეყვანით გულდაწყვეტილ აქვსენტი გილაურს მეექვსე პენალტის დარტყმაზე.

ეს მოედანზევე, ოპერატიულად გადასაწყვეტი საკმაოდ მარტივი საკითხებია სრულიად დასაშვები გართულებებით. ფეხბურთში არსებობს დაუწერელ კანონთა მთელი რიგი, რომელსაც, გაგიმართლებს თუ არა, უნდა მისდიო. დაარღვევ და წააგებ, არავინ გაგამართლებს. გამარჯვებულებს კი, მოგეხსენებათ, ისედაც არ ასამართლებენ.

ზოიძეს დაცვა არ სჭირდება, პენალტის მოგერიებაც ბევრზე უკეთ ეხერხება. მარტო წლეულს სამჯერ შეძლო ეს. მაგრამ ჩვენში ზოიძეს პენალტისტთა მომთვინიერებლის სახელი არა აქვს. ასეთად უფრო მის შემცვლელ ტოგონიძეს და „ლოკომოტივის“ მეკარე გიორგი ლომაიას (შარშანდელ ფინალში ორი დარტყმა მოიგერია) იცნობენ.

ამ საქციელით ზოიძემ პენალტებამდელი ანგარიში გაათანაბრა. უფრო სწორად, დაწინაურა კიდეც „ტორპედო“, „ლოკომოტივი“ კი წაახდინა.

და რომ არა არბიტრ მერაბ მალაღურაძის მძიმე შეცდომა (ხუთამდე სათვალავი აერია და „ტორპედოს“ ნაადრევად მიულოცა, მერე კი ყველაფერი ლამის თავიდან დაიწყო), ტოგონიძე ეგებ ბურთს ვერც შეხებოდა, ისე მოეგო ჩემპიონს. ასეთ შემთხვევ,ში გმირი სწორედ ზოიძე იქნებოდა, ახლა კი დიდება კოლეგას დაუთმო.

ნიკოლოზ ტოგონიძემ თითქმის სრული სეზონი სკამზე გაატარა, ცალკე ტრავმის და ცალკე კონკურენტის უშეცდომობის გამო, მაგრამ მისი შეძენა, „ტორპედოს“, ცხადია, მხოლოდ იმ ერთ ნახტომად ულირდა, რომელმაც პირველად მოაპოვებინა ქართული დუბლი.

სამართლიანები ვიყოთ. „ტორპედო“ რომ უთასოდ არ დარჩა, ზოიძის დამსახურებაც იმდენადვეა, რამდენადაც ტოგონიძისა.

ამ შეცვლამ დაგვანახა, რომ „ტორპედო“ გუნდია და არა მხოლოდ ისეთ სახელთა კრებული, რომლის პატრონებსაც ძალუძთ შუა თამაშში ერთ-ერთ მთავარ მწვრთნელს ისეთი დაულრიალონ, დი კანიოც რომ არ იკადრებს.

სწორედ ამიტომ, სხვისი არ ვიცი და, თავად განვლილი სეზონის საქართველოს საუკეთესო სამეულს რომ ჩამოვწერ, ვერც ირაკლის დავივიწყებ.

ასაკშემატებული და დაღვინებული ზოიძე თანაგუნდელ გივი დიდავასთან (სამი დუბლი „დინამოში“) ერთად ის იშვიათი გამონაკლისია, რომელმაც ჩემპიონობის და თასის მოგება ორ ქართულ გუნდში („დინამოში“ ხუთჯერ) შეძლო.

ასე რომ, ეს დუბლი №2 მისთვისაცაა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

ირაკლი ზოიძემ (№1) გიორგი შენგელიას ბურთი არ დაანება

გიორგი ლომაიას ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი
რეგიონული ლიგა
მერეკალი
# ეროვნული ლიგა
# მივიწყლვა

**დასრულდა** საქართველოს ჩემპიონატი რეგიონულ ლიგაშიც. ერთი საფეხურით ზემოთ აინაცვლეს ოჩამჩირის „ამირანმა“, ზუგდიდის „ლაზიკამ“ და თბილისის „ლოკომოტივი 3“-მა. მათ „ზუგდიდის“, „ივერიისა“ და „თბილისის“ ადგილები დაიკავეს პირველ ლიგაში.

„ლაზიკამ“ სოლიდური უპირატესობით ჩაამთავრა სეზონი. შედარებით დაძაბულ ბრძოლებში მოიგეს პირველი ლიგის საგზურები „ამირანმა“ და „ლოკომოტივი 3“-მა.

## დასავლეთის ზონა

XXII ტური

**სძური 3:1 დინამო (სოხუმი)**

**სამეგრელო 3:1 მზიური**

**კოლხეთი 2 1:1 ინტერი**

**მერცხალი 5:1 ბათუმი 2**

**გურია 2 3:0 სალხინო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 22 | 18 | 2 | 2 | 70:39 | 56 |
| სქური | 22 | 15 | 3 | 4 | 52:22 | 48 |
| მზიური | 22 | 14 | 3 | 5 | 53:30 | 45 |
| კოლხეთი 2 | 22 | 12 | 6 | 4 | 34:15 | 42 |
| ინტერი | 22 | 9 | 7 | 6 | 43:24 | 34 |
| ბათუმი 2 | 22 | 8 | 5 | 9 | 32:31 | 29 |
| დინამო (სოხ) | 22 | 7 | 6 | 9 | 33:32 | 27 |
| მერცხალი | 22 | 7 | 4 | 11 | 29:35 | 25 |
| სამეგრელო | 22 | 6 | 5 | 11 | 26:41 | 23 |
| სულორი | 22 | 6 | 2 | 14 | 22:62 | 20 |
| გურია 2 | 22 | 4 | 3 | 15 | 33:65 | 15 |
| სალხინო | 22 | 1 | 4 | 17 | 14:58 | 7 |

**ბომბარდირი:**

*გ. თოდუა (ლაზიკა) — 30 გოლი*

## ცენტრალური ზონა

XX ტური

**მესხეთი 0:1 ამირანი**

**ვარძია 2:2 ვიტ ჯორჯია 2**

**დილა 2 3:2 ოლიმპიკი**

**ს.ა.იბერია 3:0 საბურთალო**

**ვალენსია 83 0:3 მრეტები**

*„საბურთალო“ და „ვალენსია 83“ მოხსნილია გათამაშებიდან, შესაბამისად „ს.ა.იბერიასა“ და „მრეტებს“ ჩაეთვალათ მოგება 3:0*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამირანი | 20 | 16 | 1 | 3 | 40:15 | 49 |
| დინამო 2 | 20 | 15 | 2 | 3 | 56:13 | 47 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 20 | 12 | 5 | 3 | 46:17 | 41 |
| ოლიმპიკი | 20 | 11 | 0 | 9 | 35:19 | 33 |
| ს.ა. იბერია | 20 | 8 | 8 | 4 | 39:18 | 32 |
| მესხეთი | 20 | 7 | 3 | 10 | 18:32 | 24 |
| მრეტები | 20 | 6 | 5 | 9 | 20:25 | 23 |
| დილა 2 | 20 | 6 | 4 | 10 | 26:41 | 22 |
| ვარძია | 20 | 5 | 5 | 10 | 19:31 | 20 |
| ვალენსია 83 | 20 | 4 | 3 | 13 | 16:42 | 15 |
| საბურთალო | 20 | 0 | 2 | 18 | 4:66 | 2 |

**ბომბარდირი:**

*ბ. ქარდავა (დინამო 2) — 12 გოლი*

## აღმოსავლეთის ზონა

XX ტური

**შსს აკადემია 2:1 კავკასიონი**

**ზოოვეტი 1:1 ალაზანი**

**ჭაბუკიანი 3:2 ცხუმი**

**სამგორი 0:1 ხალიბი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 3 | 20 | 15 | 4 | 1 | 50:13 | 49 |
| ჭაბუკიანი | 20 | 15 | 3 | 2 | 58:15 | 48 |
| შსს აკადემია | 20 | 15 | 3 | 2 | 40:15 | 48 |
| ალაზანი | 20 | 10 | 3 | 7 | 37:26 | 33 |
| ხალიბი | 20 | 9 | 4 | 7 | 31:28 | 31 |
| ცხუმი | 20 | 9 | 4 | 7 | 24:19 | 31 |
| ზოოვეტი | 20 | 7 | 3 | 10 | 24:24 | 24 |
| ასკ | 20 | 5 | 1 | 14 | 26:44 | 16 |
| თბილისი 2 | 20 | 4 | 2 | 14 | 18:47 | 14 |
| სამგორი | 20 | 3 | 3 | 14 | 17:53 | 12 |
| კავკასიონი | 20 | 2 | 2 | 16 | 16:62 | 8 |

*„თბილისი 2“ მოხსნილია ჩემპიონატიდან*

**ბომბარდირი:**

*გ. ა. მიქაძე (ჭაბუკიანი) — 15 გოლი*

**კახა ზალამბერიძე**

# შოთამ ალკმარს მრთი აკმარა

**ჰოლანდიის** ჩემპიონატის პირველი სამეული ბოლოს მაინც მოულოდნელად დალაგდა. უფრო სწორად, მესამე, წესით „როდა“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენდა სასიამოვნოდ ეს ადგილი „აიაქსმა“ დაიკავა და ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი წრის საგზურიც მიიღო.

კვირას „აიაქსმა“ „ალკმარს“ 5:1 მოუგო, „როდა“ კი „ვალვაიკთან“ დამარცხდა და „უტრეხტთან“ ერთად უეფას თასზე მოუწევს ბრძოლა.

„ალკმარს“ ხუთიდან ერთი შოთა არველაძემ გაუტანა. საინტერესოა, რომ ბოლო ოთხ მატჩში შოთამ ხუთი ბურთი შეაგდო, რაც ქართველი თავდამსხმელისთვის არცთუ წარმატებული სეზონის ბოლოს ჩინებული შედეგია.

მაშ ასე, „დიდი სამეული“: „ეინდჰოვენი“, „ფეიენოორდი“ და „აიაქსი“ ჩემპიონთა მარაქაში გაერევიან. ჰოლანდიის პირველ ლიგაში დასარჩენად კი ჯერ გადასასვლელი მატჩებია ჩასატარებელი. წესი ასეთია, უმაღლესი ლიგის ორ გუნდს პირველის ექვსიც დაემატება. ამათ ორ ოთხგუნდა ჯგუფად დაყოფენ და გამარჯვებულები ელიტარულ საზოგადოებაში ადგილს შეინარჩუნებენ.

წინა კვირა სათასო ფინალების სიმრავლით გამოირჩეოდა. ამ საქმეში ჩვენებურთა სამი გუნდიც მონაწილეობდა. ლატვიაში „სკონტომ“ შინ 2:0 მოუგო „დინაბურგს“ და ქვეყნის თასს მეექვსედ დაეუფლა, გოლები მიხოლაპსმა და ზაკრეშევსკისმა გაიტანეს. პირველ ტაიმში დინაბურგელებს უჯობნიათ, მერე კი „სკონტოს“ თამაში დაულაგებია და დამსახურებულადაც გაუმარჯვია: „თავიდან მართლაც ძალიან ცუდად ვითამაშეთ. მერე კი მებრძოლი ხასიათი გამოვავლინეთ. მადლობა ბიჭებს ასეთი თამაშისთვის. მგონი, „დინაბურგი“ ლატვიაში ყველაზე უკეთ ეთამაშება „სკონტოს“ — განაცხადა მატჩის შემდეგ გამარჯვებულთა კაპიტანმა ალექსანდრე რეხვიაშვილმა. ისიც სათქმელია, რომ პირველი ტაიმის ბოლოს დინაბურგელ პრიხოდკოს პენალტი მეკარე პიედელსმა აუღო.

ქართველებისა გახდა მოლდოვის თასიც. მუჯირისა და თარხნიშვილის „შერიფმა“ ფინალში პენალტებით დაამარცხა ოტაჩის „ნისტრუ“. სათამაშო დროში გოლები არ გასულა. მერე კი „შერიფმა“ 5:4 მოიგო. პირველი თერთმეტმეტრიანი მუჯირმა გაიტანა, ბოლო თარხნიშვილმა.

ტირასპოლის „შერიფს“ ალბათ ქვეყნის ჩემპიონობაშიც ვერავინ შეეცილება. აი, ბოლო ტურშიც „ჰაიდუკ სპორტინგი“ 5:1 დაიბრიყვეს. მუჯირმა ორი შეაგდო. პირველი დასაწყისშივე საჯარიმოდან, დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კი პენალტიც ზუსტად შეასრულა და წერტილიც დასვა. ახლა დათოს 15 გატანილი გოლი მოუგროვდა. ამდენივე აქვს მის თანაგუნდელ ბარბეროშს. ბომბარდირთა დავასაც ესენი მეთაურობენ.

ლევან მიქაძის ცსკა-მ კი უკრაინის ახალდამზადებული თასის გადამწყვეტი მატჩი „შახტართან“ დათმო. ლევანი თამაშს სათადარიგოთა სკამიდან უცქერდა.

უკრაინაშივე ტრაპაიძისა და ვასო გიგიაძის „ტავრიამ“ „სტალთან“ მოგებით ინტერტოტოს საგზური მოიპოვა. თუმცა, ჩვენი უკრაინელი კოლეგების თქმით, კლუბის დირექტორი, რუვიმ არონოვი წლევანდელი სეზონით უკმაყოფილო ყოფილა — რომ გვეკუთვნოდა, ისეთ ადგილზე ვერ ვდგავართო.

ჩემპიონატი დამთავრდა ისრაელშიც. კობა წიტაიშვილის „ირონი“ ბოლო ტურში „ცაფრირიმს“ გაუსწორდა და სეზონი მეცხრე ადგილზე დაასრულა. ლეუმითში, ანუ ქვედა ლიგაში კი „ცაფრირიმი“ და „ბნეი იეჰუდა“ ჩაეშვნენ.

კობამ, რომელიც ზამთარში ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლეებს შორის იმყოფებოდა, ბოლოს თავი ვეღარაფრით გამოიჩინა და 12-12 გოლით იერუსალიმელ ალონ მიზრახისთან მეცხრემეათე ადგილები გაიყო. ბომბარდირი კი 25 გოლით თელ ავივის მაკაბელი ავი ნიმნი გახდა.

სხვათა შორის, ბოლო ტურში, ჰაიფისა და თელ ავივის „მაკაბების“ მატჩის დამთავრებამდე რვა წუთი რჩებოდა, მასპინძლები კი 3:2 იგებდნენ, როცა ასეულობით ფანმა დამცავი მესერი გაანგრია და მინდორს შეესია. არეულობაში 43 ადამიანი დაშავდა, ათეულობით მათგანი კი შოკიდან ძლივს გამოიყვანეს. ამათ ამბავს უახლოეს დღეებში გაარკვევენ.

შვეიცარაიში ჯამარაულ-ყაველაშვილის „ციურიხმა“ საბოლოოდ მერვე ადგილი დაიკავა. ლევან ხომერიკის „არაუ“ კი ნარევ ჯგუფში მეორეზე გავიდა და გაისად კვლავ უძლიერესთა შორის ითამაშებს.

**სოლომონ გულისაშვილი**

შოთა არველაძემ (მარჯვნივ) ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ოთხ მატჩში ხუთი გოლი მიითვალა

რაღა ჩემპიონთა და რაღა ლატვიის თასი. ეს პრიზი პირველმა „სკონტოს“ კაპიტანმა ალექსანდრე რეხვიაშვილმა ჩაიბარა

| სახელი | გვარი | გუნდი | | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია** | | | | | | | | | | |
| **სერია A** | | | | | | | | | | |
| კახა | კალაძე | მილანი | ს | | რომა 1:1 | 59 | გააფრთხილეს, გააძევეს | 16 | 2 | 5 |
| **ესპანეთი** | | | | | | | | | | |
| **პრიმერადივიზიონი** | | | | | | | | | | |
| გიორგი | დემეტრაძე | სოსიედადი | ს | | სარაგოსა 1:1 | 4 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 15 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | | | |
| შოთა | არველაძე | აიაქსი | შ | | ალკმარი 5:1 | 63 | 1 გოლი, შეცვალეს | 27 | 18 | 3 |
| გოგა | გახოკიძე | ჰსვ ეინდჰოვენი | ს | | ნაიმეგენი 4:2 | 20 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 1 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | | | |
| **უმაღლესი დივიზიონი** | | | | | | | | | | |
| გოჩა | ჯამარაული | ციურიხი | შ | | ლოზანა 1:2 | 0 | | 33 | 9 | 8 |
| მიხეილ | ყაველაშვილი | ციურიხი | შ | | ლოზანა 1:2 | 90 | 1 გოლი | 32 | 13 | 8 |
| **A/B ჯგუფი** | | | | | | | | | | |
| ლევან | ხომერიკი | არაუ | ს | | ბელინცონა 6:1 | 90 | 1გოლი | 28 | 9 | 2 |
| **რუსეთი** | | | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | | | |
| ზაზა | ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | | ზენიტი 5:1 | 45 | 1გოლი, შეცვალეს | 10 | 3 | 5 |
| ვლადიმერ | კაკაშვილი | ლოკომოტივი | შ | | ზენიტი 5:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| ოთარ | ხიზანეიშვილი | სპარტაკი | ს | | ტორპედო 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| ზურაბ | ფოფხაძე | ალანია | შ | | ჩერნომორეცი 1:0 | 0 | | 5 | 0 | 10 |
| თორნიკე | რუხაძე | ალანია | შ | | ჩერნომორეცი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| დავით | ხმელიძე | როსტსელმაში | ს | | დინამო 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 14 |
| **პირველი ლიგა** | | | | | | | | | | |
| ზვიად | ჯელაძე | კრისტალი | ს | | არსენალი 0:0 | 0 | | 6 | 0 | 2 |
| თენგიზ | სიჭინავა | კრისტალი | ს | | არსენალი 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 7 | 0 | 2 |
| თეიმურაზ | გადელია | კრისტალი | ს | | არსენალი 0:0 | 9 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 1 | 2 |
| გიზო | ჯელაძე | ბალტიკა | შ | | ხიმკი 1:1 | 71 | შეცვალეს | 4 | 0 | 15 |
| იური | გაბისკირია | სპარტაკი | შ | | ამკარი 1:0 | 0 | | 6 | 0 | 4 |
| **უკრაინა** | | | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | | | |
| გოჩა | ტრაპაიძე | ტავრია | ს | | სტალი 1:0 | 89 | შეცვალეს | 20 | 2 | 8 |
| ვასილ | გიგიაძე | ტავრია | ს | | სტალი 1:0 | 52 | შეცვალეს | 17 | 4 | 8 |
| ავთანდილ | კაპანაძე | ნივა | | | ტური გამოტოვა | | | 15 | 6 | 14 |
| ტარიელ | კაპანაძე | ნივა | | | ტური გამოტოვა | | | 15 | 1 | 14 |
| ავთანდილ | გვიანიძე | ნივა | | | ტური გამოტოვა | | | 9 | 2 | 14 |
| ლევან | მიქაძე | ცსკა | | | ტური გამოტოვა | | | ? | 0 | 6 |
| **თასის ფინალი** | | | | | | | | | | |
| ლევან | მიქაძე | ცსკა | ნ | | შახტარი 1:2 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | |
| **პოლონეთი** | | | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | | | |
| მამია | ჯიქია | რუხი | შ | | ზაგლებე 1:2 | 90 | | 18 | 1 | 8 |
| **ისრაელი** | | | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | | | |
| კობა | ნიტაიშვილი | ი. რიშონი | შ | | ცაფრირიმი 2:0 | 90 | | 32 | 12 | 9 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | | | |
| ლევან | ქებაძე | იანინა | შ | | პანილიაკოსი 3:0 | 18 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 21 | 3 | 12 |
| გოდერძი | ნატროშვილი | პანაჰაიკი | ს | | პოკ 1:5 | 65 | შეცვალეს | 10 | 1 | 13 |
| **ლატვია** | | | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | | | |
| ალექსანდრე | რეხვიაშვილი | სკონტო | შ | | სტალკერსი 7:2 | 90 | | 6 | 1 | 1 |
| ზურაბ | მენთეშაშვილი | სკონტო | შ | | სტალკერსი 7:2 | 57 | შეცვალეს | 3 | 0 | 1 |
| დავით | ჩალაძე | სკონტო | შ | | სტალკერსი 7:2 | 26 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 7 | 2 | 1 |
| ლევან | კორღალიძე | სკონტო | შ | | სტალკერსი 7:2 | 64 | შეცვალეს | 7 | 3 | 1 |
| გივი | კვარაცხელია | სკონტო | შ | | სტალკერსი 7:2 | 0 | | 3 | 0 | 1 |
| თამაზ | პერტია | რიგა | ს | | მეტალურგსი 1:2 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| **თასის ფინალი** | | | | | | | | | | |
| ალექსანდრე | რეხვიაშვილი | სკონტო | შ | | დინაბურგი 2:0 | 90 | | 3 | 0 | |
| ზურაბ | მენთეშაშვილი | სკონტო | შ | | დინაბურგი 2:0 | 0 | | 0 | 0 | |
| დავით | ჩალაძე | სკონტო | შ | | დინაბურგი 2:0 | 3 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 1 | |
| ლევან | კორღალიძე | სკონტო | შ | | დინაბურგი 2:0 | 89 | შეცვალეს | 4 | 1 | |
| გივი | კვარაცხელია | სკონტო | შ | | დინაბურგი 2:0 | 0 | | 2 | 1 | |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ПРОЗА ДА ПОЕЗИА ЕСПАНУРИ ФЕХБУРТИСТА

## გიორგი დარჯანია

**პრიმერადივიზიონში ორი ტურიღა დარჩა. ზოგი რამ გაირკვა, ზოგიც გასარკვევია. ქვემოთ ამაზე ვილაპარაკოთ და შიგადაშიგ ლირიკული გადახვევებიც ჩავურთოთ.**

## ფიგუ და ქალღმერთი

**არც ერთ** ქალს არ მოუხიბლავს ლუიშ ფიგუ ისე ძლიერ, როგორც ნაყოფიერების მითიურმა ქალღმერთმა სიბელესმა 26 მაისის ღამეს. თუმცა სიბელესი უბრალო ქალი ხომ არაა, ის ქალღმერთია. თუმცა ლომებშებმულ ეტლში მჯდარი სიბელესიც არაა მთავარი. მთავარი „პლასა სიბელესია“, სადაც ერთდება სული წარმართობისა და ქრისტიანობისა, სადაც ერთნაირად უძგერთ გული პოეტებსა და პოეზიის ტრფიალ უბრალო ადამიანებს, სადაც იშლება ზღვარი გულჩათხრობილ და ემოციურ ადამიანებს შორის, სადაც მიიჩქარის ფეხბურთით აღგზნებული ქომაგი „სანტიაგო ბერნაბეუდან“, სადაც უამრავ სიძველთა შორის მიიწევს გადაჭრილი ავტობუსი — სიურეალისტური ნახატი, ღირსი სალვადორ დალის ფუნჯისა.

და ლუიშ ფიგუსაც, კაცს, ცხოვრებაში გულჩათხრობილს, მხატვარს და პოეტს მინდორზე, სხვათა მსგავსად აღაფრთოვანებს „პლასა სიბელესი“ და ამით გვაძლევს დასტურს, რომ წმინდა ფსიქოლოგიური ტიპები არ არსებობენ და ფიგუს დარი ინტროვერსებიც, ქვის ქალღმერთზე ჩაზუტებულნიც ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან „რეალის“ სადიდებელს.

და ასეთ ჟამსაც ფიგუ ფიქრობს მეგობარ რაულზე და საზეიმოდ დებს ფიცს, რომ მიაწოდებს ბევრ კარგ პასს, რათა რაული გახდეს ესპანეთის „პიჩიჩი“ ანუ ბომბარდირი.

## რეალი შგაზოდ და შვალოდ

**კვირას** მადრიდში, „რეალის“ შტაბბინაში ასრულდა ის, რაზეც აგერ უკვე ათი თვეა ლაპარაკობდნენ. აქციონერთა საერთო კრებამ თითქმის ერთხმად, ხმების 92 პროცენტით გადაწყვიტა, რომ კლუბის ვალების გასტუმრება ქალაქის ცენტრში მდებარე დიდებული სპორტული კომპლექსის გაყიდვით უნდა მოხდეს. გავიხსენოთ, რომ ფლორენტინო პერესმა, როცა „რეალის“ პრეზიდენტის სავარძელში მოკალათდა და კლუბის ბუღალტერიაში ჩაიხედა, თავში ხელი წაიშინა და ვალებს ქონების გაყიდვით თუ გავისტუმრებთო, დაიწუწუნა.

„რეალის“ ვალი 250 მილიონი დოლარია.

მადრიდის მუნიციპალიტეტი სპორტულ კომპლექსს სამას მილიონად ყიდულობს.

„დღეს ჩვენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ამბავი ხდება — თქვა ფლორენტინო პერესმა — ბოლოს და ბოლოს, თავს დავაღწევთ ამ წყეულ ვალს, რომელიც რამდენიმე წელია, უმძიმეს ტვირთად გვაწვა“.

## ვაი, შენს ბარსას



კარლოს რექსაჩი

**კატალონიური** გივანტის დროებითმა მწვრთნელმა კარლოს რექსაჩმა კრიტიკული უწოდა კლუბში არსებულ ვითარებას. ბოლო ათ წელიწადში ორი შემთხვევა იყო, „ბარსელონას“ ჩემპიონთა თასზე და შემდეგ ლიგაში რომ არ უთამაშია, თორემ ისე სულ იქ იყო. სხვათა შორის, იმ ორჯერაც, 1990-91 და 1995-96 წლებში კატალონიელებმა თასების მფლობელთა თასი მოიგეს.

მაგრამ ლიგას სხვა ხიბლი აქვს. ახლა კი, შესაძლოა, „ბარსელონა“ ლიგის მიღმა დარჩეს. „ყველაზე ცუდი ისაა, რომ ჩვენ სხვათა შედეგებზე ვართ დამოკიდებული“ — თქვა რექსაჩმა. საქმე ისაა, რომ თუ მომდევნო, ბოლოსწინა ტურში „ვალენსიამ“ შინ დაამარცხა „დეპორტივო“, „ბარსელონას“ ვეღარაფერი უშველის. აი, ასეთი შედეგი მოუტანა რექსაჩს ამ უქმეებზე „კამპ ნოუზე“ „ოვიედოსთან“ მარცხმა. არადა, ოვიედოელებს იქამდე სტუმრად ჩატარებულ ჩვიდმეტ თამაშში სულ ექვსი გოლი გაეტანათ და ხუთი ქულა მოეხვეჭათ.

„ორივე დარჩენილ მატჩს მოვიგებთ, რაშიც ეჭვი არ მეპარება — განაგრძობს რექსაჩი — მაგრამ თუ მაინც ვერ მოვხვდით ლიგაში, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ“.

ადამიანის ბუნებაა და კატალონიელები მსუბუქად, მაგრამ მაინც ცდილობენ ცუდი შედეგის სხვათათვის გადაბრალებას. ჯერ იყო „სანტიაგო ბერნაბეუზე“ წამატებულ დროში რივალდოს არჩათვლილი გოლი, რომლის მიზეზადაც მსაჯმა აქტიური თამაშგარე დაასახელა. ბარსელონელები მას პასიურად თვლიან და დღემდე აპროტესტებენ. ახლა კი „ოვიედოსთან“ პატრიკ კლუივერტს არ ჩაუთვალეს გოლი, რაკი არბიტრმა მეტოქის მეკარეზე თავდასხმა შენიშნა. ჰოდა, მარტივი ანგარიშია: ამ არჩათვლილმა გოლებმა „ბარსელონას“ ოთხი ქულა დააკარგვინა, სწორედ იმდენი, რამდენიც „ვალენსიასთან“ აშორებს.

მაგრამ არიან ანტიბარსელონისტებიც, რომლებიც იტყვიან, რომ „რეალთან“ თამაშგარე მართლაც იყო, მსაჯებმა „ალავესთან“ უსინდისოდ მოაგებინეს, ლიგაზე მეოცნებე გუნდი „ოვიედოს“, „რასინგსა“ და „ნუმანსიას“ უნდა უგებდეს, დუტრუელზე და რეინაზე უკეთესი მეკარეები უნდა ჰყავდეს და ასე შემდეგ.

თუმცა ერთიცაა. შემოდგომაზე ტელევიზორებს რომ მივუსხდებით და თუ „ბარსელონა“ ლიგაში არ იქნება, ალბათ ვიტყვით, „მალიორკას“ და „ვალენსიას“ ყურებას „ბარსელონასი“ გვერჩივნაო.

## კაპელო და სოლომონი

**გუშინდელი** დღე ფაბიო კაპელომ დიდებულ ქალაქ ბარსელონაში გაატარა და ვინძლო ამ ცნობამ გულში იმედი ჩაუსახა ქომაგთა იმ ნაწილს, რომლებიც „რეალი“ — „ბარსელონას“ შეხვედრების დროს მუდამ კატალონიელებს ქომაგობენ.

მაგრამ ჩვენ ხომ არ გვითქვამს, რისთვის ჩავიდა კაპელო დიდებულ ქალაქ ბარსელონაში და ვერც ვიტყვით, რაკი საგენტოები ამაზე დუმან. მაგრამ იმავ საგენტოებმა არ დაიზარეს და მსოფლიოს მოსდეს იტალიელის სიტყვები, რომლებიც წარმოთქმის ადგილის გათვალისწინებით, მეტად მოულოდნელად ჟღერს: „რეალი“ მსოფლიოში საუკეთესო გუნდია“.

და განა ამ სიტყვების ბარსელონაში წარმოთქმა გვაოცებს მხოლოდ? როდის გახდა დიდებული მწვრთნელი ფაბიო კაპელო მიმდევარი და ტრფიალი გუნდისა, რომელიც იმაზე მეტს იტანს, ვიდრე უშვებს, ანუ 1:0 არ ყაბულდება.

და ამასთან დაკავშირებით ღირს გახსენება კაპელოსეული „მილანისა“ ან სულაც „რეალისა“. თუ რამ ჰქონდა ოთხიწლისწინანდელ „რეალს“ მართლაც სამეფო, სწორედ რომ დაცვა, რომლითაც განთქმულია სინიორ კაპელო. ეს იყო სეზონი ფერნანდო იეროს ზეობისა, შეუპოვარი ბასკი ალკორტასი, ვინც ერთადერთი მცველი იყო, შიშის ზარს რომ სცემდა თავად რომარიოს. კრისტიან პანუჩისა, ვისაც ზურგს დიადი ფრანკო ბარეზის გვერდით ნათამაშევი წლების გამოცდილება უმაგრებდა. იერო, ალკორტა, პანუჩი და არანაირი ავანტურა.

და როგორ იქნება, ფაბიო კაპელოს ბარსელონაში წარმოთქმული სიტყვების მერე არ გავიხსენოთ უძველესი ბიბლიური პერსონაჟი, ბრძენი მეფე სოლომონი. მას, ვისაც ფიქრის ჟამს უთქვამს, ყველაფერი წარმავალიაო, მსოფლიოს ყველა რელიგია ბრძენად მოიხსენიებს.

და ერთხელაც ამ ღვთის მოშიშმა ბრძენმა ვერ გაუძლო მავანი ქალის მომხიბვლელობას და ცდუნდა.

და თუ საფეხბურთო ბრძენ ფაბიო კაპელოსა და საზოგადოდ ბრძენ სოლომონის შედარება, ისევე როგორც მავანი მომხიბვლელი ქალისა და მადრიდის „რეალისა“, უადგილოდ მოგეჩვენათ, მომიტევეთ.

## გალისია ჩემი სიყვარულია

**„ვალენსია“** და კიდევ ვიღაცეები ეპატიჟებოდნენ თურმე ხავიერ ირურეტას, მან კი ლა კორუნიაში დარჩენა ამჯობინა. „დეპორტივო“ მუდამ ჩემი ფავორიტი იქნება — ამ სიტყვებით მიუჯახუნა ბასკმა მწვრთნელმა სხვებს კარი და თავის აგენტსაც მრავალთვიანი გარჯა წყალში ჩაუყარა.

შეგვიძლია იგივე სხვანაირადაც ვთქვათ: ხავიერ ირურეტამ და მისმა აგენტმა „დეპორტივოს“ პრეზიდენტი აუგუსტო ლენდოირო სხვა კლუბში გადასვლაზე ლაპარაკით შეაშინეს და ახალი, უფრო სარფიანი კონტრაქტი დასტყუეს, რომლის მიხედვითაც ირურეტა გალისიაში კიდევ ერთი სეზონი დარჩება.

თუმცა არ გეგონოთ, ლენდოირო თავს მოტყუებულად გრძნობდეს. „ჩვენ სრულად ვენდობით ირურეტას ცოდნას და გამოცდილებას და დარწმუნებულები ვართ, რომ „დეპორტივო“ მიღწეულზე არ შეჩერდება. იმის იმედიც გვაქვს, რომ ირურეტა ერთი წლის მერეც ჩვენთან დარჩება“.

სხვათა შორის, კონტრაქტზე ხელმოწერისთვის ხავიერ ირურეტამ ორი პირობა წააყენა. ერთი, რომ „დეპორტივო“ მომავალ სეზონშიც ჩემპიონთა ლიგაში უნდა მოხვედრილიყო და მეორე ზაფხულში კლუბმა ყველა ის ფეხბურთელი უნდა შეიძინოს, რომელიც მას სურს.

პირველი მოთხოვნა უკვე შესრულებულია და ცოტა უცნაური ისაა, რომ ამ პირობის შესრულება სწორედ ირურეტაზე იყო დამოკიდებული.

**აბა,** სად პატივმოყვარე და ამაყი ბილბაოს „ატლეტიკი“, რვა ესპანური ტიტულით და ოცდასამი სამეფო თასით და ახლანდელი მეთერთმეტე ადგილი პრიმერადივიზიონში. ფრანსისკო ჩინო როხო ვერაფრით გახდა ბილბაოელთათვის ძველი, დადების დამბრუნებელი.

და დრომ მწვრთნელის შეცვლის საკითხი მოიტანა

მაგრამ ჯერ საპრეზიდენტო არჩევნებია და კლუბის ახლანდელ პრეზიდენტ ხოსე მარია არატეს, ადგილს (ეს კაცი კენჭს აღარ იყრის) ორი კანდიდატი უმიზნებს — ხავიერ ურია და ფერნანდო ლამიკისი.

შარშან ზაფხულს „რეალის“ მოახლოვებულ არჩევნებში ფლორენტინო პერესი მადრიდელებს ლუიშ ფიგუს დაჰპირდა. ბილბაოში მსგავსი დაპირებები გამორიცხულია. ერთი, რომ ბასკებს ფიგუსნაირების საყიდელი ფული არასდროს ჰქონიათ და რომც ჰქონდეთ, იქაური წესი ხომ გვახსოვს — ბილბაოს „ატლეტიკში“ არასდროს უთამაშია არაბასკს და ვერასდროს ითამაშებს. აქედან გამოდის, რომ პრეზიდენტობის კანდიდატები ხალხს ოდენ მწვრთნელებს თუ დაპპირდებიან.

ისინიც დაჰპირდნენ: ხავიერ ურია იუპ ჰაინკესს და ფერნანდო ლამიკისი სლავოლიუბ მუსლინს. ვისი აჯობებს?

იუპ ჰაინკესი 90-იანების დასაწყისში სამი სეზონი მუშაობდა ბილბაოში, ახლა კი ლისაბონის „„ბენფიკაშია“. ამ მწვრთნელმა სამი წლის წინ „რეალს“ ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა.

სლავოლიუბ მუსლინი ბელგრადულ „ცრვენა ზვეზდას“ მიუძღვება იუგოსლავიის ჩემპიონობისკენ და ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებს მეორეადგილოსან „პარტიზანს“. მიღწევები? გასულ ზაფხულს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან ქუთაისის „ტორპედოს“ გაგდებას თუ არ ჩავთვლით, მისი უდიდესი მიღწევა ზინედინ ზიდანის აღმოჩენაა „ბორდოში“ მუშაობის დროს.

„ჩვენ მხოლოდ ბასკი ახალგაზრდებიდან შეგვიძლია მომავალი ვარსკვლავების ამორჩევა — ამბობს ფერნანდო ლამიკისი — და მუსლინი სწორედ ის მწვრთნელია, რომელსაც ყველაზე კარგად შეუძლია ამის გაკეთება“.

სლავოლიუბ მუსლინმა კი, რომლის სახელიც დიდებისკენ მისწრაფებაზე მიგვანიშნებს, თქვა: „ფერნანდო ლამიკისს დიდი მიზნები აქვს და მე სავსებით ვიზიარებ მის თვალთახედვას“.

## ქართულ-ბასკური ბიძაშვილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰენრიკ ლარსონი (ზემოთ) და კრის სატონი

# ბოსმანის შიში, ლარსონის გოლები

**53 გოლი სეზონში** — ამას თავის დროზე და ჩაწყობილი თამაშების მიუხედავად, „ოქროს ბურთის" მაძევარი რუმინელებიც კი ვერ ახერხებდნენ. ჰენრიკ ლარსონმა კი შეძლო და წლევანდელი სქოთური სეზონი სწორედ ასეთი წარმოუდგენელი შედეგით გაასრულა. ჰოდა, რაღაა გასაკვირი, თუ შვედი თავდამსხმელი და მისი დანიელი აგენტი რობ იანსენი „სელტიკის" თავკაცობას პირობების გაუმჯობესებას თხოვენ. „რასაც ისინი ითხოვენ, სავსებით მისაღებია. ჰენრიკს ფანტასტიური სეზონი ჰქონდა და ყველაფრის ღირსია" — ამბობს ქვეყნის სამივე შეჯიბრის მომგები „სელტიკის" მწვრთნელი მარტინ ონილი. მას გლაზგოელთა ინგლისელი თავდამსხმელი კრის სატონიც ეთანხმება: „ლარსონის გაყიდვა დიდი სიგიჟე იქნებოდა. ამას გულშემატკივარი არ გვაპატიებს და მართალიც იქნება".

ბომბარდირის გაყიდვას გლაზგოელები არც აპირებენ. ეგ კი არა, შვედთან ახალი კონტრაქტის გაფორმება სურთ, რათა ლარსონი „პარკჰედს" კარიერის ბოლომდე მიაჯაჭვონ. „მართალია, მას კიდევ ორი წელი ეკუთვნის ჩვენთან თამაში, მაგრამ ბოსმანის წესის გამო ვშიშობთ, ამიტომ კონტრაქტის გახანგრძლივებას შევეცდებით" — თქვა ონილმა, ვისაც კარგად ესმის, რომ შოტლანდიური პრემიერლიგა და ევროპული სარბიელი ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება, ამიტომ კლუბის თავკაცობას ოთხი ახალი ფეხბურთელის ყიდვას თხოვს: „ასეთი სახელისა და ტრადიციების გუნდმა თავისი სიტყვა ევროპაშიც უნდა თქვას, თუმცა ეს მეტად ძნელი იქნება. თუ ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლა გვსურს, შემადგენლობა უნდა გავაძლიეროთ. თანაც განთესილებში ვერ მოვხვდებით და ბრძოლა ბობოლებთან მოგვიწევს. ხელმძღვანელობა დამპირდა, რომ სასურველ თანხას გამოყოფენ. თუ რამდენს, კვირის ბოლოს მეცოდინება".

ვარაუდობენ, რომ „სელტიკის" თავკაცობა ახალი ფეხბურთელების შესაძენად სულ მცირე 15 მილიონ გირვანქას გაიღებს და ლარსონთან გრძელვადიან კონტრაქტსაც გააფორმებს.

**გიგა ძოგახიძე**

კლაუდიო სუარესი

# 15... რაოდენობა და სუარესი

**მექსიკის ნაკრების** კაპიტანი და მექსიკისავე „ტიგრესის" ცენტრალური მცველი, 32 წლის კლაუდიო სუარესი მალე ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობით მსოფლიოს რეკორდსმენი გახდება. ამჟამად მის ანგარიშზე 156 სანაკრებო მატჩია და მხოლოდ ერთით ჩამორჩება ეგვიპტელ ჰოსან ჰასანს.

არაბის გადასწრების შანსი სუარესს მალევე, სამხრეთ კორეაში გასამართ კონფედერაციის თასის გათამაშებაში მიეცემა, სადაც მექსიკის ნაკრები ამ თასის მფლობელის რანგში ჩადის.

სუარესი, როგორც მომქმედ ფეხბურთელთა შორის სანაკრებო მატჩების რეკორდსმენი, კორეის მინდვრებზე ფიფას მიერ დაწესებული საგანგებო სამკლავურით ითამაშებს.

**სერგი ძორიძე**

# ვან გაალმა არ მოიკვეთა

ნანდროლონიან ედგარ დავიდსს (მარცხნივ) ნაკრებში მაინც უხმეს

**ჰოლანდიის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც 2 ივნისს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ესტონეთს დაუპირისპირდებიან. გასაკვირია, მაგრამ ნაკრებში გამოიძახეს ფრანკ დე ბური და ედგარ დავიდსი, რომლებიც ცოტა ხნის წინ დოპინგის ხმარებაში ამხილეს. „იუვენტუსის" ნახევარმცველ ედგარ დავიდსს განუსაზღვრელი თექვსმეტი თვით უპირებენ სერია A-დან მოკვეთას, ხოლო ესპანური „ბარსელონას" მცველი დე ბური ჯერ კიდევ ელის განმეორებითი ანალიზის პასუხს. ორივე ფეხბურთელმა უარყო დოპინგთან კავშირი და ყველაფერი ნანდროლონზე გაზრდილი ძროხის ხორცს დააბრალა. ძნელი სათქმელია, ვან გაალმა ძროხების ისტორია დაიჯერა თუ ტიტების ქვეყანაში დოპინგის მოხმარების ნება დართეს, მაგრამ ფაქტია, ორივე ნანდროლონიანი ფეხბურთელი ნაკრებშია, არადა, გამოძახებულთა სიაში ვერ მოხვდა რამდენიმე ცნობილი მოთამაშე, მაგალითად, კლარენს ზეედორფი „ინტერიდან", აგრეთვე ეინდჰოვენელები არნოლდ ბრუგინკი და უიდფრედ ბუმა. რაც შეეხება ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველ იაპ სტამს, იგი ტრავმირებულია და ნაკრებს ამიტომ ვერ ეხმარება. ცნობისათვის: ჰოლანდიას უჭირს, ქვეჯგუფში მეორე საფეხურზეა და ლიდერ ირლანდიას სამი ქულით ჩამორჩება.

**ლუკა გეგეჭკორი**

*მეკარეები: ედვინ ვან დენ სარი („იუვენტუსი", იტალია), სანდერ ვესტერფელდი („ლივერპული", ინგლისი);*

*მცველები: ფრანკ დე ბური, მიხაელ რაიციგერი (ორივე „ბარსელონა", ესპანეთი), კევინ ჰოფლანდი („პსვ ეინდჰოვენი"), მარიო მელხიოტი („ჩელსი", ინგლისი);*

*ნახევარმცველები: მარკ ვან ბომელი („პსვ ეინდჰოვენი"), ფილიპ კოკუ („ბარსელონა", ესპანეთი), ედგარ დავიდსი („იუვენტუსი", იტალია), ნილს უდე კამპუისი („შალკე", გერმანია), პატრიკ პაუვე („ფეიენოორდი"), მარკ ოვერმარსი, ბუდევინ ზენდენი (ორივე „ბარსელონა");*

*თავდამსხმელები — ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი („ჩელსი", ინგლისი), პიერ ვან ჰოიდონკი („ბენფიკა", პორტუგალია), პატრიკ კლუივერტი („ბარსელონა", ესპანეთი), როი მაკაი („დეპორტივო, ესპანეთი), რუუდ ვან ნისტელროოი („მანჩესტერ იუნაიტედი", ინგლისი), იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი („ტვენტე").*

## ჰოლანდია

### გადასასვლელი ტურნირი. პლეი ოფი

**A ჯგუფი**

სიტარდი ან გრააფსხაპი, ზვოლე, ვოლენდამი, ტელსტარი

3 ივნისი ტელსტარი — ვოლენდამი; ზვოლე — სიტარდი ან გრააფსხაპი

6 ივნისი ვოლენდამი — ზვოლე; სიტარდი ან გრააფსხაპი — ტელსტარი

9 ივნისი ზვოლე — ტელსტარი

10 ივნისი ვოლენდამი — სიტარდი ან გრააფსხაპი

13 ივნისი სიტარდი ან გრააფსხაპი — ვოლენდამი; ტელსტარი — ზვოლე

16 ივნისი ტელსტარი — სიტარდი ან გრააფსხაპი; ზვოლე — ვოლენდამი

**B ჯგუფი**

სპარტა, ექსელსიორი, კამბური, გოუ ეჰედ იგლზი

2 ივნისი გოუ ეჰედ იგლზი — ექსელსიორი

3 ივნისი კამბური — სპარტა

6 ივნისი გოუ ეჰედ იგლზი — კამბური; ექსელსიორი — სპარტა

9 ივნისი კამბური — გოუ ეჰედ იგლზი; სპარტა — ექსელსიორი

13 ივნისი სპარტა — კამბური; ექსელსიორი — გოუ ეჰედ იგლზი

17 ივნისი გოუ ეჰედ იგლზი — სპარტა; კამბური — ექსელსიორი

ჯგუფებში გამარჯვებულნი 2001-2002 წლების სეზონში ითამაშებენ ჰოლანდიის I დივიზიონში

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „ლესტერის" მწვრთნელმა პიტერ ტეილორმა განაცხადა, რომ „ლაციოდან" „ფილბერ სტრიტზე" იტალიელი თავდამსხმელის, ფაბრიციო რავანელის გადაყვანა სურს. 32 წლის ფეხბურთელი ახლა რომაული კლუბის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება და გუნდის გამოცვლას აპირებს. შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსის" „მიდლსბროს" და მარსელის „ოლიმპიკის" ყოფილ ფორვარდს აქამდე პრემიერლიგაში უკვე უთამაშია, იგი „მიდლსბროს" ღირსებას იცავდა. რავანელი თანახმაა, „ლესტერთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწეროს ხელი, თუმცა სანაცვლოდ კვირაში 30 ათას გირვანქას ითხოვს.

**იტალიური** პრესა იუწყება, რომ „ემპოლის" ფორვარდი მარკო მარკიონი უახლოეს მომავალში, ალბათ, ტურინის „იუვენტუსთან" გააფორმებს კონტრაქტს, თუმცა „ბებერი ქალბატონის" გარდა იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების მოთამაშეს სერია A-ს, პრემიერლიგისა და პრიმერადივიზიონის სხვა კლუბებიც ეპატიჟებიან. მარკიონი 20 წლისაა და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. „ემპოლის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელის გაშვებას მომავალ სეზონშიც არ აპირებს.

**თურქული** „გალათასარაის" ნახევარმცველი ფათიჰ აკიელი მალე „მალიორკასთან" გააფორმებს ხელშეკრულებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფეხბურთელს „ნიუკასლ იუნაიტედსა" და ვიგოს „სელტაშიც" იწვევენ, იგი ამბობს, რომ „მალიორკაში" გადასვლა და ამ კლუბთან ერთად გაისად ჩემპიონთა ლიგაში თამაში სურს. ფათიჰი სავარაუდოდ სამწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, სტამბოლური კლუბი კი 24 წლის მცველის სანაცვლოდ 3 მილიონ გირვანქას მიიღებს. „მალიორკა" უკეთეს პირობებს მთავაზობს და სწორედ იქ გადავალ, თანაც გაისად ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებ" — განუცხადა თურქმა ერთ-ერთ გაზეთს.

**ეკვადორელი** **თავდამსხმელის, აუგუსტინ დელგადოს შეძენის სურვილს „მილანი" გამოთქვამს. იტალიური კლუბის ხელმძღვანელობის განცხადებით, სამხრეთამერიკელი „სან სიროზე" ახალგადასული ხავი მორენოსა და ანდრეი შევჩენკოსთან ერთად ძალიან ძლიერ შემტევ ტრიოს შექმნის. 26 წლის დელგადო ამჟამად მექსიკური „ნეკაქსას" ღირსებას იცავს და მის სანაცვლოდ ეს კლუბი სავარაუდოდ 10 მილიონ დოლარს მიიღებს.**

**ჩეხური** „სლავიას" ნახევარმცველი ივო ულიხი ბუნდესლიგაში ახალაღზევებულ მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" ჩაირიცხა. გერმანულმა კლუბმა 1,5 მილიონი დოლარი გადაიხადა, ხოლო ჩეხმა სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. შეთანხმებით გათვალისწინებულია, რომ წარმატებული თამაშის შემთხვევაში 26 წლის ფეხბურთელმა ბუნდესლიგელებთან კონტრაქტი შესაძლოა მომდევნო ორი წლითაც გაახანგრძლივოს.



# ჩელსური გართობა

**შეიკრიბნენ** ვარსკვლავები და „სტემფორდ ბრიჯზე" ფეხბურთი გააჩაღეს. ეს საქველმოქმედო ტურნირი ყოველწლიურია: მონაწილენი ხარობენ, მაყურებელიც არანაკლებ ერთობა, ფული კი გაჭირვებულებს მისდით.

ამ უქმეებზეც ჩელსიში ბევრი ცნობილი პიროვნება შეიყარა: აგერ დუაიტ იორკის ქალი ჯორდანი, რომელიც ბოიფრენდის დარ ილეთებს ვერ ფლობს, მაგრამ ტრინიდადელზე გაცილებით მიმზიდველია; ჯორჯ ბესტსაც შეუვლია მშობლიურ უბანში და ძველებურად გარჯას ცდილობს; აი, ცნობილმა მომღერალმა როდ სტიუარტმა კი ეტყობა მოედანზე ბურთი ვერ მოიხელთა და საკუთრებით ერთობა.

# მიჰყევ მიკ გიბსის ცნებასა

**ვფიქრობთ,** ქართველი მეკუშეები ჩვენი გარჯით უაღრესად კმაყოფილები დარჩებიან — არ დავიზარეთ და მოვიპოვეთ იმ ქვითრის ასლი, რომელიც მიკ გიბსმა პარასკევს შეავსო ინგლისურ საბუკმეიკერო კანტორა „უილიამ ჰილში“.

ვინაა ეს კაცი, ალბათ, მიხვდით (თუმც კი შაბათის „სარბიელში“ მისი გვარსახელი მცირედი შეცდომით დაიბეჭდა) — ეს ის იღბლიანი ინგლისელია, ვინც გასული სეზონის სხვადასხვა ტურნირის 15 გამარჯვებული გამოიცნო და შედეგად, 30-პენსიანი ვარიანტით 500 ათასი გირვანქა მიიგო. ანუ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მილიონ 660 ათასი კუში დაიჭირა (წესით, 835413 გირვანქა გამოდიოდა, მაგრამ ერთ ქვითარში მაქსიმალური მოგება ნახევარი მილიონითაა შეზღუდული).

ჰოდა, მისტერ გიბსმა არც აცია, არც აცხელა და „უილიამ ჰილს“, სადაც 1999 წელსაც გამოიცნო სეზონის ლაურეატები, მორიგი ქვითარი აახლა. ჩავიხედოთ? აქაც 15 ფსონია გადაბმული, თუმცა ყველას ერთად ვერ გაახლებთ (ჩვენც გვჭირდება), ძირითადებს კი ჩამოვთვლით (ოღონდ წილში ვართ):

1. „მანჩესტერ იუნაიტედი“ მოიგებს პრემიერლიგას;
2. „მანჩესტერ იუნაიტედი“ მოიგებს ინგლისის თასს;
3. „რეინჯერსი“ მოიგებს შოტლანდიის ჩემპიონატს;
4. „მანჩესტერ სიტი“ მოიგებს პირველ დივიზიონს;
5. „სტოკ სიტი“ მოიგებს მეორე დივიზიონს;
6. „ჰარტლპული“ მოიგებს მესამე დივიზიონს;
7. „ლიდსი“ მოიგებს უეფას თასს;
8. „რომა“ მოიგებს ჩემპიონთა ლიგას;
9. ინგლისის რაგბის ნაკრები მოიგებს ექვსი ერის პირველობას...

ისე, თბილისური ტოტალიზატორებისთვის (მაქსიმალური კოეფიციენტი 1000) ესეც კმარა. 2002 წლის მაისში შეხვედრამდე! სიტყვა სიტყვაა, წილში ვართ.

## ფინეთი

მე-10 ტური: ატლანტისი — როვანიემი 0:0; ლაჰტი — იოკერიტი 1:3; მიუპა — კუოპიო 4:0; ჰიკ — ინტერი 2:1; ტამპერე — ჰაკა 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 10 | 5 | 4 | 1 | 14:4 | 19 |
| ატლანტისი | 8 | 4 | 4 | 0 | 12:5 | 16 |
| მიუპა | 9 | 4 | 4 | 1 | 15:7 | 16 |
| ჰაკა | 9 | 4 | 3 | 2 | 11:5 | 15 |
| ინტერი | 8 | 4 | 2 | 2 | 14:9 | 14 |
| ტამპერე | 7 | 3 | 2 | 2 | 5:6 | 11 |
| ვაასა | 9 | 3 | 1 | 5 | 8:14 | 10 |
| როვანიემი | 7 | 1 | 4 | 2 | 5:9 | 7 |
| ლაჰტი | 8 | 2 | 1 | 5 | 5:10 | 7 |
| კუოპიო | 8 | 1 | 4 | 3 | 3:8 | 7 |
| იოკერიტი | 9 | 1 | 3 | 5 | 8:15 | 6 |
| ჯაზი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:12 | 5 |

## უნგრეთი

### მეორე ეტაპი

მე-18 ტური: ფერენცვაროში — შოპრონი 1:0; ვიდეოტონი — მტკ 1:0; დებრეცენი — უიპეშტი 3:4; ჰონვედი — ზალაეგერსეგი 1:1; დიორ ეტო — ტატაბანია 3:2; ვაშაში — დუნაფერი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფერენცვაროში | 18 | 9 | 7 | 2 | 29:12 | 38 |
| ვაშაში | 18 | 8 | 6 | 4 | 33:26 | 34 |
| დუნაფერი | 18 | 9 | 2 | 7 | 27:30 | 34 |
| უიპეშტი | 18 | 8 | 4 | 6 | 31:30 | 33 |
| მტკ | 18 | 7 | 5 | 6 | 23:15 | 32 |
| ჰონვედი | 18 | 9 | 4 | 5 | 31:24 | 32 |
| დიორ ეტო | 18 | 8 | 5 | 5 | 25:24 | 31 |
| ვიდეოტონი | 18 | 8 | 2 | 8 | 27:23 | 28 |
| შოპრონი | 18 | 5 | 6 | 7 | 19:21 | 24 |
| ზალაეგერსეგი | 18 | 5 | 7 | 6 | 23:24 | 23 |
| დებრეცენი | 18 | 5 | 2 | 11 | 27:39 | 20 |
| ტატაბანია | 18 | 1 | 2 | 15 | 14:41 | 11 |

## ლიტვა

მე-13 ტური: ჟალგირისი — კაუნასი 0:0; ნევეჟისი — ვეტრა 1:0; საკალასი — დაინავა 1:1; ეკრანასი — გელეჟინისი 1:0; ატლანტასი — ინკარასი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუნასი | 12 | 10 | 2 | 0 | 29:4 | 32 |
| ატლანტასი | 12 | 8 | 2 | 2 | 25:12 | 26 |
| ჟალგირისი | 12 | 8 | 2 | 2 | 19:10 | 26 |
| ეკრანასი | 13 | 6 | 3 | 4 | 25:15 | 21 |
| ინკარასი | 12 | 4 | 4 | 4 | 16:14 | 16 |
| ნევეჟისი | 12 | 4 | 4 | 4 | 8:11 | 16 |
| საკალასი | 12 | 3 | 3 | 7 | 13:21 | 12 |
| გელეჟინისი | 12 | 3 | 1 | 8 | 10:14 | 10 |
| ვეტრა | 12 | 3 | 1 | 8 | 10:25 | 10 |
| დაინავა | 12 | 0 | 2 | 10 | 8:37 | 2 |

## რუმინეთი

28-ე ტური: ბრაშოვი — ჩაჰლაული 1:1; გლორია — როკარი 2:0; ფორესტა — დინამო 0:1; უნივერსიტატია — პეტროლული 2:0; ასტრა — ბაკეუ 1:1; ნაციონალი — არჯეში 3:0; რაპიდი — გაც მეტანი 2:1; სტიაუა — ოცელული 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 28 | 16 | 8 | 4 | 50:28 | 56 |
| დინამო | 28 | 14 | 6 | 8 | 50:39 | 48 |
| ბრაშოვი | 28 | 14 | 5 | 9 | 31:24 | 47 |
| არჯეში | 28 | 12 | 9 | 7 | 39:37 | 45 |
| რაპიდი | 28 | 11 | 10 | 7 | 35:25 | 43 |
| გლორია | 28 | 12 | 4 | 12 | 42:40 | 40 |
| ნაციონალი | 28 | 12 | 4 | 12 | 36:37 | 40 |
| უნივერსიტატია | 28 | 10 | 8 | 10 | 30:34 | 38 |
| ასტრა | 28 | 10 | 7 | 11 | 36:30 | 37 |
| პეტროლული | 28 | 11 | 4 | 13 | 31:33 | 37 |
| ჩაჰლაული | 28 | 9 | 10 | 9 | 36:39 | 37 |
| ოცელული | 28 | 9 | 7 | 12 | 30:39 | 34 |
| ფორესტა | 28 | 7 | 12 | 9 | 36:40 | 33 |
| ბაკეუ | 28 | 8 | 7 | 13 | 35:42 | 31 |
| როკარი | 28 | 9 | 4 | 15 | 37:51 | 31 |
| *გაც მეტანი* | *28* | *3* | *9* | *16* | *20:36* | *18* |

## იუგოსლავია

31-ე ტური: ჟელეზნიკი — ჩუკარიჩი 1:1; ნაპრედაკი — მილიციონარი 0:0; რადნიჩი (კრაგუევაჩი) — ცრვენა ზვეზდა 0:2; ბუდუჩნოსტი — ზეტა 2:0; სარტიდი — რადი 1:1; ობილიჩი — სუტიესკა 1:2; რადნიჩი (ნიში) — ვოივოდინა 1:3; ჰაიდუკი — ოფკ 1:0; პარტიზანი — ზემუნი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცრვენა ზვეზდა | 31 | 25 | 4 | 2 | 78:17 | 79 |
| პარტიზანი | 31 | 26 | 1 | 4 | 85:29 | 79 |
| ობილიჩი | 31 | 17 | 5 | 9 | 46:34 | 56 |
| სარტიდი | 31 | 16 | 3 | 12 | 46:42 | 51 |
| ვოივოდინა | 31 | 12 | 8 | 11 | 46:33 | 44 |
| ოფკ | 31 | 13 | 5 | 13 | 44:41 | 44 |
| სუტიესკა | 31 | 13 | 4 | 14 | 45:56 | 43 |
| ჰაიდუკი | 31 | 12 | 5 | 14 | 40:40 | 41 |
| ჟელეზნიკი | 31 | 11 | 8 | 12 | 44:50 | 41 |
| ჩუკარიჩკი | 31 | 12 | 3 | 16 | 36:45 | 39 |
| ზემუნი | 31 | 10 | 8 | 13 | 32:42 | 38 |
| რ. კრაგუევაჩი | 31 | 11 | 5 | 15 | 33:48 | 38 |
| ზეტა | 31 | 9 | 9 | 13 | 34:46 | 36 |
| რადი | 31 | 10 | 5 | 16 | 40:52 | 35 |
| ბუდუჩნოსტი | 31 | 10 | 5 | 16 | 24:37 | 35 |
| ნაპრედაკი | 31 | 7 | 10 | 14 | 33:50 | 31 |
| მილიციონარი | 31 | 8 | 5 | 18 | 26:43 | 29 |
| რ. ნიში | 31 | 8 | 5 | 18 | 26:53 | 29 |

## ისრაელი

### პლეი ოფი

38-ე ტური: ჰაპოელი (ფეთახ თიკვა) — ბეითარი 4:1; აშდოდი — მაკაბი (ნეთანია) 3:1; ჰაპოელი (ჰაიფა) — ჰაპოელი (თელ ავივი) 1:0; ირონი — ცაფრირიმი 2:0; ბნეი იეჰუდა — მაკაბი (ფეთახ თიკვა) 0:0; მაკაბი (ჰაიფა) — მაკაბი (თელ ავივი), მატჩი 81-ე წუთზე შეწყდა, როცა ჰაიფას „მაკაბი“ 3:2 იგებდა

### ზედაქვსედული

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. ჰაიფა | 37 | 24 | 10 | 3 | 68:26 | 82 |
| ჰ. თელ ავივი | 38 | 21 | 12 | 5 | 55:28 | 75 |
| ჰ. ჰაიფა | 38 | 20 | 11 | 7 | 58:38 | 71 |
| მ. თელ ავივი | 37 | 18 | 11 | 8 | 71:33 | 65 |
| ბეითარი | 38 | 18 | 9 | 11 | 49:42 | 62 |
| ჰ. ფეთახ თიკვა | 38 | 12 | 10 | 16 | 58:66 | 46 |

*ჰაიფას „მაკაბი“ ჩემპიონია, იერუსალიმის „ბეითარს“ დაკლებული აქვს 1 ქულა*

### ქვედაქვსედული

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. ნეთანია | 38 | 13 | 10 | 15 | 63:61 | 49 |
| მ. ფეთახ თიკვა | 38 | 12 | 9 | 17 | 41:51 | 45 |
| ირონი | 38 | 11 | 8 | 19 | 41:61 | 41 |
| აშდოდი | 38 | 10 | 8 | 20 | 44:57 | 38 |
| *ბნეი იეჰუდა* | *38* | *8* | *10* | *20* | *37:62* | *34* |
| *ცაფრირიმი* | *38* | *4* | *4* | *30* | *25:85* | *16* |

*თელ ავივის „ბნეი იეჰუდა“ და ჰოლონის „ცაფრირიმი“ გავარდნენ*

## შპრაინა

24-ე ტური: მეტალურგი (ზაპოროჟიე) — დინამო 0:1; ვორსკლა — მეტალურგი (მარიუპოლი) 0:1; კარპატი — დნიპრო 0:2; მეტალურგი (დონეცკი) — კრივბასი 3:0; სტალი — ტავრია 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 24 | 18 | 4 | 2 | 54:15 | 58 |
| შახტარი | 23 | 17 | 5 | 1 | 61:20 | 56 |
| დნიპრო | 24 | 16 | 4 | 4 | 34:16 | 52 |
| მ. დონეცკი | 24 | 11 | 9 | 4 | 29:19 | 42 |
| მ. მარიუპოლი | 24 | 11 | 4 | 9 | 33:26 | 37 |
| ცსკა | 23 | 9 | 8 | 6 | 28:22 | 35 |
| მ. ზაპოროჟიე | 24 | 8 | 8 | 8 | 26:28 | 32 |
| ტავრია | 24 | 7 | 9 | 8 | 21:29 | 30 |
| კარპატი | 24 | 8 | 3 | 13 | 31:39 | 27 |
| მეტალისტი | 23 | 6 | 7 | 10 | 24:36 | 25 |
| კრივბასი | 24 | 6 | 6 | 12 | 21:34 | 24 |
| ვორსკლა | 24 | 5 | 5 | 14 | 16:28 | 20 |
| *სტალი* | *24* | *2* | *5* | *17* | *17:48* | *11* |
| *ნივა* | *23* | *2* | *3* | *18* | *20:55* | *9* |

## არგენტინა

### კლაუსურა

მე-17 ტური: რივერ პლეიტი — ალმაგრო 5:1; სან ლორენსო — ბოკა ხუნიორსი 1:0; ველეს სარსფილდი — ბელგრანო 0:3; ესტუდიანტესი — ჩაკარიტა ხუნიორსი 0:1; ტალერესი — უნიონი 3:0; ლოს ანდესი — არგენტინოს ხუნიორსი 2:2; როსარიო სენტრალი — ნიუელს ოლდ ბოიზი 1:2; ინდეპენდიენტე — ხიმნასია (ლა პლატა) 0:1; კოლონი — რასინგი 1:1; ლანუსი — ურაკანი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 17 | 13 | 2 | 2 | 45:22 | 41 |
| სან ლორენსო | 17 | 13 | 2 | 2 | 39:16 | 41 |
| არგ. ხუნიორსი | 17 | 8 | 5 | 4 | 26:18 | 29 |
| ბოკა ხუნიორსი | 17 | 8 | 4 | 5 | 24:21 | 28 |
| ურაკანი | 17 | 7 | 4 | 6 | 25:24 | 25 |
| ჩაკარიტა | 17 | 7 | 4 | 6 | 15:20 | 25 |
| ტალერესი | 17 | 7 | 3 | 7 | 21:20 | 24 |
| ოლდ ბოიზი | 17 | 7 | 2 | 8 | 26:26 | 23 |
| ალმაგრო | 17 | 6 | 5 | 6 | 23:23 | 23 |
| ესტუდიანტესი | 17 | 6 | 5 | 6 | 20:23 | 23 |
| კოლონი | 17 | 6 | 5 | 6 | 18:21 | 23 |
| რასინგი | 17 | 5 | 8 | 4 | 16:19 | 23 |
| ველესი | 17 | 5 | 6 | 6 | 21:23 | 21 |
| ლანუსი | 17 | 5 | 4 | 8 | 26:27 | 19 |
| ლოს ანდესი | 17 | 4 | 6 | 7 | 19:26 | 18 |
| უნიონი | 17 | 4 | 5 | 8 | 27:32 | 17 |
| როსარიო | 17 | 4 | 5 | 8 | 22:31 | 17 |
| ინდეპენდიენტე | 17 | 4 | 4 | 9 | 17:20 | 16 |
| ხიმნასია | 17 | 3 | 6 | 8 | 18:24 | 15 |
| ბელგრანო | 17 | 3 | 5 | 9 | 12:24 | 14 |

ფლორიდის ნეკვეიზანტის ეროვნული ბანკი

## აზია

### V ჯგუფი. V ტური

**ლიბანი 5:0 შრი ლანკა**

1:0 ჯაზარიანი (25), 2:0 ანტარი (37), 3:0 სილვა (48), 4:0 ზეინი (64), 5:0 იუკიბარიანი (82)

**ტაილანდი 6:0 პაკისტანი**

1:0, 2:0, 3:0, 4:0 სუნამუანგი (10, 51, 55, 74), 5:0 სირივონგი (78), 6:0 ჯირასირინოტე (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტაილანდი | 5 | 5 | 0 | 0 | 18:3 | 15 |
| ლიბანი | 5 | 4 | 0 | 1 | 24:3 | 12 |
| შრი ლანკა | 5 | 0 | 1 | 4 | 5:19 | 1 |
| პაკისტანი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:26 | 1 |

*დღეს: შრი ლანკა — პაკისტანი*
*ლიბანი — ტაილანდი*

# სარბიელი
## სპორტული ლატარია
# ჯოკერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდია. 1-ლი დივიზიონი.

გადადებული მატჩები

31 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 001 | სიტარდი-ტილბურგი | 1,8 | 3,4 | 3,3 |
| 23.00 | 002 | გრააფსხაპი-ბრედა | 1,75 | 2,8 | 4,4 |

ბელგია. II დივიზიონი.

პლეი-ოფი. მე-6 ტური

31 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 005 | ტურნჰაუტი-გენელი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 22.00 | 006 | მონსი-მოლენბეკი | 3,0 | 3,0 | 2,0 |

ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები

30 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3.00 | 502 | კრუზეირო-პალმეირასი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 03.15 | 503 | კრუზ ასული-რივერ პლეიტი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 05.40 | 504 | ბოკა ხუნიორსი-ვასკუ და გამა | 1,85 | 3,0 | 4,0 |

კონფედერაციის თასი

30 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.00 | 505 | საფრანგეთი-სამხრეთ კორეა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 15.30 | 506 | მექსიკა-ავსტრალია | 2,2 | 3,0 | 2,9 |

31 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.00 | 507 | ბრაზილია-კამერუნი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 15.30 | 508 | იაპონია-კანადა | 1,4 | 3,6 | 6,5 |

კალათბურთი. 1/2 ფინალი

30 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.00 | 801 | ფილადელფია-მილუოკი | 1,25 | 12,0 | 3,1 |

ჰოკეი. ფინალი

31 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 902 | ნიუ ჯერსი-კოლორადო | 1,9 | 3,6 | 2,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ყველაზე
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!

ბილეთი ეღირება 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.

98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97

ფოსტის ყუთები და დამონტაჟება უფასოა!

„პრეს-მოგზილი“

სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**


ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| **თბილისი** | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| **ქუთაისი** | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| **გორი** | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| **თელავი** | კოსტავას ქუჩა №23 | |
| **რუსთავი** | შარტავას ქუჩა №7 | |
| **ბათუმი** | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| **მარნეული** | რუსთაველის ქუჩა №39 | |


ეროვნული ბიბლიოთეკა


# გათამაშების წესები

**თამაშში** მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# აბა, პასპორტი მაჩვენე!

## წესიერი პორტუგალიელები ბენფიკამ შეარცხვინა

**ევროპის** კონტინენტზე რამდენიმე თვე ყალბი ევროკავშირული პასპორტების ძიების ქარიშხალი ბობოქრობდა. მრავალ სახელოვან კლუბსა და არაევროპელ ფეხბურთელს საკმაოდ გვარიანი პრობლემები შეექმნა. რეიდმა ძირითადად ესპანურ, ფრანგულ და იტალიურ ლიგებში იმუშავა, ბევრი თაღლითიც გამოავლინა და საკადრისადაც დასაჯა. სამართალდამცავების სიმკაცრემ შედეგი გამოიღო და ყალბი პასპორტის ვირუსი, რომელიც ევროფეხბურთს, უფრო კი ევროკავშირულ წესრიგს შეყოდა, კონტინენტიდან თითქმის მთლიანად განიდევნა.

საპასპორტო ციებ-ცხელებას შედარებით იოლად დაუძვრნენ პორტუგალიური კლუბები. ეს გასაგებიცაა, ევროკავშირელი თაღლითები ძირითადად სამხრეთამერიკელები, გამორჩეულად კი ბრაზილიელები არიან. ყველას კარგად მოეხსენება ბრაზილიურ-პორტუგალიური ძმობა, ისინი ერთ ენაზე საუბრობენ და ორმაგი პასპორტებიც, ბრაზილიელს პორტუგალიური, პორტუგალიელს კი ბრაზილიური, ხშირად უმშვენებთ ხელს.

ამდენად ბრაზილიელი პორტუგალიაში შინაურია და ევროკავშირელის უფლებებითაც სარგებლობს, მაგრამ დანარჩენი სამხრეთამერიკელები პრობლემებს პორტუგალიაშიც ვერ იცილებენ თავიდან, თუმცა საპასპორტო საკითხის ძიებამ ქვეყანაში დასავლეთევროპელთათვის სარეკორდოდ მცირე, სულ რაღაც ორი დარღვევა გამოავლინა.

ლისაბონის „ბენფიკას“ ოცდაშვიდი წლის არგენტინელი მეკარე კარლოს ბოსიო გუნდში 1999 წლიდანაა. იგი „ესტუდიანტესიდან“ ლისაბონში გადაბარგებიდან დღემდე ყალბი ევროკავშირული საბუთებით გადიოდა ფონს. წლევანდელი სეზონის ბოლოს კი სამართალდამცავების მახვილი მზერა საფეხბურთო თვალსაზრისთ პერიფერიულ პორტუგალიასაც მისწვდა და არგენტინელის თაღლითობაც გამოაშკარავდა. „ბენფიკას“ თავკაცობა გვარიანად შეფუცხუნდა, ხმა აიმაღლა უკანონობის წინააღმდეგ და ევროკავშირული წესრიგის მამებს ყველაფრის დაწვრილებით გამოძიებას შეჰპირდა.

კლუბის ხელმძღვანელობამ ისიც განაცხადა, რომ ბოსიოს „ბენფიკაში“ დარჩენა მხოლოდ არაევროკავშირელის სტატუსითღა შეეძლება. მეკარის გარდა ლისაბონელებს კიდევ ერთი სამხრეთამერიკელი კანონგარეშე აღმოუჩინეს. ჩილელ ალესანდრო ესკალონას ჯიბეში ყალბი იტალიური საბუთი ედო. „ბენფიკა“ ერთადერთია პორტუგალიაში, რომელიც ევროკავშირულ წესრიგს არღვევს, ამიტომაც კლუბის პრესმდივანს ჟოაო მალეიროს სათქმელი ბევრი არაფერი აქვს: „ჩვენ პრობლემა უმალ უნდა მოვაგვაროთ, „ბენფიკა“ კარგად გრძნობს შექმნილი მდგომარეობის სირთულეს. დღეიდან უფრო ფხიზლად ვიქნებით და ამგვარ საქციელს სამაგალითოდაც დავსჯით“.

**გიორგი მაგარდაძვილი**

## დოპინგი კალენდარშია

სტეფანო ტორიზი

**კვირას** იტალიური „პარმას“ ხელმძღვანელობამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ცენტრალური მცველი სტეფანო ტორიზი დოპინგის მიღებაშია მხილებული. ტორიზის აკრძალული პრეპარატის, ნანდროლონის კვალი აღმოუჩინეს. თავად ფეხბურთელი, რომელსაც 14 წლის პროფესიული სტაჟი აქვს, რა თქმა უნდა, ამას უარყოფს. შეგახსენებთ, რომ ახლახან იტალიის დოპინგთან ბრძოლის სამსახურმა განაცხადა, რომ სერია A-ს კიდევ ორმა მოთამაშემ ჩაგდო დოპინგ-ტესტი, მათი გვარები და კლუბები კი არ დაუსახელებიათ. ახლა უკვე ცხადია, რომ ერთი ტორიზია. თუ ხელმეორე ანალიზმაც ივიე დაადასტურა, მცველი მალე შეუერთდება ლაციოელ ფერნანდო კოუტუს და იუვენტუსელ ედგარ დავიდსს, რომლებიც ამავე მიზეზით არიან დისკვალიფიცირებულნი. მოკლედ, ბოლო ორ თვეში დოპინგზე გამოჭერილთა და დასჯილთა რიცხვმა ძლიერ იმატა, რასაც გადატვირთულ კალენდარს აბრალებენ, ფეხბურთელებს სეზონის ბოლომდე უძაღლეს დონეზე სათამაშოდ ძალა აღარ ჰყოფნითო. თუ რამე არ შეიცვალა, ფეხბურთთან დროებით ან სამუდამოდ დაშორება კიდევ ბევრ პროფესიონალს მოუწევს.

**ლაზა გეგეჭკორი**

**თურქეთის ძველ-ახალი ჩემპიონი: იყო „გალათასარაი“, არის „ფენერბაჰჩე“**

# ღორისმჭამელნი

## რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ...

**1994 წლის** შემოდგომის საღამო. აღმოსავლეთ თურქეთის შავიზღვისპირა პატარა ქალაქი ფინდიკლი. ჩაიხანაში თურქებთან ერთად ფეხბურთს ვუყურებ. უეფას თასის მერომელიღაცედ ფინალია, „ფენერბაჰჩე“ საშუალო დონის ფრანგულ გუნდთან 0:5-ს აგებს. მხოლოდ გინება და ჩაის ხვრეპის ხმა. რა ხაი და სიგარეტი დააწყნარებს ასეთი თამაშის შემხედვარე თურქებს. წარამარა ხელებს შლიან აღშფოთებულნი. გაცხარებულნი ლაპარაკობენ ევროტურნირებზე მუდამ სამარცხვინოდ წაგებებზე. უეცრად ერთი ულვაშა, ხანშიშესული თურქი ფეხზე დგება და გაგულისებული ამბობს, ხალხი, რომელიც ღორის ხორცს არ ჭამს, ფეხბურთს ვერასოდეს ითამაშებსო. ჩაიხანა „აფეთქდა“. სიცილ-ხარხარმა სიგარეტის კვამლს გაფანტა. ულვაშა გინებით, კარის ჯახუნით გავიდა...

ეს ექვსი წლის წინ იყო. დღეს „ფენერბაჰჩე“ ჩემპიონია. მან „გალათასარაის“ ოთხწლიანი ჰეგემონია დაამხო, იმ „გალასი“, რომელმაც შარშან არნახულ წარმატებას მიაღწია — თურქულ ჩემპიონობას თასიც მიაყოლა, მერე კი უეფას თასი და სუპერთასი!

დარწმუნებული არა ვარ, შეიტანეს თუ არა თურქებმა მენიუში ღორის ხორცი, მაგრამ მათი წინსვლა რომ აშკარაა, ამაზე აღარავინ დავობს.

იმ დღიდან, რაც „გალათასარაიმ“ ევროპულ სარბიელზე გაიბრწყინა, მოსისხლე მტრის, „ფენერბაჰჩეს“ ბანაკში მოსვენება დაკარგეს. შარშანდელი სეზონის დასაწყისში კლუბის მეპატრონეებმა მთავარი მწვრთნელის ადგილი მუსტაფა დენიზლის ჩააბარეს და ეს უკანასკნელი გახდა პირველი თურქი მწვრთნელი „ფენერბაჰჩეს“ ისტორიაში, ვინც გუნდი გააჩემპიონა. „ფენერის“ შემადგენლობაში ცნობილი ფეხბურთელები თამაშობ. ...ენ — ჰაიმ რევივო, ზორან მირკოვიჩი, ელვირ ბალიჩი, მილან რაპაიჩი და კენეტ ანდერსონი. საკმაოდ სოლიდურ კომპანიაა სტამბოლის ლურჯ-ყვითელ („ფენერბაჰჩეს“ ფერებია) კლუბში და თურქეთში გავრცელებულ ინფორმაციას თუ ვენდობით, მუსტაფა დენიზლი ახალი ფეხბურთელების შეძენასაც აპირებს გუნდის გასაძლიერებლად. მიზანი: რადაც უნდა დაჯდეს, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა და „გალას“ გულშემატკივრთა დამწუხრება.

მთელი სეზონის განმავლობაში „ფენერბაჰჩეს“ ფეხბურთელები ყველა თამაშის წინ ერთ ამგვარ რიტუალს ასრულებდნენ: მოედნის ცენტრში მდგარი ხელიხელგადახვეული ოურთმეტივე ფეხბურთელი ფიცს დებდა, ჩემპიონატს მოვიგებთო. შეძლეს კიდეც.

რა შედეგს მიაღწევს მუსტაფას „ფენერბაჰჩე“ ჩემპიონთა ლიგისკენ სავალ გზაზე, ჯერ უცნობია, მაგრამ თუ გზად სამწვადეში შეივლიან, იქნებ ჩემპიონთა თასს მართლაც შეეთამაშონ.

მერე ნახეთ, როგორი გასავალი ექნება ღორის ხორცს თურქეთში.

**ბაჟა ხუციშვილი**


1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო

1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო ალექსანოვზე

1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე

2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის

**ცენტრალური კლინიკა**



**მისამართი**
380109, ვაჟა-ფშაველას 29

**ტელეფონები**
კანცელარია: 39 23 89
ცნობათა ბიურო: 39 22 89
მიმღები განყოფილება: 39 26 32

**საუკუნოვანი გამოცდილება**
**უახლესი ტექნოლოგიები**



**იყიდება!**
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29



**ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში**
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1ათ / 50 თეთრი)



**იყიდება როტვეილერის ლეკვები**
☎ 39 42 65
(საღამოს. 19⁰⁰-21⁰⁰)

# ქართველის ჰეთ თრიქი უკრაინაში

ბაბური ალიევის ფოტო

რევაზ ჩხეიძე

## მზად ვარ, უკრაინული გამოცდილება ნაკრებს მოვახმარო

*ქართველ ლეგიონერთა მარაგს სლოვენიური ბრინჯაოს შემდეგ უკრაინული ოქროც შეემატა. „მბკ ოდესამ“, რომელშიც საქართველოს ნაკრების კანდიდატი რევაზ ჩხეიძე თამაშობს, უკრაინის თასი და NEBL-ის „ჩელენჯ კაპი“ ადრე ხომ მოიგო, ახლა კი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შარშანდელი ჩემპიონი „ბკ კიევიც“ დაამარცხა და ისტორიაში მესამედ მოიპოვა უკრაინის ჩემპიონის ტიტული. ამის თაობაზე გუშინ „ჩხიროს“ ოდესაში დავუკავშირდით და ნაკრებზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა.*

**— რეზო, გილოცავთ ჩემპიონობას...**

— გმადლობთ. ნამდვილად მოსალოცად მაქვს საქმე, რადგან, როგორც აქ ხუმრობენ, ჩვენმა გუნდმა ჰეთ თრიქი შეასრულა. მას შემდეგ, რაც „ჩელენჯ კაპი“ მოვიგეთ და ქვეყნის თასს დავეუფლეთ, უკრაინის ჩემპიონობა ნამდვილ გმირობად ჩაგვითვალეს.

**— „ბკ კიევი“ შარშანდელი ჩემპიონია. ფინალურ სერიაში გაგიჭირდებოდათ...**

— ძალიან დაძაბული სერია იყო, განსაკუთრებით გადამწყვეტი, მეხუთე თამაში. პირველი ორი მატჩი ოდესაში მოვიგეთ, შემდეგ კი კიევში ამდენივე წავაგეთ. მინდა გითხრათ, რომ ჩემპიონობის განაღდება კიევშივე შეგვეძლო, რომ არა მსაჯების მიკერძოება. მათ ყველაფერი გააკეთეს, ჩვენ რომ წაგვეგო. რეგულარულ ჩემპიონატში პირველი ადგილი დავიკავეთ, ამიტომ გადამწყვეტი მატჩი ოდესაში გაიმართა. თამაში პირველივე წუთიდან დაძაბული იყო და მთელი შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წამებამდე გაურკვეველი იყო. მაგრამ, საბედნიეროდ, 96:91 მოვიგეთ. ჩვენს გამარჯვებაში დიდი დამსახურება მიუძღვის იმ 6 500 გულშემატკივარს, რომლებიც პირველივე წამებიდან მხურვალედ გვქომაგობდნენ და თამაშის მეორე ნახევარი სკამებზე საერთოდ არ მსხდარან.

**— მოედანზე დიდხანს გიწევდათ ყოფნა?**

— საკმაოდ. ყველა მატჩში მივიღე მონაწილეობა. მაგრამ, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს გუნდს წარმატებისთვის ცალკეული კალათბურთელების ხარჯზე არ მიუღწევია. მთელმა გუნდმა გაიმარჯვა და, უფრო მართალი რომ ვიყო, მთელმა ქალაქმა. აქ კალათბურთს უდიდესი ყურადღება ექცევა, ქალაქი ამით ცხოვრობს. ოდესის მერი ჩვენი გუნდის პრეზიდენტია, ხოლო ვიცე-მერი — გუნდის ვიცე-პრეზიდენტი. თამაშებზე ხომ საერთოდ ტევა არ არის დარბაზში. გუშინ დაჯილდოების საღამო მოგვიწყვეს, სადაც ქალაქის ხელმძღვანელობის გარდა აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ასე გამოხატეს მათ თავიანთი მადლიერება. ოქროს მედლების გარდა, მთელ გუნდს ათასნაირი პრიზები გადმოგვცეს. გამარჯვებას მთელი ოდესა ზეიმობდა.

**— თქვენს კონტრაქტს ვადა სეზონის ბოლომდე ჰქონდა. ამ მხრივ როგორ ზრუნავ საქმე?**

— ჩემპიონატის დასრულებასთან ერთად ჩემი კონტრაქტიც დამთავრდა, რაც შეუძლია შემომთავაზებენ, ალ გუნდის ხელმძღვანელობას ვხვდები და, ალბათ, ყველაფერი ამ საუბრისას გაირკვევა. ისე, თუ კონტრაქტის გაგრძელებას შემომთავაზებენ, დავთანხმდები, რადგან აქ მშვენიერი პირობები მაქვს და ჩემი პირადი მიღწევებიც სწორედ „მკ ოდესას“ უკავშირდება.

**— რამდენიმე დღეში ბულგარელებს ვხვდებით ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ნაკრებიდან დაგვიკავშირდნენ?**

— სწორედ გუშინ ვესაუბრე სლოვენიაში მყოფ ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს. მან სურვილი გამოთქვა, რომ ნაკრებში მეთამაშა. მგეხსენებათ, დღეს ქართულ კალათბურთს ძალიან უჭირს და თუ ჩათვლიან, რომ ჩემი დახმარება საჭიროა, მზად ვარ, როგორც შემეძლება, ვემსახურო ჩვენს ნაკრებს.

**— მაშ, სამში ბულგარელების წინააღმდეგ გიხილავთ...**

— თბილისში I ივნისს ჩამოვალ და დაუყოვნებლივ შევუერთდები ნაკრებს. თუ მწვრთნელი ჩათვლის, რომ სათანადო ფორმაში ვარ, ბულგარელებთან ვითამაშებ. თუ ეს ასე მოხდა, რისი დიდი სურვილიც მაქვს, ყველანაირად ვეცდები, ჩემი უკრაინული გამოცდილება ნაკრებს მოვახმარო.

**ირაკლი პერტაია**



# სტუმრები სამგანვე დაიჩაგრნენ

**პლეი ოფი**

მეოთხედფინალი (ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| **სტრასბური** | **2** |
| **დიჟონი** | **1** |

**სტრასბური 85:74 დიჟონი**

| | |
|---|---|
| **პო ორტეზი** | **2** |
| **შალონი** | **1** |

**პო ორტეზი 80:71 შალონი**

| | |
|---|---|
| **ლე მანი** | **2** |
| **ნანსი** | **1** |

**ლე მანი 80:71 ნანსი**

ნახევარფინალი (ორ მოგებამდე)

**ვილერბანი — სტრასბური**

**პო ორტეზი — ლე მანი**

*ნახევარფინალები 6 ივნისს დაიწყება*

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, 26 მაისს, საფრანგეთის ჩემპიონატში მეოთხედფინალების გადამწყვეტი მატჩები გაიმართა. რაკი რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა „ვილერბანმა“ ვადამდე გაინაღდა შემდეგ ეტაპზე გასვლა, ამიტომ მხოლოდ სამი წყვილი არკვევდა ერთმანეთში ურთიერთობას.

სამივე შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს. ორ მათგანში ერთნაირი ანგარიშიც კი დაფიქსირდა. სწორედ მეტოქეთა იდენტურად დამმარცხებელი „პო ორტეზი“ და „ლე მანი“ შეხვდებიან ერთმანეთს ნახევარფინალში, რომელიც 6 ივნისს იწყება. ეს წყვილი გაცილებით თანაბარძალოვანია, ვიდრე მეორე, სადაც „სტრასბური“ აშკარა აუტსაიდერადაა მიჩნეული. თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ალზასელებმა რეგულარული ჩემპიონატის მიწურულს ვილერბანელებს სულ ბდღვირი ადინეს.

პოელთა და შალონელთა დუელში პირველად გაიმარჯვა მასპინძელმა. სერიაში თავიდან „შალონი“ დაწინაურდა, მაგრამ მერე ვერც მან გამოიყენა საკუთარი კედლების უპირატესობა და ისევ მოუწია პოში ჩასვლა.

ბეარნელებისთვის ეს ზედიზედ მეთერთმეტე ნახევარფინალია. ისინი წლეულს საფრანგეთის თასის ფინალშიც გავიდნენ და სავსებით შესაძლებელია, დუბლიც შეასრულონ, ვინაიდან საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვთ, რამაც შალონელებთან გამარჯვებინათ კიდეც.



**სტრასბური — დიჟონი. სტრასბურელი კის ჯენინგსი (№9) პასელის მორლანდის წინააღმდეგ**

პირველივე წუთებიდან სტუმრებმა დაანახვეს მეტოქეს, რომ უბრალო სტატისტიკების როლში ყოფნას არ აპირებდნენ. მიუხედავად მათ მიერ მიღებული საკმაოდ დიდი რაოდენობის პერსონალურებისა (მე-18 წუთზე ხუთ კალათბურთელს 3 ან 4 ჯარიმა ჰქონდათ), ბურგუნდიელები მაინც არ ანებებდნენ მოწინააღმდეგეს დიდი უპირატესობით წინ გაჭრას და ტაიმის ბოლოს ოდენ ოთხი ქულით ჩამორჩებოდნენ. პირველი ნახევრის ბოლო ორი წუთი მასპინძლებმა უფრო აქტიურად ჩაატარეს და 7 ქულით გავიდნენ წინ — 50:43.

მეორე ნახევარში „შალონმა“ ზონურ დაცვას მიმართა და ნელ-ნელა მიუახლოვდა კიდეც „პო ორტეზს“, რომელიც მესამე მეოთხედის ბოლოს ოდენ სამ ქულასღა (66:63) იგებდა. თუმცა პოელებმა მატჩის დასასრული უფრო ძლიერად ჩაატარეს, თანაც სტუმართა ფაბიენ დიუბომ არასპორტული საქციელისთვის ტექნიკური ჯარიმაც მიიღო და ბურგუნდიელებს თავიანთ ისტორიაში პირველ ნახევარფინალამდე კიდევ მოუწევთ ცდა.

დაძაბული მატჩი გაიმართა სტრასბურშიც. როგორც მოსალოდნელი იყო, ალზასელებმა შეტევაზე ორიენტირებული თამაში დაიწყეს, მაგრამ სროლები დიჟონელებსაც წაუვიდათ, თანაც ისინი ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის უკეთ იბრძოდნენ და ამიტომაც საწყისი მეოთხედი მასპინძლებმა მხოლოდ ორი ქულით მოიგეს (25:23).

ორად-ორი წუთი ეყო „სტრასბურს“ მეორე მეოთხედის დასაწყისში, რათა მეტოქე გვარიანად ჩამოეტოვებინა. ჯენინგსმა ზედიზედ ჩააგდო, კლეანმა ორჯერ ჩაჭრა ბურთი და 36:23. თუმცა „დიჟონი“ დანებებას არ აპირებდა და ნელ-ნელა ანგარიშში სხვაობაც შეამცირა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ მისმა ერთ-ერთმა საუკეთესო კალათბურთელმა, ლორმა, მუხლის ტრავმის გამო დროზე ადრე დატოვა მოედანი. ტაიმის მიწურულს ორ გუნდს მხოლოდ 4 ქულა ჰყოფდა — 46:42.

ჯენინგსისა და ჰოვარდის მეცადინეობით ალზასელები მცირე უპირატესობის შენარჩუნებას მაინც ახერხებდნენ და ოდნავ გაზარდეს კიდეც იგი, მაგრამ მეოთხე მეოთხედში დიჟონელებმა დროის ერთი მონაკვეთი 10:0 მოიგეს და ანგარიშიც გათანაბრდა. სწორედ ეს მომენტი შეარჩია ფორტემ თავისი პირველი ქულების მოსაპოვებლად. მეტიც, მან დარჩენილ დროში მთელი 11 ქულა მოიხვეჭა და სწორედ ამის წყალობით გავიდა „სტრასბური“ ზედიზედ მეორედ საფრანგეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში.

ლე მანში მატჩის დაწყებამდე თითქმის ყველა მასპინძელთა იოლ გასეირნებას წინასწარმეტყველებდა. ამ პროგნოზებს ისიც უმაგრებდა ზურგს, რომ კოლეს შეგირდებს ლოტარინგიელები მიმდინარე სეზონში ოთხიდან სამჯერ დაემარცხებინათ.

თავიდან მასპინძლებმა დაიწყეს ძლიერად, განსაკუთრებით მათი ამერიკელი ლეგიონერი კრის კინგი აქტიურობდა. მან თავისი გუნდის საწყისი 13 ქულიდან 11 თავის ანგარიშზე ჩაიწერა და „ლე მანიც“ 8 ქულით დაწინაურდა. თუმცა ამის მერე ლემანელები დაცვაში მოეშვნენ და მოწინააღმდეგეს ანგარიშის გათანაბრების საშუალებაც მისცეს — 36:36.

მესამე მეოთხედის დასაწყისში მასპინძლები ისევ წინ გაიჭრნენ, რაც ძირითადად სტუმართა ხშირი ჯარიმების დამსახურებაა. თუმცა ლემანელები საკმაოდ უხეიროდ ისროდნენ და 38-ე წუთისთვის მხოლოდ 3 ქულას იგებდნენ. თითქოს ნანსელებს მატჩის გადარჩენა კიდევ შეეძლოთ, მაგრამ ამ დროის მანამდე ჩრდილში მყოფი როჯერსი აფეთქდა, მეტოქეს პასი ჩაუჭრა, კონტრშეტევა დაგვირგვინა და შეხვედრის ბედიც სწორედ ამან გადაწყვიტა.

**გაგი გურული**



# პირსისხლიანი

**აღმოსავლეთი**

28 მაისი

| | |
|---|---|
| **ფილადელფია** | **2** |
| **მილუოკი** | **2** |

**მილუოკი 83:89 ფილადელფია**

**მილუოკი: რობინსონი (20 ქულა, 10 მოხსნა), ტომასი (15), ალენი (14), კასელი (14), ჯონსონი (10 ქულა, 17 მოხსნა)**

**ფილადელფია: აივერსონი (28 ქულა, 8 პასი), მუტომბო (17 ქულა, 15 მოხსნა, 4 დაფარება), ჰილი (14)**

ზედიზედ მეორე ჩემპიონობისკენ ძალუმად მსრბოლმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ „სან ანტონიოს“ 4:0 ძლევით კვლავ მოკლეზე გადაჭრა და სანამ ოლროჩოღრო გზით მავალი მისი მომავალი მეტოქე გამორჩდება, ათი დღით დაისვენებს. ასეა, მოქმედმა და იქნებ მომავალმა ჩემპიონმა შვებულება მოიწყო და ნაკლებად აღელვებს, ვისთან მოუწევს შებმა.

„ლეიკერსთან“ ფინალში ბრძოლის უფლებისთვის ორი მეტ-ნაკლებად ტოლძალოვანი აღმოსავლელი იბრძვის და სანამ მათ შორის უძლიერესი გამოვლინდება, კიდევ ბევრი ოფლი და სისხლი დაიღვრება. სისხლი ამ თამაშშიც დაიღვარა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

სერიის მესამე მატჩის გამოტოვებამ და სამი დღით უქმობამ „ფილადელფიას“ ლიდერ ალენ აივერსონს დაშავებული კუდუსუნის ტკივილი ოდნავ დაუცხრო, ჰოდა, სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ თავის გუნდს სერიის მეოთხე თამაში მოაგებინა, თუმცა ამისთვის საკუთარი სისხლის გაღება მოუხდა. მეორე ტაიმის შუაწელს ვერცხლისწყალივით მოძრავ აივერსონს მეურვე რეი ალენმა განგებ თუ შემთხვევით სახეში ხელი მოარტყა, თან ისე ძლიერად, რომ ფილადელფიელს პირიდან სისხლი წასკდა. „მეგონა, მსაჯები არც დამრთავდნენ თამაშის ნებას, იმდენი სისხლი მდიოდა. დენა ვერაფრით შევაჩერეთ, ამიტომ მსაჯებს დიდი ყურადღება რომ არ მოექციათ, პირს ვკუმავდი და როცა პირი ამევსებოდა ვაფურთხებდი“ — ამბობდა ნამატჩევს აივერსონი.

პირსისხლიანმა აივერსონმა საკუთარი სისხლი გაიღო, სამაგიეროდ, წინა თამაშის წაგებისთვის სისხლი აიღო. ბოლო წუთებზე იგი ვამპირ დრაკულას ჰგავდა, რომელიც მსხვერპლის სისხლით ვერ გამძღარიყო. აივერსონმა „ფილადელფიას“ ბოლო 13 ქულიდან 11 თავად მითვალა, აქედან 7 ზედიზედ, რამაც „მილუოკი ბაქსს“ ბოლო მოუღო. უმწეო მილუოკელმა „ბარრმებმა“ კრუნჩხვა რომ შეწყვიტეს და ყველაფერი დამთავრდა, „ბრედლი სენთერის“ კოხტა ტაბლო 89:83-ს უჩვენებდა. ხოლო „ხარირემთა“ ზუსტად 18717 „ჭირისუფალმა“, ნაცვლად იმისა, რომ თავისი მომაკვდავი გაემხნევებინა, მას ქოქოლა დააყარა, აქაოდა, რატომ მეტი სიცოცხლისუნარიანობა არ გამოიჩინეო.

სანამ სისხლით გახელებული ალენ აივერსონი მსხვერპლთ დაერეოდა, მისი თამაში ასე შეფასდება — არადამაკმაყოფილებელი. ფილადელფიელს, რომელსაც კუდუსუნი და სხეულის კიდევ ბევრი ნაწილი სტკიოდა, თავიდანვე არ წაუვიდა სროლა. მან პირველი მეოთხედი 11-დან ერთი ზუსტი ტყორცნით, ტაიმი კი 18-დან ოთხი ჩაგდებულით დაასრულა, რაც სხვა დროს იქნებ მისი გუნდის კატასტროფის მიზეზიც გამხდარიყო, თუმც ამჯერად „სიქსერზს“ გაუმართლა. სტუმრებმა დაცვაში კლანჭები გამოაჩინეს და მილუოკელ სნაიპერთა რობინსონ-ალენ-კასელის ტრიოს თავიანთი კალათის შორიდან დაბომბვის საშუალება არ მისცეს.

აივერსონმა მესამე მეოთხედშიღა გაისწორა სამიზნე. მას მაღალი თანაგუნდელები — დიკემბე მუტომბო და ტაირონ ჰილიც შეეშველნენ, რომლებიც ჩვეულებრივ დაცვაში უფრო მარჯვენი არიან, ვიდრე შეტევაში და როდესაც კიდევ ერთმა სტუმარმა, აარონ მაკკიმ მეოთხე მეოთხედის დასაწყისში სამქულიანი ჩააგდო, „ფილადელფია“ 72:62 დაწინაურდა. „მილუოკი“ არ ამოვარდა თამაშის რიტმიდან. მასპინძელთა ლიდერმა რეი ალენმა სამქულიანი ჩააგდო და „ბაქსმა“ 9:0 გაქცევა მოაწყო, რის შემდეგაც სხვაობა ერთ ქულამდე დავიდა.

შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთი რჩებოდა, როცა იმავე ალენმა ხელი გაიქნია და აივერსონს სახეში უთავაზა. „ის შუა მოედანზე, ყველას დასანახად იქნევდა იდაყვს და აკი მომარტყა“ — გაიძახოდა აივერსონი. „განზრახ არ გამირტყავს. მაგრამ დარწმუნებული ვარ ალენი პირიქით ფიქრობს, თუმც იგი რას ფიქრობს მე სულ არ მაღელვებს“ — ეს რეი ალენის სიტყვებია.

ყველა ელოდა, რომ ხულიგნობით საქვეყნოდ განთქმული ფილადელფიელი მგვემელს ყველას დასანახავად მუშტიკრივს გაუმართავდა. აივერსონი აპირებდა კიდეც ხურდის დაბრუნებას, მაგრამ მერე გადაიფიქრა და მასზე ხელის აშწევს სამაგიერო სხვაგვარად გადაუხადა.

**ირაკლი ფირაშვილი**

საფრანგეთის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი

# ლეონსიო ფრანგული ოქროსთვის იბრძვის

AFP

კასტრი — კოლომიე. კასტრელი ლევან ცაბაძის შეჩერებას ბერნარ დეგიუსტი (მარჯვნივ) ამაოდ ცდილობს

**კასტრი 37:26 კოლომიე**

**კასტრი:** როლსტონი; პლისონი, არტიგიუსტი, ბერიმენი, სარამეა; თაუნსენდი, ალბუი; ტუსენი (ცაბაძე 74), იბანიესი (კაპ.), ცაბაძე (რეჟიარდო 50), ბურდე, კინარო (ლალიუკი 53), კოსტი, ლაბრუსი (დიასი 63), ლასისი

**ჲლ:** პლისონი (2), სარამეა; **2გ:** თაუნსენდი, სარამეა; **6ს:** სარამეა

**დროებითი გაძევება შეცვლის უფლებით:** ცაბაძე (50)

**დროებითი გაძევება შეცვლის უფლების გარეშე:** დიასი (67), ცაბაძე (79)

**ტულუზი 20:15 პერპინიანი**

**სტად ფრანსე 19:35 ბიარიცი**

**მონფერანი 33:21 აჟანი**

ვინაიდან საფრანგეთის ჩემპიონატში უამრავი ბორჯღალოსანი მონაწილეობს, გადავწყვიტეთ, მისი დასკვნითი ფაზა კარგად გავაშუქოთ. მით უმეტეს, საქართველოს ნაკრების ბურჯის, ლევან ცაბაძის „კასტრმა" ელიტ 1-ის პირველ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, ევროპის თასის საგზური მოიპოვა და ახლა ჩემპიონობისთვისაც აგრძელებს ბრძოლას.

ცაბაძის გარდა, რომელიც ბრწყინვალე მორაგბე და თავდადებული ქართველია, რაც რუმინეთში გამართულ მატჩშიც დამტკიცდა, „კასტრში" კიდევ ერთი ქართველი, პალიკო ჯიმშელაძე თამაშობს. თუმცა ლეონსიოსგან განსხვავებით, რომელსაც ძირითადში ადგილი გარანტირებული აქვს, რადგან საფრანგეთის ჩემპიონატში მისი დარი ბურჯი ერთი-ორი თუ მოიძებნება, ჯიმშელაძე შოტლანდიის ნაკრების წევრ გრეგორ თაუნსენდის კონკურენციას ვერ უძლებს (იმედი ვიქონიოთ, რომ ჯერჯერობით). შესაბამისად ისეთ დაძაბულ მატჩებში, როგორიც ჩემპიონატის მეოთხედფინალია, იგი იშვიათად თუ გამოჩნდება ხოლმე მინდორზე.

კასტრელებმა მოწინააღმდეგე ძირითადად ფეხით მარჯვე თამაშით ლაჯაბნეს, მაგრამ მათი შერკინებაც ტრადიციულად მოწოდების სიმაღლეზე იყო.

ანგარიში სარამეამ გახსნა საჯარიმოთი, მაგრამ მერე ინიციატივა სტუმრებმა იგდეს ხელთ. „მამლების" ყოფილი მწვრთნელის, ჟან-კლოდ სკრელას ვაჟმა, დავიდმა, მე-7 წუთზე საპასუხო საჯარიმო შეაგდო, ორიოდ წუთში კი მშვენიერი კომბინაცია წამოიწყო, რომელიც საფრანგეთის ნაკრების ვეტერან ემილ ნტამაკის უმცროსმა ძმა ფრანსისმა დააგვირგვინა. სკრელამ ლელო გარდასახა კიდეც და „პიერ ანტუანის" სტადიონზე თავმოყრილი მაყურებელი ერთგვარმა შიშმაც მოიცვა. მათ გუნდს ხომ საკუთარ კედლებში 1997 წლის შემდეგ აღარ წაეგო და ნუთუ ეს მშვენიერი ტრადიცია ახლა უნდა დარღვეულიყო.

თუმცა ტრადიცია გაგრძელდა, რაშიც საკმაოდ დიდი წვლილი ჩვენებურმაც დაიდო. პირველი ტაიმის ბოლომდე გუნდები მხოლოდ დარტყმებით აგროვებდნენ ქულებს, რაშიც უფრო მასპინძლებმა ივარგეს და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს — 12:13. ზედ შესვენების წინ კი კიდევ ორი ლელო, თითო გარდასახვა და საჯარიმო გავიდა და ანგარიშიც გათანაბრდა — 20:20.

მეორე ტაიმი ძალიან დაძაბული გამოდგა, რაზეც დროებით გაძევებათა სიმრავლეც მეტყველებს. იძულებითმა დასვენებამ ცაბაძესაც მოუწია, რომელიც ჯერ თავის უშუალო მეტოქე დელპუეკთან ერთად დაისაჯა თეთრი ბარათით, მატჩის მიწურულს კი ლეონსიო მსაჯმა ყვითელი ბარათით „დაასაჩუქრა".

თუმცა მის მეორე გაძევებამდე კასტრელებს საქმე უკვე მოეთავებინათ და მეტოქე 11 ქულით ჩამოეტოვებინათ. ნახევარფინალში „კასტრი" „ტულუზს" შეხვდება.

**გაგი გურული**

შვიდკაცა. მსოფლიოს სერია

# ქართული შვიდეული ლონდონის მეცამეტეა

**ერთი** გამარჯვება, ოთხი მარცხი, მეცამეტე ადგილი და არც ერთი სარეიტინგო ქულა. ასეთია საქართველოს შვიდკაცა ნაკრების მონაგარი ლონდონში დასრულებულ „მსოფლიოს სერიაში" შემავალ ტურნირზე.

ტურნირის პირველ დღეს ჯგუფის სამივე მატჩის წამგები ბორჯღალოსნები რვა უიღბლო გუნდში მოხვდნენ და ფიალისთვის განაგრძეს ბრძოლა. მეოთხედფინალში ქართველ მორაგბეებს ფრანგი მოშვიდკაცეები დაუპირისპირდნენ. შეხვედრის პირველ შვიდწუთეულში ჩვენებურები 0:12 აგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში გია ლაბაძისა და ილია ზედგინიძის ლელოებს ბესიკ ხამაშურიძემ ერთი გარდასახვაც მიამატა და ძირითადი დრო ფრედ, 12:12 დასრულდა. დამატებით დროში გუჯა იოვაძემ გამარჯვების ლელო გაიტანა და თავისიანებს სანუგეშო ნახევარფინალისკენ გაუკვლია გზა, იქ კი მეტოქედ შოტლანდიის ნაკრები გვერგო.

ფავორიტად ბრიტანელებს მიიჩნევდნენ, მაგრამ ქართველებმა ხელდახელ ისეთი ბურთაობა გააჩაღეს, ჩვენებურთა თამაშის შემხედვარე, ინგლისელი მიმომხილველი აღტაცებას ვერ მალავდა. კლოდ სორელის დამოძღვრილმა ქართველებმა უკვე დებიუტშივე, ბადრი ხეხელაშვილის ძალისხმევით დაალელოვეს მეტოქე. მალხაზ ურჯუკაშვილმა კი გარდასახა. ტაიმის მიწურულს ბესიკ ხამაშურიძემ მეორედ დაამწუხრა შოტლანდიელები, ურჯუკაშვილმა ამჯერადაც ივარგა. პირველი ნახევარი ქართველებმა 14:7 მოიგეს, ვინაიდან, ქართველთა ლელოებს შორის ჰენდერსონ-ლეიდლოუს დუეტს ლელო-გარდასახვა მიეთვალა. მეორე ნახევარში შოტლანდიამ ძლიერ შემოგვიტია, მეტოქე რამდენჯერმე მიაუახლოვდა ჩვენს ლელოს. ერთ მომენტში აქვსენტი გიორგაძემ სასწაულებრივ გვიხსნა აშკარა ლელოსგან, თუმცა ტაიმის მიწურულს ორი წუთის ინტერვალში ჯერ ბლერმა და მერე ლოტიანმა შეძლეს ქართველთა ლელოში შეღწევა, ლეიდლოუმ ორიდან ერთი ლელო გარდასახა და წინ შოტლანდია გავიდა — 19:14. დარჩენილ დროში ქართველები ბევრს ეცადნენ, მატჩი გადაერჩინათ, მაგრამ საამისოდ არც ძალა ეყოთ და არც დრო. ბორჯღალოსნები ტურნირს გამოეთიშნენ. ფიალისთვის ფინალში შოტლანდია გავიდა, იქ კი უელსთან 19:31 წააგო და მეათე ადგილს დასჯერდა. მეხუთე ადგილი და, შესაბამისად, სინი სამხრეთ აფრიკამ მოიპოვა.

„ქურციკებმა" დიდი უპირატესობით 31:7 დაამარცხეს მასპინძელი ინგლისის ნაკრები. ტურნირის გამარჯვებული და თასის მფლობელი კი ახალი ზელანდია შეიქნა. „შავებმა" გადამწყვეტი შებმა ავსტრალიელებს 19:12 მოუგეს და თავიანთ აქტივს 16 სარეიტინგო ქულა შემატეს.

**ბაჩო სვანიძე**

მსოფლიოს ახალგაზრდული თასის შესარჩევი ტურნირი

# უკრაინამ ვერ გვიშველა

**იყო** შანსი, ოღონდ მინიმალური, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გაისად გასამართ მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე გასულიყო. რუმინეთთან განცდილი მარცხის და უკრაინელების დაჩოქების შემდეგ ახალგაზრდა ბორჯღალოსნებს ერთი იმედი ქონდათ, უკრაინელ ოცდაერთწლამდელებს რუმინელები საკუთარ კედლებში ზუსტად ხუთი ქულის სხვაობით უნდა დაემარცხებინათ.

ამ შემთხვევაში სამივე გუნდს თანაბარი ქულები და ბურთების ბალანსი ექნებოდათ. ერთადერთ საგზურს კი ის გუნდი დაეუფლებოდა, ვისაც ყველაზე მეტი ლელო ექნებოდა გატანილი ტურნირის მანძილზე. ასე რომ, ქართველთა ბედი რუმინეთ-უკრაინის მატჩზე ეკიდა, თუმცა უკრაინა რომ მასპინძელი რუმინელების მომგები არ იყო, ესეც კარგად მოეხსენებოდა ქართველთა დელეგაციას. იმედი ბოლოს კვდებაო და ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენოდა, თუ არა ლოდინი.

დაიწყო მატჩი და ქართველთა იმედი ზღვის ფსკერისკენ მიმავალ გემს დაემსგავსა. რუმინელთა მოგებას ვინ ჩივის, უკრაინელებს ერთი კინკილა ქულის მოხვეჭაც სანატრელი გაუხდათ. მასპინძლებმა 38:0 მოუგეს მოკრძალებულ მეტოქეს და ახლა ისღა დარჩენიათ მსოფლიოს თასის მასპინძელი ქვეყანა გაირკვეს, რათა რუმინელებმა ბილეთები დროულად დაიჯავშნონ.

**ბაჩო სვანიძე**

# ბარბაროსებმა დიდი ბრიტანეთი ააწიოკეს

REUTERS

ინგლისი — ბარბაროსები. ჯონა ლომუმ ინგლისელი ჯოშ ლიუსი ბარბაროსულად მოისროლა

**შოტლანდია 31:74 ბარბაროსები**

**შოტლანდია (სასტარტო შემადგენლობა):** პატერსონი, კ. მიურეი, დი როლო, ჯ. ლესლი, მაკლარენი; ჰოჯი, რედფასი; ჯეკობსენი, გ. ბალოკი, მაკილვეი, გრიმზი, ვეირი, სიმპსონი, მოუერი, პეტრი

**ნლ:** პატერსონი, დი როლო, მაკლარენი, პეტრი, მაკფეიდენი; **3გ:** ჰოჯი

**ბარბაროსები (სასტარტო შემადგენლობა):** მერფი, ლომბარი, მეგზი, ჰორანი, ლომუ; მონტგომერი, ფან დერ ვესტჰოიზენი; იეტსი, კოკრილი, გერვი, ბრუკი, ლენგფორდი, კლარკი, ლემი, გარდინერი

**12ლ:** ლომუ (4), ლომბარი (3), მეგზი, ფან დერ ვესტჰოიზენი, კოკრილი, კლარკი, ლემი; **7გ:** მონტგომერი (6), ფან სტრაატენი

**7ლ:** ჰოვარდი, ვიდირი, გასკოტი, ლომუ, ლემი, ტაიხმანი, გერვი; **4გ:** ფან სტრაატენი

**მსაჯი:** ფლემინგი (შოტლანდია)

**ინგლისი 29:43 ბარბაროსები**

**ინგლისი:** სტიმპსონი (კინგი), სემპსონი, ლოიდი, ლიუსი (ჯონსტონი), სტივენსონი; უოლდერი, ბრაკენი; ვუდმენი (როუნთრი), რიგანი (ვესტი), უაიტი, შოუ (კეი), ბორტვიკი, სანდერსონი, უორსლი, ჰაზელი (კორი)

**4ლ:** სემპსონი (2), სტივენსონი, ჯონსტონი; **3გ. და 1ს:** უოლდერი

**ბარბაროსები:** მერფი (გასკოტი), ვიდირი (ლომბარი), ლითლი, ჰოვარდი, ლომუ ფან სტრაატენი, გომარშალი (კარბონო); დაუდი (გერვი), დროცკე (კოკრილი), ფეიგელი, ბრუკი (ბოუმენი), ჯონსი, ლემი, ტაიხმანი, კრონფელდი

**მსაჯი:** ტომასი (უელსი)

ბარბაროსებმა დიდ ბრიტანეთში სამი მატჩი გამართეს და სამივე მოიგეს. 20 მაისს უელსის 40:38 დამარცხების შემდეგ, მათ რამდენიმე ძლიერი მორაგბე შეემატათ და შოტლანდია და ინგლისიც ააწიოკეს.

განსაკუთრებით ახალზელანდიელი ჯონა ლომუს დახმარება გამოადგა მსოფლიოს ნაკრებს. მან პირველად მარიფილდში ითამაშა ხუთშაბათს და სკოტებს ოთხი ლელოც გაუტანა, ამათგან პირველი ლამის პირველივე წუთზე. ასეთი დასაწყისით დაბნეულმა მასპინძლებმა რამდენიმე წუთში კიდევ ორი ლელო გაუშვეს, იმავე ლომუსა და სამხრეთაფრიკელი ფრიდრიხ ლომბარისგან — 0:15. თუმცა „მამაცმა გულებმა" ერთი იხუვლეს და მე-20 წუთისთვის თავად დაწინაურდნენ (21:15) მარკუს დი როლოს, ჯონ პეტრისა და კრის პატერსონის გარდასახული ლელოებით.

თუმცა ჯობდა არ დაწინაურებულიყვნენ, რადგან ამან ბარბაროსები „გააღიზიანა". ხოლო როცა ბარბაროსები ბრაზობენ, მათ წინააღმდეგ რომის იმპერიაც კი ვერაფერს გააწყობს. ექვს წუთში მათ კიდევ ოთხი ლელო მიითვალეს და ტაიმი 41:26 მოიგეს. მეორეში კი სულ მოაოხრეს სკოტთა დაცვითი ზღუდეები.

კვირას ბარბაროსებთან საბრძოლად ინგლისის საკმაოდ სახეშეცვლილი ნაკრები გამოვიდა და მანაც საკუთარ თავზე იგემა მათი ძალა. თვიქენჰემშიც მშვენიერი სანახაობა გაიმართა, რომელიც მასპინძელთა პირწმინდად განადგურებით არა და, მწარე მარცხით კი დასრულდა.

მომხდურებმა მალე გახსნეს ანგარიში ჰოვარდის ლელოთი, რასაც უოლდერმა საჯარიმოთი უპასუხა. რამდენიმე წუთში ოთხმა ინგლისელმა ძლივს დასცა მთაკაცი ლომუ, რომელიც ბურთის ძელებს შორის დადებას ლამობდა. ამ დროს ბრიტანელთა დაცვის მარცხენა ფლანგი მოშიშვლდა, რითაც ვიდირიმ ისარგებლა კიდეც. შემდეგ მტრის ბანაკში გადაბარგებულმა გასკოტმა დაალელოვა თვისტომნი და ანგარიში 3:19 გახდა.

ალბიონელები არ ნებდებოდნენ და ტაიმის ბოლომდე ორი ლელოც მიითვალეს „ბაა-ბაასთა" ერთის სანაცვლოდ 15:24. შესვენების შემდეგ რამდენჯერაც გაზარდეს ანგარიშში სხვაობა ბარბაროსებმა, ინგლისელებმა იმდენჯერ შეამცირეს და დროის უმეტესი ნაწილი მეტოქეთა შორის სხვაობა მხოლოდ 7 ქულა იყო. ბრიტანელებს ფრეს გახერხება შეეძლოთ, მაგრამ მათი იმედები გერვიმ დაასამარა მსაჯის მიერ წამატებულ დროში.

**გაგი გურული**

ზე-12. ფინალი

REUTERS კანბერადან

კანბერელთა კაპიტანი ჯორჯ გრეგანი ნინატრი ზეთორმეტული თასით

# რაშებმა ზვიგენები ჩაწიხლეს

**კანბერა. „ბრიუს სტედიუმი“**

| | |
|---|---|
| **კანბერა (ავსტრალია)** | **36** |
| **დურბანი (სამხ. აფრიკა)** | **6** |

**კანბერა:** უოლკერი; ბონდი, ჰოლბეკი (ბართოლომეუსი 76), კაფერი, როფი; ლარკემი, გრეგანი (კაპ.); იანგი (უეფერი 28), ჰოლი, დარფინი, ჰარისონი, გიფინი, რეიანი, უილიამსი (სამო 80), სმიტი

**მწვრთნელი:** ედი ჯონსი

**ვლ:** როფი (2), გიფინი; **ვგ** და **ნს:** უოლკერი

**დურბანი:** ლოუბშერი (დიუ ტუა 73); ტერბანში, კეიზერი, ჰოლტედი, სვარტი; ჯეიმსი, დევიდსონი; ლე რუ, სმიტი, ფინი (მოილი 69), ფან დენ ბერგი, ენდრიუსი (კაპ.), ფან რენსბურგი (სოფერბი 63), ე. ფენტერი (მაკლეოდ-ჰენდერსონი 69), ბრიცი

**მწვრთნელი:** რუდოლფ სტრაეული

**2ს:** ჯეიმსი

**მსაჯი:** ჰედი ობრაიანი (ახალი ზელანდია)

ავსტრალიელმა „რაშებმა“ მეორედ აღარ გაუშვეს შანსი ხელიდან, ავსტრალიურმა გუნდმა სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრესი სარაგბო ტურნირი პირველად მოიგო. კანბერა შარშანაც გავიდა ფინალში და ვინაიდან ჯგუფური ტურნირი მაშინაც პირველ ადგილზე დაემთავრებინა, მეტოქე შინ მიიღო. თუმცა მაშინ ვერ გაიხარა და ახალზელანდიურ კრაისტჩერჩს მესამედ გაჩემპიონების საშუალება მისცა. „ჯკვაროსნებამდე“ ზე-12-ის პირველი ორი გათამაშება მათ თანამემამულე ოკლენდელ „ლურჯებს“ მოეგოთ. ასე რომ, კანბერა პირველი ახალზელანდიური ჩემპიონია.

„რაშები“ შაბათს შეუჩერებელნი იყვნენ, თითქოს ვინმეს მათი გახედვნა უნდა და ისინი თავისუფლების შესანარჩუნებლად იბრძვიანნ... რიგით მეექვსე ფინალის შესვენებაზე ანგარიშში თანაფარდობა იყო.

საწყისი ოცდაათი წუთი დურბანელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა და მათ რამდენჯერმე შეეძლოთ ლელოს გატანა, მაგრამ ბოლო მომენტში ხან რა გადაარჩენდა მასპინძლებს და ხან რა. თუმცა „ზვიგენებს“ მაინც ჰქონდათ რამდენიმე ქულით დაწინაურების შანსი, მაგრამ მათმა დამრტყმელმა ბაჩ ჯეიმსმა პირველ ათ წუთში ორი საჯარიმო გააცუდა.

ამის სანაცვლოდ ანგარიში კანბერელთა ჩუბინმა ენდრიუ უოლკერმა გახსნა 24-ე წუთზე. მან. ერთი საჯარიმოც შეაგდო ათიოდ წუთში, რასაც შუალედში ჯეიმსმაც უპასუხა ერთი ზუსტი დარტყმით. ტაიმი კი მაინც ფრედ დასრულდა, რადგან ბოლო წუთზე ჯეიმსმა თავისი გუნდის მეორე საჯარიმო გაიტანა.

როგორც მერე გამოჩნდა, ეს დურბანელთა უკანასკნელი ქულები იყო.

რას ეუბნება და როგორ მოძღვრავს შესვენებაზე ედი ჯონსი თავის შეგირდებს, ჩვენთვის უცნობია და შეიძლება საერთოდაც საიდუმლოა. ფაქტი კი ერთია — თავიანთი მთავარი მწვრთნელის შეგონებანი „რაშებს“ ერთობ აღაგზნებს საბრძოლველად, ისინიც აიწყვეტენ და საცოდავ მოწინააღმდეგეს ფლოქვებით გადათქერავენ-ხოლმე.

სწორედ ასე მოხდა ერთი კვირის წინ ნახევარფინალში ბრისბენთან და „ქვინზლენდელი წითლების“ ბედი გაიზიარეს ამჯერად „ზვიგენებმაც“.

52-ე წუთზე მეტოქის ლელოდან დაახლოებით ხუთ მეტრში დანიშნული დერეფანი მასპინძლებმა მოიგეს, ბურთი გიფინმა დაიჭირა და შეტევა კუთხეში გატანილი ჯო როფის ლელოთი დაგვირგვინდა. დურბანი ამ დარტყმისგან ნოკდაუნში ჩავარდა.

სანოკაუტე დარტყმა კი სტუმრებმა სამ წუთში მიიღეს და გონს ვეღარც მოეგნენ. ჯორჯ გრეგანმა ბრწყინვალე პასი გადააწოდა იმავე როფს, რომელმაც სამხრეთაფრიკელთა დაცვა იოლად გაიარა და ბურთი ძელებს შორის დადო. უოლკერს წინა ლელოს გარდასახვა არ გასჭირვებია და ახლა რა ღმერთი გაუწყრებოდა.

15 წუთში კანბერამ ანგარიში 6:6-დან 23:6 გახადა, რადგან 47-ე წუთზე საჯარიმოთი დაწინაურებულიყო. ეს დურბანელთათვის წაგების ტოლფასი იყო და შეხვედრის დარჩენილ დროში მათ ავსტრალიელთა ლაღობაში სტატისტიკების როლის შესრულებაღა შეძლეს.

შემდეგ გიფინმა ერთი ლელოც დაამატა, უოლკერმა კი ერთი დარტყმაც არ გააცუდა, რითიც მშვენივრად შეცვალა კანბერელთა ძირითადი დამრტყმელი სტირლინგ მორტლოკი, რომელმაც ნახევარფინალში მიღებული მხრის ტრავმის გამო ვერ ითამაშა.

და ჯორჯ გრეგანიც ოზთაგან პირველი გახდა, ზე-12-ის თასი რომ აღმართა. „მშვენიერი საჩუქარი ვუძღვენით ჩვენს მთავარ მწვრთნელს წასვლის წინ“ — თქვა „რაშთა“ კაპიტანმა. შეგახსენებთ, რომ ედი ჯონსი შემოდგომიდან ავსტრალიის ნაკრების მთავარი დამრიგებელი იქნება, წლევანდელი სამი ერის დროს კი „ვოლაბებთან“ შეჩვევის მიზნით ჯონსი როდ მაკქუინის თანაშემწეობით „გაერთობა“.

დაბოლოს, შარშანდელმა „სამმა ერმა“ და წლევანდელმა ზე-12-მა დაამტკიცა, რომ სამხრეთ ნახევარსფეროში და შესაბამისად მთელ მსოფლიოშიც უძლიერესი სარაგბო სახელმწიფო ამჟამად ავსტრალიაა.

**გაგი გურული**



# ზაფხულს კრივით ვინყებ

**კრივში** XI მსოფლიო ჩემპიონატს 3-10 ივნისს ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქი ბელფასტი უმასპინძლებს. მსოფლიოს რინგზე 60 ქვეყნის 400 სპორტსმენთან ერთად ქართველი მოკრივეებიც იასპარეზებენ. ამჟამად ჩვენი ნაკრები თურქეთშია და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. იქვე ემზადებიან მასპინძლები და კუბელებიც.

სხვათა შორის, ყველა მათგანი კუბური პროგრამით ვარჯიშობს და როგორც ამბობენ, ქართველ მოკრივეებს, რომელთაც სპარინგ-პარტნიორობას თავად კუნძულელები უწევენ, არაერთხელ დაუჯაბნიათ მეტოქე. ქართველთა შემართებით გაოცებული კუბელები კი ერთხმად აღნიშნავენ, კარგ ფორმაში ხართო.

ვინ როგორ ფორმაშია, ამას ბელფასტის მსოფლიოს ჩემპიონატი დაგვანახვებს. ჩრდილოეთ ირლანდიაში კი თურქეთიდანვე გადაფრინდება [illegible] ნაკრები.

მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელშიც 12 წონითი კატეგორიის სპორტსმენები იასპარეზებენ, საქართველოს ნაკრებს მხოლოდ ექვსში ეყოლება წარმომადგენელი. აქვე საქართველოს ნაკრების შემადგენლობასაც გაგაცნობთ: რამაზ ბებნაძე (54კგ), რობერტ ფილიევი (67კგ), ანატოლი ქავთარაძე (71კგ), ზურა უჩანეიშვილი (75კგ), დავით თოდრია (81კგ) და სიდნეის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ვლადიმერ ჭანტურია (91კგ)

**გიგა გურასაშვილი**

# წიწილებს გაზაფხულზეც ითვლიან

**ნათქვამია,** წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილმა კი მათი დათვლა გაზაფხულზე დაიწყო.

მრავალი წელია, რაც ჩვენს სპორტსმენებს სეზონი ისე წარმატებით არ დაუწყიათ, როგორც წლეულს. ევროპის ჩემპიონატებზე თითო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა, „ბერძნულ-რომაულად“ მოჭიდავეებმა ერთი ოქროსა და ვერცხლის ჯილდო დაიმსახურეს. ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი იყო ჩვენი ძიუდოისტების კონტინენტური ნადავლი, ხოლო ძალოსნებმა ერთ „დიდთან“ ერთად ორი მცირე ოქრო და ერთიც ბრინჯაო მოიპოვეს.

სულ ევროპის ჩემპიონატებზე ჩვენმა სპორტსმენებმა პირად პირველობაზე სამი პირველი, სამი მეორე და ექვსი მესამე ადგილი დაიკავეს, ხოლო გუნდურში სამი მესამე და ერთი მეორე.

ეს ყოველივე გუშინ გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე შეგვახსენა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილმა, რომელმაც თქვა, სულ ჩვენმა სპორტსმენებმა 52 მედალი მოიგეს, მათ შორის 15 ოლიმპიურ სახეობათა წარმომადგენლებმაო.

იანვარ-მაისში ქართველი სპორტსმენების მიერ ამა თუ იმ სარბიელზე მიღწეული შედეგების მიმოხილვამდე კი ირაკლი მეძმარიაშვილმა ღირსების ორდენითა და მედლებით დაჯილდოვა ქართული სპორტის ღვაწლმოსილი მწვრთნელები და სპორტის მუშაკები. ხოლო 1985-86 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა ნაკრების წევრებს, რუსეთის ღია პირველობიდან ახლახან ჩემპიონებად დაბრუნებულებს, რომლებსაც სააქტო დარბაზში მთელი შემადგენლობით მოეყარათ თავი, მადლობის ფურცლები და საპატიო სიგელები გადასცა. ამის მერე კი პრესკონფერენციაც დაიწყო.

სპორტდეპარტამენტის თავმჯდომარემ წარმატებულად შეაფასა განვლილი ხუთი თვე. არცაა გასაკვირი, წინა წლებთან შედარებთ, როდესაც სპორტი ფინანსურად შედარებით უკეთ იყო უზრუნველყოფილი, ქართული სპორტის ახლანდელი ნადავლი მართლაც რომ ბევრად უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება. თუმცა მეძმარიაშვილმა იქვე შიშიც გამოთქვა, ვაითუ, ახლანდელმა სეკვესტრირებულმა ბიუჯეტმა დათვური სამსახური გაგვიწიოსო და მაშინვე დასძინა, ეს ისე, ხუმრობითო. მერე კი საკმაოდ სერიოზულად განაცხადა, რომ ქართულ სპორტში სპონსორთა ინსტიტუტის შემოღება აუცილებელია, რადგან თუ ეს განხორციელდება, ქვეყნის ბიუჯეტსაც ჩამოვშორდებით და სპორტსაც ასე თუ ისე ფეხზე დავაყენებთ. მეტიც, თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც საჭიროა, მაშინ იმის საშუალებაც გვექნება, რომ სპორტული ბაზები და სტადიონებიც კი ავაშენოთ. ოღონდ ეგაა, რომ ის ხალხი, ვინც სპორტის სპონსორობას ითავებს, გადასახადებიდან უნდა გათავისუფლდეს.

ამასთანავე, სპორტულმა ფედერაციებმაც უნდა იაქტიურონ. გამონახონ სხვა საშუალებებიც, რომლებიც მათ ასე თუ ისე წელში გამართავს. არ შეიძლება მარტო სპორტდეპარტამენტზე იყვნენ დამოკიდებულნი, ცოტა უნდა მიდგნენ-მოდგნენ. მართალია, ეროვნულ ნაკრებებზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, მაგრამ ახალგაზრდულ თუ კადეტთა ნაკრებებს ფედერაციებმა მიხედონ. ამის საუკეთესო მაგალითად საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაც გამოდგებაო, დასძინა მეძმარიაშვილმა.

**გიგა გურასაშვილი**



ასტანის სუპერტურნირი

# კასპაროვთან ზავმა ხალხი გააცარა

**მეხუთე** ტურის წინ მსოფლიოს ელიტარული მოჭადრაკეები დროულად გავიდნენ ასტანის სასტუმრო „აკულან“ და კულიაშ ბაისეტოვას სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრს მიაშურეს ასტანის მე-20 კატეგორიის სუპერტურნირის ეკვატორამდე მისაღწევად. ეს მე-20 კატეგორია ჯერ უმაღლესია წლევანდელი ტურნირებისთვის და ალბათ ასეც დარჩება. არსად ჩანს სხვა ისეთი შეჯიბრი, რომელიც ასტანისას შემადგენლობით გაუტოლდებოდა.

მეხუთე ტურში ადგილობრივი საზოგადოება ელავდა, დარენ სადვაკასოვი და გარი კასპაროვი თამაშობდნენ, ექსჩემპიონი თეორებთ. დებიუტმა კასპაროვი უკმაყოფილო დატოვა, ინგლისურ დასაწყისში უხერო პოზიცია ჰქონდა და მხოლოდ მიტელშპილში მოახერხა ფიგურების ისე დაწყობა, რომ უპირატესობა მიეღო. რჩებოდა ბოლო გარღვევა, როცა კასპაროვმა უეცრად ყოყმანი და მომლოდინე სვლების კეთება იწყო. ყახაზმა სული მოითქვა და 31-ე სვლაზე ზუსტი რესურსი მოძებნა. კასპაროვს მუდმივი ქიში შერჩა და როცა ყაიმი გაფორმდა, აგრიალდა დარბაზი, აწკრიალდა მობილურები: ლამის მთელმა ყახეთმა გაიგო ამბავი სახელოვანი ყაიმისა.

ეს იყო და ეს. მომდევნო ტურებში სადვაკასოვმა კვლავ ჩაყვინთა. ჯერ ალექსანდრ მოროზევიჩმა მოუგო, როგორც პირველ წრეში, მერე — კრამნიკმა. მსოფლიოს ჩემპიონთან წაგება ყახახს ყველაზე ქარაფშუტული გამოუვიდა. დაუშვა ერთი შეცდომა, მერე კი მიჰყვა გამალებით და 9 წუთში ქულა აღარ იყო. ყველაფრის მიუხედავად, ყახახს ბრძოლის ჟინს უქებენ. ასტანაში ყოველი ყაიმი მის რეიტინგს 15 ქულას მაინც შემატებდა, მაგრამ ყველა პარტიაში რიგი სამსახური გაგვიწიოსო და მაშინვე დასძინა, ეს ისე, ხუმრობითო. მერე კი საკმაოდ სერიოზულად განაცხადა, რომ ქართულ სპორტში სპონსორთა ინსტიტუტის შემოღება აუცილებელია, რადგან თუ ეს განხორციელდება, ქვეყნის ბიუჯეტსაც ჩამოვშორდებით და სპორტსაც ასე თუ ისე ფეხზე დავაყენებთ. მეტიც, თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც საჭიროა, მაშინ იმის საშუალებაც გვექნება, რომ სპორტული ბაზები და სტადიონებიც კი ავაშენოთ. ოღონდ ეგაა, რომ ის ხალხი, ვინც სპორტის სპონსორობას ითავებს, გადასახადებიდან უნდა გათავისუფლდეს.

ამასთანავე, სპორტულმა ფედერაციებმაც უნდა იაქტიურონ. გამონახონ სხვა საშუალებებიც, რომლებიც მათ ასე თუ ისე წელში გამართავს. არ შეიძლება მარტო სპორტდეპარტამენტზე იყვნენ დამოკიდებულნი, ცოტა უნდა მიდგნენ-მოდგნენ. მართალია, ეროვნულ ნაკრებებზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, მაგრამ ახალგაზრდულ თუ კადეტთა ნაკრებებს ფედერაციებმა მიხედონ. ამის საუკეთესო მაგალითად საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაც გამოდგებაო, დასძინა მეძმარიაშვილმა.




ასტანაში სხვებზე მეტს ახალგაზრდები, დარენ სადვაკასოვი და ალექსანდრ მოროზევიჩი ფიცხობენ

**დავით გულუა**

**ვითარება 7 ტურის შემდეგ**

**1. კრამნიკი 5,5; 2. კასპაროვი 5; 3. გელფანდი 4; 4. მოროზევიჩი 3; 5. შიროვი 2,5; 6. სადვაკასოვი 1**

ხალხთა ფერა რეალში

# კიევში ოლიმპიადის მასპინძლობაზე ფიქრობენ

**მოსკოვის** დარად კიევსაც მოსძალებია ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილი, თუმცა უკრაინელებს რუსებისგან განსხვავებით ეს ოთხი წლის მოგვიანებით, 2016 წელს სურთ. ამჟამად კიევის ხელისუფალნი თავიანთი წადილის ოფიციალურ დამადასტურებელ საბუთებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისთვის გადასაცემად ამზადებენ.

ახალგაზრდობის პოლიტიკის, სპორტისა და ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვალერი ციბუხს მიაჩნია, რომ 2016 წლის ოლიმპიადის დედაქალაქად კიევის კანდიდატურის წამოყენება უკრაინელი სპორტსმენებისთვის სტიმულად გამოდგება.

„კიევის კანდიდატურა სერიოზული სტიმულია იმ უკრაინელი სპორტსმენების მზადების პროცესის გასაუმჯობესებლად, რომლებსაც შესაძლებლობა ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიურ თამაშებზე. ამასთან, ეს ხელს შეუწყობს უკრაინის დედაქალაქში სპორტული ბაზების განახლებასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას“ — „ინტერფაქს-უკრაინასთან“ საუბრისას განაცხადა ციბუხმა.

ციბუხის თქმით, 15 წელი საკმარისია ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებლად. ამავე სააგენტოს მიერ დასმულ შეკითხვაზე, თუ რამდენად რეალურია კიევის შანსები 2016 წლისთვის, ციბუხი პასუხობს, რომ კიევი ევროპის ერთ-ერთი უმშვენიერესი დედაქალაქია, რომლის სილამაზეც უკვე დიდი ხანია, რაც აღმოსავლეთ ევროპას გასცდა. ამასთან, უკრაინის ხელისუფლებას 2016 წლამდე საკმარისი დრო აქვს ქვეყნის სპორტული ბაზების ძირეულად გარდასაქმნელადო.

# როიტერში კენჭი ყარეს

**სააგენტო** როიტერმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 13 ივლისის არჩევნებამდე თავად მოაწყო კენჭისყრა, უფრო სწორად, მოწინავე სპორტულ ჟურნალისტებს შორის ჩატარებული კენჭისყრით დაადგინა, რომ 2008 წლის ოლიმპიადის დედაქალაქის გამოსავლენ არჩევნებში პეკინი გაიმარჯვებს.

მოგეხსენებათ, ამგვარი პატივისთვის ხუთი ქალაქი იბრძვის. პეკინს, ტორონტოს, პარიზს, ოსაკასა და სტამბოლს 2008 წლის ოლიმპიადის საკუთარ კედლებში ხილვა სურთ. იმავე კენჭისყრის თანახმად, ამ ორ უკანასკნელს წარმატების არანაირი იმედი არ უნდა ჰქონდეს. თავად განსაჯეთ — როიტერის მიერ 28 ქვეყნის 32 სპორტული გამოცემის რედაქტორებს ფავორიტად ჩინეთის დედაქალაქი მიაჩნიათ. ეს მაშინ, როდესაც ჩინეთს წამდაუწუმ ადამიანის უფლებათა დარღვევაში ადანაშაულებენ. ამასთან, უკმაყოფილებას გამოთქვამენ ჩინეთის ქალაქების დაბინძურებისა და ქვეყანაში სპორტული ბაზების სიმცირის გამო.

და მაინც, 32 გამოკითხულიდან 23-ს სწორედ პეკინი მიაჩნია სოკ-ის რჩეულად. ოთხ-ოთხი ხმა ერგოთ პარიზსა და ტორონტოს, ერთიც ოსაკას, ხოლო სტამბოლი ხმის გარეშე დარჩა.

„ახლა სწორედ ის დროა, რომ ქვეყანამ, რომელსაც ყველაზე დიდი მოსახლეობა ჰყავს, ოლიმპიადას უმასპინძლოს. გარდა ამისა, ეს ქვეყანაში ადამიანთა უფლებების დაცვისა და ეკოლოგიის კონტროლს გაუმჯობესებს“ — აცხადებს პეკინის მხარდამჭერი „ბანგკოკ პოსტიდან“ როჯერ ქრაჩლი.

სხვათა შორის, ამ ორიოდე კვირის წინათ, როდესაც ლოზანაში სოკ-ის შტაბბინაში ოლიმპიზმის მამები სხვა საჭირბოროტო საკითხებთან ერთად სოკ-ის ინსპექტორთა მოხსენებების მოსასმენადაც შეიკრიბნენ, ფავორიტებად პეკინი, პარიზი და ტორონტო დაასახელეს, ხოლო სტამბოლისა და ოსაკას წარმატებაზე ეჭვი გამოთქვეს.

საინტერესოა თავად კომისიის მოხსენებაც:

„კომისიას სწამს, რომ პეკინის ოლიმპიური თამაშები ჩინეთს და სპორტს განუმეორებელ მემკვიდრეობას დაუტოვებს“.

დავუბრუნდეთ სპორტულ გამცემათა რედაქტორებს. მათი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთს საოლიმპიადოდ არაერთი შენობა-ნაგებობა აქვს ასაშენებელი, ეს მათზე უარყოფითად სულაც არ იმოქმედებს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩინეთის უზარმაზარი ბაზარი ერთობ შთამბეჭდავი სატყუარაა, როგორც ოლიმპიადის სპონსორებისთვის, ისე საქმოსნებისთვისაც.

„სოკ-ი ყველანაირად ეცდება, რათა თავის ოლიმპიურ საცეცებში მოაქციოს ჩინეთი. იქ, ჩინეთში, უამრავი ფულის გაკეთება შეუძლია დასავლეთს“ — ამბობს ჯოზეფ რომანოსი „ნიუ ზელანდ ლისენერიდან“.

შეგახსენებთ, რომ ბოლოს აზიამ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს 1988 წელს უმასპინძლა სეულში, კაწადამ კი ოლიმპიადას 1976 წელს გაუღო კარი მონრეალში, ხოლო პარიზს ასეთი პატივი 1924 წლის მერე არ ღირსებია.

სხვათა შორის, თუ იმავე როიტერის მიერ მოწყობილი პარალელური გამოკითხვის შედეგებს გადავხედავთ, სულ სხვა სურათს დავინახავთ. 26 გამოკითხული რედაქტორიდან ათმა პარიზს მიანიჭა უპირატესობა, რადგან ფრანგებს ოლიმპიადის სამასპინძლოდ საუკეთესო სტადიონი და ინფრასტრუქტურა აქვთ.

ფრანგებს ერთი ხმით ჩამორჩა ტორონტო, ექვსი ხმა მოიპოვა პეკინმა, ხოლო ოსაკამ ერთი, სტამბოლი კი აქაც უხმოდ დარჩა.

მიუხედავად ფრანგების დაწინაურებისა, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პარიზის შანსები არც ისე სახარბიელოა. ამის ხელისშემშლელ ფაქტორად მოჰყავთ ის, რომ 2004 წელს ათენი მასპინძლობს ოლიმპიადას. ამის გათვალისწინებით, სოკ-ს არ ეწნება იმის სურვილი, რომ ევროპამ ზედიზედ უმასპინძლოს ოლიმპიურ თამაშებს.

„პეკინისგან განსხვავებით, პარიზს შენობა-ნაგებობათა უმეტესობა უკვე მზად აქვს. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება, რომ ათენის 2004 წლის ოლიმპიადის შემდეგ 2008 წელსაც ევროპამ უმასპინძლოს ანალოგიურ ღონისძიებას“ — აცხადებს ქრაჩლი „ბანგკოკ პოსტიდან“.

საინტერესოა ტოკიოში მოღვაწე დამოუკიდებელი ჟურნალისტის, ჯერემი უოლკერის მიერ ტორონტოს შეფასებაც:

„კანადაში სპორტისთვის საჭირო ყველა პირობა და ინფრასტრუქტურა მთლიანობაში პირველი ხარისხისაა, რასაც ვერ ვიტყვით უშუალოდ ტორონტოზე“.

**გიგა გურასაშვილი**

**რომან სერბლე: ცხრაათასიანთა კლუბის პირველი წევრი**

# სერბლემ ცხრაათასიანი დაიპყრო

**საუბარი** ალპინიზმზე კი არა, სამძლეოსნო ათჭიდზეა, სადაც კვირას ისტორიაში პირველად 9000 ქულაზე მეტი გაკეთდა. ახალი მსოფლიო რეკორდის ავტორია ჩეხი რომან სერბლე, რომელიც სიდნეის ოლიმპიადაზე მხოლოდ ესტონელ ერკი ნოოლს ჩამორჩა.

რეკორდი ავსტრიულ გოცისში, ათჭიდის ტურნირზე დამყარდა. სერბლეს მეტოქეებად ჰყავდა ორი დიდი ავტორიტეტი, ნახსენები ნოოლი და თვისტომი ტომაშ დვორჟაკი, მსოფლიო რეკორდის აწ უკვე ექსპატრონი. დვორჟაკის სარეკორდო 8994-მა ქულამ ორი წელიც ვერ გაძლო. მაშინ დვორჟაკს 9000-მდე წამზე ნაკლები დააკლდა, ახლა კი არც ჰქონია მსგავსი პრეტენზია, 8427 ქულით მსოფლიო ტესტზე იყო. ნოოლი მეორეზე გავიდა (8504), ხოლო სერბლე 9026 ქულით გავიდა. ბათსაც ეგ აწერია ოქროსფერი (ალბათ ორ დღეს გრძელდება): 100 მეტრი 10,64 წამში დაფარა, 8,11 მეტრზე გადახტა, ბირთვი 15,33 მეტრზე გადაგდო, 2,12 მეტრს გადაევლო და 400 მეტრის გარბენას 47,79 წამი მოანდომა. კვირაც რიგიანად დაიწყო, როცა 110 მეტრზე თარჯრბენს 13,92 წამი აკმარა და ბადრო 47,92 მეტრზე ისროლა. კრიზისი მხოლოდ ჭოკით ხტომისას დაუდგა — ჩეხმა 4 მეტრისა და 80 სანტიმეტრის მეტი ვერ დაიმორჩილა. სარეკორდო მსვლელობას თითქოს წყალი შეუდგა, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდა სერბლე. მისგან ღონივრად ნასროლი შუბი 70,16 მეტრის იქით დაერჭო, რამაც 1500 მეტრზე სირბილის სანუკვარ შედეგად 4 წუთი და 25,93 წამი დაადგინა. ეს დრო მრგვალ 9000 ქულას სჭირდებოდა.

სერბლემ თავგანწირვით ირბინა. ფინიშამდე კარგა ასი მეტრით ადრე ცხადი გახდა, რომ რეკორდი მისი იყო, რადგან გრაფიკს 4 წამით ასწრებდა და რა უნდა მომხდარიყო ისეთი, ამხელა ფორა რომ გაეფლანგა? აი, ჩეხის შედეგიც: 4 წუთი და 21,98 წამი, ანუ 9026 ქულა, ანუ მსოფლიოს რეკორდი.

„ისე მიხარია, ემოციებს ვერ ვფარავ — თქვა 9000-ის პიონერმა — ახლა გამიშვით, უნდა დავისვენო!“

**დავით გულუა**

# დიდი კედლის მარათონი

**ჩინელები** ბრძნულად, კუს ნაბიჯებით გადადიან სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე. ქვეყანამ შეუშვა უცხოელები, ფულის დაბანდების ნება დართო და ამის ნიმუში წლეულს მესამედ შემდგარი „ჩინეთის დიდი კედლის“ მარათონია. იგი დანიურმა სამოგზაურო სააგენტო „ალბატროსმა“ დააფინანსა. 42 კილომეტრი და 195 მეტრი, რომელიც უამრავ ადგილობრივსა და 700 სტუმარს უნდა გაერბინა, ჩვეულებრივ სამარათონე გზებს არ ჰგავდა. მარათონელებს კედლის გასწვრივ ოღრეჩოღროების ძლევა უხდებოდათ და ამიტომ ყველაზე სწრაფებმაც ფინიშამდე მისასვლელად ლამის ოთხი საათი დახარჯეს. მაყურებელი უფრო იმ ოთხკილომეტრიან მონაკვეთთან შეყრილიყო, რომელიც უშუალოდ კედლის თხემზე გადიოდა და ეგზოტიკური სანახავი გახლდათ.

ცოტამ უწია ფინიშს. ვაუებში ტოლი არ ჰყავდა ახლო ტიანძინიდან ჩამოსულ გაზეთების დამტარებელ ზი ჟიანგს, რომელმაც მარათონისთვის სოლიდური ასაკის მიუხედავად (38 წლისაა), დაწინაურება თავიდანვე შეძლო. უკიდურესად დაბალი სიჩქარის გამო ტაქტიკაზე ლაპარაკი ოდნავ ზედმეტი იყო, მოიგებდა ის, ვინც მოითმენდა დაღლილობას. როცა ჩინელი ფინიშზე გადავიდა, მდევრები თვალსაწიერზეც არ ჩანდნენ. მხოლოდ მეოთხედ საათში გამოჩნდა ერთი დანიელი და მალე მეორეც. საერთოდ, დანიელები მარათონზე ბლომად იყვნენ, 100 კაცის ოდენობით, 400 ამერიკელი გახლდათ, რაც ორი ქვეყნის დაძაბული ურთიერთობის ფონზე პოლიტიკურად მისასალმებელია. ამას გარდა, 22 სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმაც ირბინეს კვირას „დიდი კედლის“ მარათონზე და მათგან ახალზელანიელმა ჯილ ვესტენრამ ქალებში ყველას აჯობა. ჩინელმა ქალებმა ვაუებს ვერ მიჰბაძეს.

**დავით გულუა**

**ვაუები:** 1. ზი ჟისიანგი (ჩინეთი) 3:50,24; 2. ნილს გერტ დელენდორფი (დანია) 4:02,33; 3. გერტ სორენსენი (დანია) 4:04,33
**ქალები:** 1. ჯილ ვესტენრა (ახალი ზელანდია) 4:06,07; 2. კაროლ სტაააკი (აშშ) 4:15,14; 3. ფიორელა აგოსტინი (იტალია) 4:23,06

# პატარა ამბების დიდი ჯაჭი

**კონსტანტინოს გაციუდისი** უეჭველად არის იმ ძველი ელინების შთამომავალი, ომებსა და ოლიმპიადებზე შუბს მარჯვედ რომ ტყორცნიდნენ, ოღონდ ერთი ნაკლი აქვს — მაინცდამაინც პრესტიჟულ ტურნირებზე აირევა ხოლმე. ტატული ერთი აქვს, ორი წლის წინათ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, ხოლო ბოლო ოლიმპიადაზე მხოლოდ მე-6 იყო. ეს მაშინ, როცა გაციუდისს ფინელ აკი პარვიაინენთან ერთად ჩეხიან ჟელეზნის მემკვიდრედ თვლიან და, ალბათ, ასეცაა — სრულიად უმნიშვნელო შეჯიბრზე ბერძენი ხანდახან ისე გაისვრის, პირდაღებულს ტოვებს მაყურებელს. მოკლედ, ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდება და ყველაფერსაც მოასწრებს, რ[illegible]ან ჯერ ახალგაზრდაა.

იუნიორთა მსოფლიოს რეკორდის ავტორმა ერთი ასეთი საქმე ამ უქმეებზეც გააკეთა, როცა მაღრიდში, ევროპის კლუბთა თასზე შუბი 91 მეტრსა და 27 სანტიმეტრს უწვდინა, რაც სეზონის რეკორდი გახლავთ. ხოლო წლის მეორე რეკორდი იმავე მადრიდში ბრიტანელმა სამხტომელმა ფილიპს ოდოვუმ დაამყარა, რომელიც 17,23 მეტრზე გადახტა.

უდღეური გამოდგა ოდოვუს რეკორდი. გუშინწინ ჰავანის „პანამერიკან სტადიუმზე“ რომ ტურნირი გაიმართა, იქ ასტა-დახტა ადგილობრივი მიკელ კალვო და 17 მეტრი და 30 სანტიმეტრი დაფარა. სიდნეის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი იოელ გარსია კი ძლიერ უკან დარჩა 16,77 მეტრით.

**დავით გულუა**

ველორბოლა

ჯიროო დ'იტალია

# დროებითი ემიგრაცია

**„ჯიროო“** გუშინ დროებითი ემიგრანტი გახდა, რადგან მისი მეათე ეტაპის ფინიში იტალიის მეზობელი სახელმწიფოს, სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში იყო დანიშნული, რომელიც თბილისის დამმობილებული ქალაქია.

ბევრს ეცადა პელოტონის ერთადერთი სლოვენიელი წევრი ანდრეი ჰაუპტმანი საკუთარი თანამემამულეების თვალწინ წარმატების მიღწევას, მაგრამ გუშინწინდელივით მხოლოდ ხუთეულში შესვლით დაკმაყოფილებამ მოუწია. ეტაპი კი საკმაო გრძელი გაქცევის შემდეგ იტალიელმა დენის ძანეტემ მოიგო. მეორე იტალიელმა დარიო ფრიგომ კი ვარდისფერი მაისურის შენარჩუნება მოახერხა.

ძანეტესთვის ეს მეორე გამარჯვებაა „ჯიროზე“. პირველად მან 1995 წელს გაიხარა. იგი იმ ცხრა მრბოლში იყო, რომლებმაც მე-80 კილომეტრზე წამოიწყეს შეტევა და ვინაიდან საერთო ჩათვლაში პირველობისთვის არც ერთი მათგანი არ აცხადებდა პრეტენზიას, პელოტონმაც დიდად არ მოიკლა თავი მათი დევნით. ფინიშამდე ხუთი კილომეტრით ადრე ძანეტემ კომპანიონები მიატოვა და რამდენიმე წამითაც აჯობა მათ.

„იმედი მაქვს, მომდევნო გამარჯვებამდე კიდევ ექვს წელს არ მომიწევს ლოდინი. შეტევის დრო მშვენივრად შევარჩიე, მაგრამ გამარჯვება მხოლოდ ბოლო 200 მეტრზე ვირწმუნე“ — განაცხადა სახეგაბადრულმა ლიკიგასელმა.

დღეს მრბოლები ბლედიდან (სლოვენია) წამოვლენ და იტალიაში დაბრუნების შემდეგ ეტაპს გორიციაში დაასრულებენ.

**გაგი გურული**

**მეათე ეტაპი**
ლიდო დი ჯესოლო — ლიუბლიანა (სლოვენია), 212 კმ

1. დენის ძანეტე (იტალია, ლიკიგასი) 5სთ 16წთ 21წმ
2. მარიო მანძონი (იტალია, ალექსია) +16წმ
3. ისიდრო ნოსალი (ესპანეთი, ონსე) +16
4. ფაბიო საკი (იტალია, საეკო) +16
5. ანდრეი ჰაუპტმანი (სლოვენია, ვინი კალდიროლა) +16

**საერთო ჩათვლა**

1. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) 47სთ 41წთ 22წმ
2. ფოზე აზევედო (პორტუგალია, ონსე) +3
3. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) +14
4. ჯილბერტო სიმონე (იტალია, ლამპრე) +15
5. ვლადიმირ ბელი (იტალია, ფასა ბორტოლო) +19

# საფინს გონი გაუნათდა

REUTERS მარი ზიდან

მარატ საფინი მათს ვილანდერისგან ჰკუას სწავლობს

**მარატ საფინი** წლეულს როლან გაროსზე მეორედაა განთესილი, თუმცა გამარჯვების მთავარ კი არა, ერთ-ერთ პრეტენდენტადაც არავინ თვლის. ამას, ბუნებრივია, ლოგიკური ახსნა მოეძებნება: ჯანიანი რუსის საჩოგბურთო ნიჭ-შესაძლებლობებს ეჭვის ქვეშ არავინ აყენებს, უბრალოდ, თებერვალში ზურგის მძიმე ტრავმის მიღების შემდეგ საფინს თითქმის ორი თვე გაუცდა და ფორმაში ჩადგომა ჯერაც ვერ მოასწრო.

„მგონი, ზოგს ისიც კი დაავიწყდა, რომ ჩოგბურთის თამაში კიდევ მეხერხება — ცოტათი აღიზიანებს ახლანდელი ვითარება აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონს — მეორე მხრივ, ჩემგან მოგებას არავინ ელის, ყველა აუტსაიდერად მიმიჩნევს და არანაირ ზეწოლას არ ვგრძნობ. სიმართლე გითხრათ, ამ წუთისთვის საკუთარი შესაძლებლობების მხოლოდ 60 პროცენტით თუ ვთამაშობ, მაგრამ დღიდან დღემდე ვუმატებ და თავდაჯერებას ვიბრუნებ“.

საფინის 60 პროცენტი პირველ წრეში 15 ეისის მოსაწოდებლად და ავსტრიელი მარკუს ჰიპფლის დასამარცხებლად სავსებით საკმარისი გამოდგა. ჰიპფლმა გასულ კვირაში სენტ პოლტენში კარიერის პირველ ATP-ის ფინალში კი გააღწია, მაგრამ რუსის მძლავრ დარტყმებს ვერაფერი მოუხერხა.

საფინის აქილევსის ქუსლი ორსაათნახევრიანი შეხვედრის მანძილზე მხოლოდ არასტაბილური თამაში გახლდათ — აუღებელ დარტყმებს ის ხშირად უაზრო შეცდომებს უნაცვლებდა. სწორედ ამის ბრალი იყო, რომ მესამე ხელის ტაი-ბრეიკზე 1:5 ჩამორჩენის ანაზღაურების მიუხედავად, რუსმა ეს სეტი მაინც დათმო და კორტზე სასურველზე მეტი ხნით დარჩენა მოუხდა 6:3, 6:3, 6:7 (6:8), 6:1.

მსოფლიოს მეორე ჩოგანი თავის ბოლოდროინდელ წარუმატებლობებს გადატვირთულ გრაფიკს აბრალებს: „შარშან ერთობ ბევრგან ვიასპარეზე, შედეგად კი ახალი სეზონისთვის რიგიანად მომზადება ვერ მოვასწარი. სწორედ ამიტომაა, წლეულს ტრავმა რომ მივიღე და ერთი ტურნირიც არ მომიგია“.

სამაგიეროდ, საფინს მიაჩნია, რომ ბოლო თვეებში გონება გაეხსნა, რაც მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან მათს ვილანდერთან თანაშრომლობის შედეგია: „მათსი ბევრს არ ლაპარაკობს და მეც ასე მირჩევნია, ერთმანეთს ისეც კარგად ვუგებთ. ის კორტზე აზროვნებას მასწავლის. მაგალითად, ადრე რომ მეკითხებოდნენ, „ოუფენის“ ფინალში პიტ სამპრასს როგორ მოუგეო, მე მხრებს ვიჩეჩდი, წარმოდგენა არ მაქვსმეთქი. ახლა ეს „როგორ“, „რატომ“ და სხვა ტაქტიკურ-სტრატეგიული წვრილმანები გაცილებით უკეთ მესმის“.

გუშინ საფრანგეთის ღია პირველობამ პირველი ბობოლა ვაჟი ჩოგბურთელი დაკარგა. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს შარშანდელ ფინალისტი მაგნუს ნორმანი გამოდგა, რომელიც ამ გაზაფხულზე წაგებებს საოცრად გაუშინაურდა.

მეცხრედ განთესილმა სკანდინავიელმა ესპანელი დავიდ სანჩესის წინააღმდეგ შეხვედრა რიგიანად დაიწყო და პირველი ორი ხელის მოგების შემდეგ გამარჯვებასთან ახლოსაც იყო. მონასტერი მაშინ აირია, ნორმანმა მესამე სეტში ჯერ 5:3-ზე, მერე კი ტაი-ბრეიკზე უნებლიე შეცდომებით მეტოქეს ყოველმხრივ რომ გაუმართა ხელი. აქედან მოყოლებული ის საუკეთესოთა ათეულელ კი არა, მოყვარულ ჩოგბურთელს უფრო დაემსგავსა და სანჩესსაც მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა საერთოდ აღარ გაჭირვებია — 4:6, 4:6, 7:6 (7:4), 6:1, 6:2.

ასპარეზობის პირველივე დღეს ვინუს უილიამსის და ამელი მორესმოს, ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე კი ლინდსი დევენპორტისა და მონიკა სელეშის მოსაკლისების შემდეგ ქალებს შორის უპირველეს ფავორიტად ჯენიფერ კაპრიატი ითვლება. ჯერ კიდევ ორი წლის წინ ყოფილ ვუნდერკინდზე ყველას ხელი ჰქონდა ჩაქნეული, თუმცა იღბლის ასეთი ცვლილება და გაზრდილი ზეწოლა ამერიკელს არ აკრთობს.

„სულ არ მაღელვებს, სხვები რას აკეთებენ, იგებენ თუ აგებენ, ჩემთვის მთავარი საკუთარ თავზე კონცენტრირებაა. ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ ბევრ დიდ ტურნირზე ვითამაშე და არცთუ ურიგოდ, ასე რომ, ზეწოლას უკვე შევეჩვიე. ამ სპორტში იმდენი ხანია, ვასპარეზობ, წესით, მოულოდნელი ჩემთვის აღარაფერი უნდა იყოს“.

მართლაც, კაპრიატიმ როლან გაროსის ნახევარფინალში ჯერ კიდევ 1990-ში, 14 წლისამ (ჯერაც ტურნირის რეკორდად რჩება და ალბათ მოხსნა არც უწერია) გააღწია. მას შემდეგ ჯანიანი ჯენი ორჯერ მეოთხედფინალისტიც გახლდათ, წლეულს კი კიდევ უფრო წინ წაწევას აპირებს.

მასპინძელ ემილი ლუასთან შეხვედრის მეორე სეტში ყურადღების მცირე ხნით გაფანტვა ამერიკელს კინაღამ ძვირად დაუჯდა. გულმოცემულმა ფრანგმა თავისი ცაცია რამდენჯერმე მარჯვედ მოიქნია, მეტოქის შვიდი ორმაგი შეცდომა კარგად შეირგო და 5:2 დაწინაურდა. ლუას მომდევნო გეიმში სეტ-პოინტიც კი ჰქონდა, თუმცა კაპრიატიმ ჩვეული რისკიანი თამაშით მძიმე სიტუაციიდან თავი დაიძვრინა და მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება არ მისცა.

ოქროს შანსის ხელიდან გაშვებამ ფრანგს გუნება წაუხდინა და აგრესიულად გარჯის ხალისი გაუქრო, გადაგდებაზე თამაშით კი კაპრიატის წინააღმდეგ შორს ვერ გაფრინდები. ავსტრალიის ღია პირველობის ტრიუმფატორმა უპირატესობა მყარად იგდო ხელთ, ზედიზედ 5 გეიმი და მასთან მატჩიც მოიგო 6:2, 7:5.

„მელბურნში გამარჯვებამ საოცარი თავდაჯერებით ამავსო, სტიმული მომცა, კიდევ უფრო ბევრი მეშრომა. ეს იოლი არ იქნება, მაგრამ თუ ამჟამინდელ ფიზიკურ ფორმას შევინარჩუნებ, საუკეთესოთა ხუთეულიდან გავარდნა კიდევ დიდხანს არ დამემუქრება“ — აღნიშნა ამერიკელმა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ „ლორუს“ საზეიმო ცერემონიალზე „ელიტაში დაბრუნებული სპორტსმენისთვის“ განკუთვნილი ჯილდო მიიღო.

კაპრიატისთან ერთად პარიზში გამარჯვების საუკეთესო შანსი მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისსაც აქვს. 20 წლის შვეიცარიელს ამდენი მთავარი კონკურენტის გზიდან ჩამოცილებამ წესით ფრთები უნდა შეასხას და ყველაზე სასურველი ტიტულის მოპოვებაშიც დიდად შეუწყოს ხელი.

პირველ წრეში ესპანელი გალა ლეონ გარსიას წინააღმდეგ ჰინგისი კაპრიატზე შთამბეჭდავადაც გამოიყურებოდა და კლასიფიკაციით 35-ე მეტოქეს მატჩში სულ ერთი გეიმი დანება 6:1, 6:0.

**ავთანდილ სვანიძე**

### პირველი წრე

**ვაჟები: ანდრე აგასი (3, აშშ) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:2, 6:3, 7:6 (7:4); მარიანო პუერტა (არგენტინა) — არნო კლემანი (12 საფრანგეთი) 7:6 (7:3), 3:6, 7:6 (7:5), 1:6, 9:7; ტომას ენქვისტი (14, შვედეთი) — ენდრიუ ილი (ავსტრალია) 6:4, 6:1, 2:6, 6:3; სერხი ბრუგერა (ესპანეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 3:6, 6:7, (4:7), 6:2, 6:4, 6:3; სერჰიო პიოლინი (საფრანგეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 2:6, 6:4, 7:6 (7:1), 7:6 (7:4); სესილ მეზიტი (აშშ) — ტოდ მარტინი (აშშ) 6:3, 7:6 (8:6), 2:6, 6:1; მაიკლ ჩანგი (აშშ) — ალექსანდრ პოპი (გერმანია) 6:3, 6:3, 6:1; რუბენ ფეიერერი (შვეიცარია) — სტეფანო გალვანი (იტალია) 6:3, 6:3, 6:3; ალეხს კორეხა (13, ესპანეთი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 2:6, 7:6 (7:3), 6:3, 4:6, 6:1; ჯარლოს მოია (ესპანეთი) — ფილისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:1, 6:4, 6:0; ტომი ჰაასი (გერმანია) — ფერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:0, 6:1, 6:1; ფულიან ბუტი (საფრანგეთი) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:2, 5:7, 6:7 (5:7), 6:4, 7:5; პიტ სამპრასი (5, აშშ) — სედრიკ კაუფმანი (საფრანგეთი) 6:3, 4:6, 6:2, 3:6, 8:6; მარსელო რიოსი (ჩილე) — უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 3:6, 6:4, 3:6, 6:4, 6:1; იუნეს ელ აინაუი (მაროკო) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 6:7 (4:7), 6:0, 6:2, 6:7 (4:7), 6:3.**

**ქალები: არანჩა სანჩეს-ვიკარიო (11, ესპანეთი) — გრეტა არნი (გერმანია) 4:6, 6:2, 6:1; კონჩიტა მარტინესი (8, ესპანეთი) — ანა-გეილ სიდო (საფრანგეთი) 6:1, 6:1; სანდრინ ტესტიუ (17, საფრანგეთი) — დონ ბუტი (აშშ) 6:1, 6:1; პატი შნიდერი (შვეიცარია) — ელისონ ბრედშო (აშშ) 6:0, 6:3; ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) — ეკი დომინიკოვიჩი (ავსტრალია) 1:6, 6:2, 6:3; ლინა კრასნარუცკაია (რუსეთი) — ნატალი ტოზია (საფრანგეთი) 6:1, 6:3; დანია ბეზანოვა (ჩეხეთი) — სტეფანი ფორე (საფრანგეთი) 7:5, 7:5; სერენა უილიამსი (6, აშშ) — სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი) 6:2, 6:7 (4:7), 6:1; ამანდა კუტცერი (10, სამხრეთ აფრიკა) — ბიანკა ლამადე (გერმანია) 6:4, 6:2.**

## ტაი-ბრეიკი

# ყველაზე მძიმე ბრძოლა

კორინა მორარიუ ამჟამად ლეიკემიას ებრძვის

**1999 წლის** უიმბლდონის ჩემპიონი წყვილებში კორინა მორარიუ უკვე ერთ კვირაზე მეტია, საავადმყოფოშია. ჩოგბურთელის მდგომარეობა, რომელსაც ლეიკემიის ერთ-ერთი იშვიათი ფორმა აქვს, მძიმე, მაგრამ სტაბილურია და მას ქიმიოთერაპიის დიდი დოზებით მკურნალობენ.

კორინას მამის, ექიმ ალბინ მორარიუს თქმით, მისი ქალიშვილი მაისის დასაწყისში, გერმანიის ღია პირველობის დროს შეიქნა ცუდად, შინ, ფლორიდაში დაბრუნებულს კი ცხვირიდან სისხლდენა დაეწყო: „ეტყობა, ლეიკემია უკვე ორი ან მეტი თვეა, ჰქონდა. რა შეიძლება ვთქვა, მთელი ოჯახი შოკში ვართ. არ მსურს, ამაზე ვისაუბრო, მაგრამ გეტყვით, რომ ცოტაც და მას ვეღარაფრით ვუშველიდით“.

ამჟამად იუნიორების ყოფილ პირველ ჩოგანს მაიამის „ჯექსონ მემორიალ ჰოსპიტალში“ მკურნალობენ. უფროსი მორარიუს თქმით, კორინას შანსები, სძლიოს სენს, დაახლოებით 50/50-ზეა.

1999-ში ლინდსი დევენპორტთან ერთად უიმბლდონზე გამარჯვების გარდა წლეულს იანვარში მორარიუმ ავსტრალიის ღია პირველობაზე შერეული წყვილების ტიტული მოიპოვა, შარშან კი რამდენიმე კვირის მანძილზე წყვილების კლასიფიკაციით პირველ ადგილზე იმყოფებოდა. ის თავისსავე მწვრთნელ ენდრიუ ტურსინოვიჩზეა გათხოვილი.

# ნიუ იორკში მილიონებს პრიგებენ

**აშშ-ის** ღია პირველობის საპრიზო ფონდი წლეულს კიდევ 5 პროცენტით გაიზრდება და სარეკორდო თანხას — 15,8 მილიონ დოლარს მიაღწევს. ამხელა ფულს თავის მონაწილეებს არც ერთ სხვა სპორტულ ტურნირზე არ სთავაზობენ. აქედან ორივე სქესის ჩემპიონს 850-850 ათასი დოლარი ერგება, წყვილებში გამარჯვებულებს — 350 ათასი.

„ეს იმის ამსახველია, რომ აშშ-ის ღია პირველობა მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებსა და უამრავ ქომაგს იზიდავს. ჩოგბურთი ასეთი პოპულარული არასოდეს ყოფილა და წლევანდელი ტურნირი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო უნდა იყოს“ — განაცხადა აშშ-ის ჩოგბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა თავკაცმა ალან კენტარიანმა.

საპრიზოებით „ოუფენის“ უახლოესი მდევარი ასევე საჩოგბურთო უიმბლდონია 12,7 მილიონი დოლარით, არასაჩოგბურთო ტურნირებიდან კი ყველაზე მეტს — 10 მილიონს „ინდიანაპოლის 500“-ის რბოლაზე არიგებენ.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირიდან ყველაზე მეტად ჩოგბურთელები კი არა, ქალაქი ნიუ იორკი ითბობს ხელს. მარტო შარშან „ოუფენმა“ ადგილობრივ ეკონომიკას 420 მილიონი დოლარის პირდაპირი შემოსავალი მოუტანა და 11 ათასი ადამიანი დაასაქმა, თანაც ამ თანხაში არ შედის ტურისტთა მიერ კორტს გარეთ დახარჯული მწვანეები. აშშ-ის ღია პირველობაზე კი მაყურებელთა თითქმის 50 პროცენტი ნიუ იორკის სტუმარია.

# ხელქვეითთა მსხვერპლი

**შვეიცარიის** დევისის თასის კაპიტან იაკობ ჰლასეკს თავისსავე მოთამაშეებთან კონფლიქტი ძვირად დაუჯდა — ყოფილ ჩოგბურთელს კონტრაქტი ამ თანამდებობაზე კიდევ სამი წელი უნდა ემუშავა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე გადადგომა მოუხდა.

ჰლასეკს გარშემომყოფთა მომდურების საოცარი ნიჭი აქვს — პოსტზე დანიშვნისთანავე ვერეტანი მარკ როსე გუნდიდან გააგდო და საყოველთაო ბოიკოტს ძლივს გადაურჩა, წლეულს ფრანგებთან მეოთხედფინალში კი ქვეყნის პირველი ჩოგანი როჯერ ფედერერი ისე გააცხარა, ეს უკანასკნელი ნაკრებიდან სამუდამოდ წასვლით დაიმუქრა.

„ამ გადაწყვეტილების შიღების შემდეგ იმედი გვაქვს, რომ სამომავლოდ დევისის თასის მატჩებზე გუნდში ყველა საუკეთესო მოთამაშე შეიკრიბება, როჯერ ფედერერის მეთაურობით“ — ნათქვამია ეროვნული ჩოგბურთის ფედერაციის განცხადებაში. ჰლასეკის შემცვლელი ჯერ არ დაუსახელებიათ, თუმცა ადგილობრივი მასმედიის ცნობით, ეს ვინმე კლაუდიო მეცადრი უნდა იყოს.

# ინკვიზიცია საჩოგბურთო მკრეხელებს

**გაღიზიანებულ** ახალგაზრდა ჩოგბურთელებს ტენესის შტატში მატჩის დროს შეუძლიათ წამოიძახონ „იესო!“ ან „ქრისტე!“, მაგრამ ამ ორი სიტყვის ერთად წარმოთქმა (რაც ქართულად დაახლოებით ისე ითარგმნება, როგორც „ღმერთო ჩემო“), სავალალო შედეგებს გამოიღებს.

უფროსკლასელმა კამერონ ბოიდმა შტატის ჩემპიონატის ერთ-ერთ წყვილების შეხვედრაში საკუთარი მოწოდების დაკარგვა აკრძალული კომბინაციის წამოყვირებით აღნიშნა. კორტზე მაშინვე იან ჯენოზი, ტენესის საშუალო სკოლების სპორტული ასოციაციის მავანი ჩინოვნიკი გაჩნდა და ბოიდი მეწყვილე ბრენდონ ალენთან ერთად დისკვალიფიკაციით დასაჯა.

„იმას მეუბნებით, რომ შემიძლია „იესო“ ან „ქრისტე“ ცალ-ცალკე ვთქვა, მაგრამ „იესო ქრისტე“ ტაბუდადებულია? რა სისულელეა!“ — აღშფოთდა დაზარალებული, თუმცა კანონის დამცველი შეუვალი აღმოჩნდა. ტენესიში უხამსი სიტყვის წარმოთქმა და ჟესტის ჩვენება, ან მეტოქისა და მსაჯის შეურაცხყოფა ავტომატური დისკვალიფიკაციით ისჯება, აშშ-ის ჩოგბურთის ფედერაციის წესებით კი „იესო ქრისტე“ უხამსობადაა მიჩნეული.

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# ლეიკერსის ზეიმი


REUTERS ლოს ანჯელესიდან

„ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ დასავლეთ კონფერენციის ფინალური სერია 4:0 მოუგო „სან ანტონიო სფურზს“. ბოლო მატჩში, მშობლიურ „სტეიპლზ სენთერში“ „ლეიკერსმა“ 111:82 იმარჯვა და კობი ბრაიანტმაც მზადყოფნით ასწია დასავლეთის ჩემპიონთა თასი. ახლა „ლეიკერსი“ აღმოსავლეთის ჯერაც არგამოვლენილ ჩემპიონს ელის საერთოამერიკულ ფინალში. „ლეიკერსის“ ბევრ სახელოვან ქომაგს შორის იმ საღამოს დარბაზში იყვნენ სტივენ სპილბერგი და მისი ცოლი, მსახიობი ჯესიკა კეპშოუ. კინოვარსკვლავმა კამერონ დიასმა კი ხვევნა-კოცნით კინაღამ დაახრჩო შაკილ ონილი.

# რუა და ბიჭები

ასე ჩაცმული „კოლორადო ეველანშის“ მეკარე პატრიკ რუა იშვიათად თუ გვინახავს. არც მოღიმარიც იშვიათად. თუმცა, დენვერელ ბიჭუნებთან გასაუბრება მძიმე სავარჯიშო დღის დაწყებამდე სასიამოვნოც კია. რუა წინა საღამოს გმირია: „ეველანშმა“ 5:0 მოუგო „ნიუ ჯერსის“ ფინალური სერიის პირველ მატჩში, მისმა მეკარემ კი მორიგი მშრალი მატჩი ჩაატარა.

REUTERS დენვერიდან

# სეზონის შემდეგ

დენის ბერხკამპს სეზონის ბოლო ისე აეწყო, რომ საქმე ბევრი არაფერი ჰქონდა. ტრავმამ „არსენალის“ ძირითადიდან ამორიცხა, ფრენისადმი შიშმა კი ჩემპიონთა ლიგის გასვლითი მატჩების მოთამაშეთა სიიდან. ახლა სეზონი საერთოდაც დამთავრდა და „ეშმაკ ანგელოზად“ წოდებული ბერხკამპი ჰოლანდიურ დენ ბოსხში მეგობართან გოლფის თამაშით იქცევს თავს. მეგობარი კი არნემის „ვიტესის“ ფეხბურთელი მიშელ კრეეკი გახლავთ.

REUTERS დენ ბოსხიდან

# კანდიდატი თამაშობს

ალეხანდრო ტოლედო ჯერ მხოლოდ პრეზიდენტობის კანდიდატია, მაგრამ წინასწარი გამოკითხვებით აშკარად ლიდერობს პერუს საპრეზიდენტო არჩევნებს. ფეხბურთის თამაში მისი საარჩევნო კამპანიის ნაწილია, ხუთი-ხუთზე საქველმოქმედო თამაში ტოლედოსთვის ისედაც ჩვეული ამბავია, არჩევნების მეორე და გადამწყვეტი ტური კი 3 ივნისს გაიმართება.

REUTERS ლიმადან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge